

ნ. უშიძე — ნ.

# სადიტურატურო ქართული

სიღოვე, ხუნდაძის

გამოქვეყნება



ქუთაისი.

ძილადისა, და ხელადის სტამბა. ტიპოგ. Килаძე и Хелаძე.

1901.



# საღიბერატურო ქართული

სილოგ. ხუნდაძის

გამოკვლევა



ქუთაისი

ჭილაძისა და ხელაძის სტამბა. ☿ Тип. Киладзе и Хеладзе.

1901

21566

Дозволено цензурою 2 октября 1901 г. Г. Тифлисъ.

## წინასწარმეტყველება

ჩვიდმეტი წელი შესრულდა, რაც ქართულ ენას ვასწავლი და მასთან, რასაკვირველია, მეც ვსწავლობ. „სწავლას ვაძლავ სიბერემდე არ მოსჭარბდება“, და ზედმიწევნით რომ დღესაც არ ვიცი რა ქართული ენა, არ ვამტყუებ. შოკულ შემთხვევაში, ჩვიდმეტი წლის გამოცთობებითა და საგნის დაკვირვებით, რაც უნდა უნიჭო იყოს ვაძლი, ცოტას რასმე მაინც შეიძენს, და მე მსურს — ჩემი დაკვირვების ნაყოფი ქართული ენის მოყვარულთ ვაუწყო.

პრეტერ ლიტერატურულ ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს. ძველათ ჩვენი მწერლების ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისგან განსხვავებული, და დღეს ვი რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმა და სიტყვების თუ წინადადებათა სხვადასხვაგვარი წყობილება; მაგალითათ, ზოგი სმარობს: რადენი, ტფილისი, შავიდენი, სოფლითვან და სხვ., ზოგი — რავდენი, თბილისი, შევიდენი, სოფლიდვან ან სოფლიდამ და სხვ., ზოგი — რამდენი, თფილისი, შევიდენი, სოფლიდან...

ამ მრავალგვარობის მიზეზი ის არის, რომ ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლდა, მწერალნი კი ამ თანდათანობას არ მიუღიან: ზოგი უძველეს ფორმებზე შესწერებულა, რადგან იმათთვის შეუხვევია თვალ-უური, ზოგს კი უხსლესი ფორმები შეუთვისებია და იმათ აძლეს უპირატესობას.

ზემოხსენებულ მწერალთა შორის დიდად შემცთარი არიან ისინი, რომელნიც თვითობენ, რომ ახლანდელი სა-მწერლო ენის ფორმები ძველებურ წიგნებში უხდა ვაძუბოთ, თუგანდ ის წიგნი „შეფხის-ტყალისნი“-ც იყოს. ძველ სახელოვან მწერალთა ესით, რასაკვირველია, უხდა ვისკლმდვანსელოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ენის განვითარებას, მის პრაგმატიულ წინსვლას არ ეწინააღმდეგებან.

როგორც ხალხის ცნობებზე, მისი სოციალური წყობილება იცვლება დროთა ბრუნვის მიხედვით, — ისე იცვლება ხალხის ენაც. მრი-საში წლის ბაჟში ენას იწვლეს, ატიტილებს, ატიკტიკებს, — ერთი სიტყვით — თუმიცა სისიამოვნოთ, მაგრამ უკანონოთ დაზარალებს; რამდენათაც იხდება, იმდენათ თანდათან მისი ენაც უახლოვდება ხალხის ჩვეულებრივ ენას, ან თუ სწავლობს — სა-მწერლო ენას. ხალხიც ამ განზნს ეძიარება და — თავისი გონების საფარის მდგრადობისდაგვარათ — ენას ან ამდიდრებს, ან აღარიბებს.

მეთერთმეტესა და მეთორმეტე საუკუნეში, ერის კეთილდღეობისა და სახელოვან მწერალთა მეხსებით, ქართული ენა თვალსაჩინოთ განვითარდა და გამშენიერდა. შემდეგ საუკუნეებში, როცა ქართველთა კეთილდღე-

ობამ იგლო, მათი კიაც დაღარობდა. შერთარსებუ სურგუნ-  
 ხეში სეღასლაჲ გაშობხდენ ქართულთი მწერლობის სარ-  
 ბიეღსუ სსხელოკანი ზირები—და ენამაღ ოწყა სეღასლაჲ  
 ადოტმინება. — „რა ენა წასდეს, ურიც დაეცეს“, ამოაბს  
 ბრ. მობეღობანი თავის ლექსებში. „გუღამა უნდა ეთქვა:  
 „ერი დაეცეს—ენაღა წასდეს“—ო, რადგან, რადგანაღ ახ-  
 ლა გსოტკი, ენის სიკეთე თუ სიჭუღე ერის აგარგობანი-  
 ბასუა დამოკიფებულა.

თუმიცა დღესდღეობით ჩვენი ენა ბეჭრ ცუღე ზირ-  
 ბასის ჩაყენებულა, თუმიცა ბეჭრი განემოება აუკონებს მის  
 წინსუღას, მაგრამ ის მთრც ცოტ-ცოტათი ითარღება,  
 დონიფრება, წინ მიდის. დღევანდელი მისი უმთავრესი  
 ხაგაღაღაგანება სუვით დავასსუღე: ეს არის მისი თორ-  
 მების მრგაღგარობა—და ხეში შრომის მიწანირც თს  
 არის, რომ შედებდასდაგარონი ჯამაგაგაღაღა, თუ რადან  
 თორმებს უნდა მიეცეს ჩვენი მწერლობაში უბირატკობა.

ამ თორმეთა მრგაღგარობის მიწეხს, სემოხსენე-  
 ბუღის განდა, კიდეკ ის განემოებაღ შეადგენს, რომ სპართ-  
 კეღას სადის სსკადასსუა ეუთსეში სსკადასსკანათხა  
 დახანკობს, განსსკაგებულ თორმებს სმარობს. ჩვენი  
 ქვეყანა თავდახკე თუ ბუნებით დაწაწიღებულა რამდენსე  
 ეუთსე, და თათიეულ მათგანში, ბუნებინსეკ სსკადასსკა-  
 ბის გამო, თავისებური სიჭოტსღე სღუღა, თავიშებურნი  
 ჩარსა ტრიაღობდა, რომეღოც ადგილობირიკ მიკიდრთა და  
 მათ ენას განსსკაგებულ სსსეს აძლეკა. მს ბუნებირიკი  
 კანონი დღესეღ თავის ძაღამი: კასეღი ამობს მათრც,  
 ქართულთი—მეოტა, იმეტი—მეოტა—ო, და სსუ.



ჩვენი მწერალნიც თავის თხზულებებში სშირათ იმ ფორმებს სმარობენ, რომლისთვისაც პატარაობიდან შეუზღვევით სმენა, ე. ი. თავისი კუთხის ენას. ამ მხრით განსაკუთრებით ხაჭართველას აღმოსავლეთის ნაწილის მწერალნი იტყვიან თავისუფლათ, და რა სიტუაცია ან ფორმას ყუჩს მოკრავენ თავის სოფელში, ყველაფერი ლიტერატურულ ენაში შეაქვთ. ეს მათი საქციელი იმ ცრუ აზრზეა დამყარებული, რომ ლიტერატურული ენა თავიდანვე ჩვენი კუთხის ენა ყოფილა და დღესაც ის უნდა იქნეს.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართველების ცხოვრება მცხეთაში დაწყებულია და იქიდან შედგებ, საუკუნეების განმავლობაში, ქართველი ტომი ნელნელა ყოველი მხრით გავრცელებულა და დაუჭირა ძველსავე რაღა დიდ წილას შეა აღმოსავლეთ-დასავლეთით და რაღა დიდ ქედს შორის ჩადილოეთ-სამხრეთით.

რა თქმა უნდა, სადაც ხალხის ცხოვრება უზირველესათ განვითარდა, პირველი ჩვენი მოღვაწეებიც იქ განხილენ და სამწიგნლო ენის საფუძვლათაც იქური კილო დადგინდა.

ამის მიუხედავათ, „შისრამიანში“, „შევისის-ტყალსანში“, „ხიბრძნე-სიტყუეში“ და სსკ. ბეკრი ადგილი მოიპოვებს, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი ძველი მწერალნი პრავინციებს უყურადღებოთ არ სტოვებდენ, და თუ რამე იქურ ენაში მოწიგნებოდათ, ლიტერატურულ ენაში შექონდათ.

ჩემი აზრით ლიტერატურული ენის შესახებ ეს არის:

1) ქართველი ლიტერატორი რომელიც ერთი კუთხის



ენით არ უნდა სელმძღვანელობდეს, არამედ საქართველოს უოკელი კუთხის ენას უნდა აქტივად უყრადღებს და იმათგან უსაჭიროები სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილსმოვასესი ფორმები ისმაროს; 2) ჩვენი მწერალნი აუცილებლათ უნდა შეთანხმდენ — ერთგვარი ფორმები ისმარონ, ერთგვარი ენახებით ისელმძღვანელონ სიტყვების ცვალებასა და წინადადებათა წყობილებაში.

ეს საქმე მეტათ საყურადღებოთ მიმახსნა, და თუ ამ ჩემი შრომით ზემოაქადნიშნულ მიხსნას სრულათ ვერ მივაწვკ, იმაში მაინც დაწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი გულმოდგინე კვლევა და წრთველი აზრი სულ უსარგებლოთ არ ჩაივლის.

ამ ჩემი შრომის დასასაბუთებლათ გადავიკითხე შემდეგი წიგნები: «მისრამიანი» (გამოც. 1884 წ.), «ვეფხისტყაოსანი» (ქართულიშვილის გამოცემა 1888 წ.), «ძილილა და დამხანა» (ილ. ჭყონიას რედაკტ. გამოც. 1886 წ.), «სიბრძნე-სიცრუის წიგნი» (პ. შმიკაშვილის რედაკტ. გამოც. 1871 წ.), «ღვითიანი» (მისივე გამოც. 1881 წ.), ბატონიშვილის მახუტის «ლოდრაფიული აღწერა საქართველოსა» (მ. ბროსეს რედაკტორ. გამოც. 1842 წ.), «ქართლის ცხოვრება» (მისივე რედაკტორ. გამოც. 1849 წ.), «ფსალმუნთა ღვითისი» (ბრიტან. ღვითისმეტე. საზოგად. გამოც. 1879 წ.) — და ჩვენი დროის მწერალთა თხზულებანი (ბრ. მრბეღიანის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკის, რ. მრისთავის, პ. წერეთლის და მრ. სსკ., აგრეთვე სწლსური ზეპირ-

სიტუაციის მსახურები დაკავის კრებულში — და ყველა ამოკრებილი მსახურა ხელში მარჯვს; მაგრამ რომელიმე საგნის დასასაბუთებლათ ყველა ავტორის აზრის მოყვანა შრომის მეტათ გააძელებდა, და ამიტომ იმათი აზრი მხოლოდ იქ მომყავს, სადაც უსაჭიროესათ დაინახე. — ძველი დროის მწერლებს შორის განსაკუთრებით გემყარები ჩემს კვლევაში სამ ავტორს: „მისრამიანის“ მთარგმნელს და „შეფხის-ტყაოსნის“ და „სიბრძნე-სიცრუის“ დამწერთ, რადგან ისინი ჩვენი წარსული ცხოვრების საუკეთესო ხასიათს წარმომადგენელნი და მასთან ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე პირები იყვნენ.

ამ გამოკვლევას კეთილგონივრული 1899—1900 წლების განმავლობაში, მადლობით, ქართული ენის მოყვარულთა მცირე რიცხვს ვწმობ, მათთან. ბერძნულ ენის სულ ვიკრიბებოდით — და ბევრი დრო მოვანდომეთ სადავო კითხვების გამოკვლევას. პირველ სსდომარე შემდეგი წინადადება მიუხედავად სსებებულ კრებს: დაკასახელოთ საქართველოს ორივე მხრიდან ქართული ენის მცოდნე პირები, მოვასთინოთ მათი კრება სადმე და დაკავალოთ — შეიმუშაონ ქართული ენის სადავო ფორმები, და რასაც ისინი დაადგენენ, საკვლევებლოთ გავისალოთ ყველამ და სამწერლო ენაში საერთოთ ამ ფორმები ვიხმაროთ-მეთქი. — ჩემი წინადადების დედაზრი ყველას მოეწონა, მაგრამ მისი პრაკტიკულით განხორციელება შესაძლებელათ ვერ დაინახეს — და ამიტომ კერძო წრეში და ვიწვე ამ შრომის კითხვა.

ზანსაკუთრებული გულმოდგინებით თ. ძირ. ლოკო-  
ტივანიძე ესწრებოდა ამ საღამოებს: ერთი კრებაც არ  
გამოუშვია—და სხვებთან ერთათ ბევრი საგულისხმო  
შენიშვნა წარმოსთქვა სხვადასხვა ფორმებისა და სიტყვა-  
ბის შესახებ. დამსწრეთა შენიშვნებმა დიდი დახმარება  
ამომიჩინა ჩემს შრომაში, მეტათ დამაკვირვს საკვლევ სა-  
განს,—თუმცა, უნდა გამოვსტუდე, ბევრში ვერ დავეთან-  
სძე ჩემს მოკამათებს.

ზულწირველ მადლობას ვუძღვნი ზემოთქალნიშნულს  
ძთელ წრეს.

ქუთაისი, 1901 წ. სექტემბერი.

### შემოკლება:

«ვისრ.» — «ვისრამიანი».

«ვეფს.» — «ვეფსის-ტუასანი».

«სიბ.-სიც.» — «სიბრძნე-სიცრუის» წიგნი.

«ქილ.» — «ქილილა და დამანა».

ლექსიკონში ზოგიერთ სიტყვებს გვერდით ციფრები უწის; ეს ციფრები მაჩვენებელია იმ გვერდის, სადაც განმარტებულია აღნიშნული სიტყვები.



# ჰირველი ნაწილი

## აბიოლოგია.

### I

#### აწსკბითი სსსკლკბი.

#### დძწთის — დკთის.

წინასიტყვაობაში მე ვამბობ: „ძველათ ჩვენი მწერლების ენა თათქმის არ ყოფილა ერთმანეთისგან განსხვავებული“-მეთქი. სიტყვა თათქმის იმიტომ ვიხმარე, რომ, თუმცა ძველი ჩვენი ენა არ ყოფილა ახლანდელივით აჭრელებული, მაგრამ ფორმების მრავალგვარობას იქაც ხშირათ შეხვდებით — არათუ სხვადასხვა მწერლების, არამედ ერთისა და იმავე მწერლის თხზულებაშიც.

შძველესი დროიდან დაწყებული დღემდი ვერ გადაუწყვეტიათ ჩვენს მწერლებს, თუ როგორ აბრუნონ სიტყვა „ღმერთი“. „ვისრამიანში“ ყოველგან იხმარება ფორმები: დძწთისა, დძწთაიჲ; „ვეფხისტყაოსანში“ — ხან დძქწთისა, უდძწთად, ხან კი (უფრო ხშირათ) დკთისა, დკთითა და სხ. ლესაც ჩვენი დიდი და მცირე მწერალნი არეულათ აბრუნებენ ამ სიტყვას.

სიტყვა ღმერთი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში განსხვავებულათ იბრუნვის: **ღვთის(ა)**, **ღვთით(ა)**. ამას ამტკიცებს საუკეთესო თხზულებათა უმრავლესობა და აგრეთვე ხალხის ზეპირსიტყვაობა; კეთილხმოვანებითაც, რა თქმა უნდა, ეს ფორმები სჯობია მეორე ფორმებს. აქიდან წარმოებს სიტყვები: **ღვთაება**, **ღვთაებრივია**, **ღვთიური**, **ღვთიანი**, **საღვთო**.

### ხმოვანთა გაძოგლება ბრუნვებში.

აღმოსავლეთის საქართველოს ზოგიერთი მწერალი (მაგალ. **ნ. ბარათაშვილი**, **ილ. ჭავჭავაძე** და სხ.) სიტყვას **ქანთველი** ასე აბრუნებენ: ნათეს. **ქანთველის**, **მოქმ. ქანთველით** და სხ.

მართლაც, არის კანონი, რომელიც გვაცნობებს, რომ მხოლოდობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვნებითში, და პირველი დაბოლოების (ები) მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში იკარგება ძირის ხმოვანები **ა**, **ე** **ი** **ო** იმ არსებით სახელებში, რომელსაც აქვს რომელიმე ამ დაბოლოებათაგანი: **აღა**, **აში**, **ანი**, **არი**, **ელი**, **ეში**, **ენა**, **ერი**, **ოღი**, **ოში**, **ონი**, **ორი** \*). მაგ-

\*) ნეტარხსენებული ღიმ. შიფიანი მოგვითხრობს ამ კანონს თავის გრამატიკაში (გვ. 34—36); მაგრამ ზოგი მაგალითები უადგილოთ მოყავს და გამოსარიცხავი სახელებიც ცოტა აქვს მოყვანილი. საზოგადოთ ეს კანონი მე ამგვართ-



რამ არის იმისთანა სახელები, რომელიც ამ კანონს არ ემორჩილება: მათ შორის ურევია სიტყვა ქართ-ველი-ც. მს. სიტყვა რომ მხოლოდობით რიცხვში კარ-გავდეს მ-ს, მაშინ მრავლობითშიც უნდა ეკარგებო-დეს მ და, მაშასადამე, უნდა გვეთქვა: ქართველები, ქართველებო და სხვ. (როგორც აძერქლა—აძერქლას, აძერქლები, აძერქლებო); მაგრამ მრავლობითში ყო-ველთვის იხმარება ქართველებო, ქართველებას, ქართ-ველებო და სხ., მაშასადამე მხოლოდობითშიც არ და-იკარგება ხმოვანი მ—და უნდა ვაბრუნოთ: ქართვე-ლას, ქართველათ, ქართველათ.

შევიმუშავე: 1) შემოხსენებულ კანონს ემორჩილება სამ ან მეტმარცვლოვანი სახელები; ამათ შორის არ ემორჩილებიან (ე. ი. არ კარგვენ ხმოვანებს): ზარალი, მოთალი, მტარკა-ლი, მწკერკალი, სალაში, წამწამი, თარგმასი, ასსამასი, ნეკტარი, თაკელი, მრეწველი, მართველი, სახელი, ქართ-ველი, ჩანჩქერი, საწოლი, ბაგკონი, ღიმონი, კაკონი, ნამონი, ნიონი, სასწონი (და ყველა უცხო სახელი მრ-ზე: იმპერატორი, რედაქტორი და სხვ.); აგრეთვე საზოგადოთ საკუთარი სახელები: ბურიელი, ძარელი, თამარი, ბაქარი, მუინვარი და სხ.; აგრეთვე: კახელი, მეგრელი, ქართლელი—და საზოგადოთ მზავსათ ნაწარმოებნი, გარდა სიტყვისა იმე-რელი, რომელიც კარგავს მ-ს (იმერლის და სხ.).—სახელები მიდორი, მასონი, დიაკონი, მონაზონი ჩაირთავს მ-ს (უკეთ ვსთქვათ—მ იქცევა მ-თ): მიდგორის, მასწონის, დიაკონის, მიდგ-რით, მიდგრათ, მიდგრებთ.—2) ორმარცვლოვანი სახელები ამ კანონს საზოგადოთ არ ემორჩილება,—გამორიცხვით კი შემ-დეგი სახელები ემორჩილება მას (ე. ი. კარგავს ხმოვანებს): თკალი (ძვირფასი ქვა), ძკალი, რძალი, კკალი (მიწის ზომა),

აქვე უნდა ვსთქვა, რომ არაერთარი კეთილ-  
ხმოვანება არ ამართლებს ფორმებს: ნიგნის (ამის  
მზგავსათ რაკაში ამბობენ რიგნის—სიტყვიდან რი-  
ონი, და ძახეთში იგნის—სახელიდან იონი), გო-  
ნიგნის, მშვენიგნის, მშვიგნები, ძაგავნათ, დონიგ-  
ნათ, უდაგნობა, უდაგნათ, მშვიგნის, მშვიგნები,  
ნებიგნათ\*). ჩემი აზრით, ბევრათ უფრო კეთილხმო-  
ვანია: ნიონის, ნიონით, ნიონათ, გონიენის, გო-  
ნიენათ, გონიენათ, მშვენიენის, მშვენიენით, მშვე-  
ნიენათ, მშვიენება და სხ. და სხ.—„ვისრამიანში“

ბალი, წყალი, სმალი, სსალი, სსნა (სსის, ხნით,—მაგრამ  
ამსსნათ, ამ სსნებში), ჯკარი, ცკარი, მტკვარი, ზკარი,  
ჩკარი, ძარი, ქმარი, მკელი, ჯგდელი, შკელი, წელი (წე-  
ლიწადი), ძღენი, წკენი, მტერი, მტკერი;—ჰ) ამ კანონსვე  
გამორიცხვით ექვემდებარება შემდეგი სახელები: ქკეყანა, სო-  
მესი, ყასხი, კაკახი, ბეჭედი, ერისთავი, მოყვარე, აძხავი,  
ძაგ. ქკეყნის, ქკეყნით, ქკეყნები, სომსის, სომსები, კაკ-  
ბის, კაკბები, ბეჭდის, ბეჭდით და სხ., და სახელი ნიგონი  
ჩაირთავს ვ-ს (ვ=ო): ნიგონის, ნიგონით, ნიგონები და სხ.

ხშირათ უკანონოთ აბრუნებენ სიტყვას დედოფალა  
(=ტიკინა): დედოფლის, დედოფლები და სხ.; ასე იბრუნ-  
ვის სიტყვა დედოფალა, როგორც ალი-ზე დაბოლოებული  
სამმარცვლოვანი სახელი; დედოფალა კი — დედოფალასი,  
დედოფალათი, დედოფლები, დედოფლებს და სხ. სიტყ-  
ვებს წამწამი და კეშამი ხშირათ ამოკლებენ უწერლობაში  
(წამწამის, კეშამის და სხ.), მაგრამ ამთგან სრული ფორმა  
უფრო კეთილხმოვანია (წამწამის, კეშამის, წამწამები და სხ.).

\*) ვ-ით შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ ხმნის ფორმები:  
ნებიგნობა, ვანებიგნობა, ვანებიგნობდი, ვანებიგნობე და სხ.

ნახმარია ნათესაობითი ნიორისა (გვ. 363), „შილ.“—ში-  
მკაეჯად (გვ. 99)—და იმერეთშიც ყოველგან ზე-  
მოხსენებულ სიტყვებს ხმოვანებით წმარობენ (ნიო-  
რის, გონიერის და სხ.).

უკანონოთვე იხმარება: აძბავის ან აძბვის, აძბ-  
ვათ, ქძმას, ქძმის, ქძმათ და სხ.; უნდა: აძბის,  
აძბით, აძბათ, აძბები, ქძმის, ქძმის და სხვ.

### ნათეს. ბრუნვის დაბოლოება სი.

მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას ორ-  
ნაირი დაბოლოება აქვს: ის და სი. ბევრს ჩვენს  
მწერალს დღემდე ვერ გაუსაზღვრავს, თუ როდის  
იხმაროს დაბოლოება სი: ბაბუის, ბებუის, ჭავჭავა-  
ძესა-ო და სხ. — უკანონო წმარობენ ზოგიერთები.  
მხოლ. რიცხვის ნათესაობითში სი-ზე შემდეგი სა-  
ხელები დაბოლოვდება: 1) სახელობითში ო-სა და  
უ-ზე დაბოლოებული სახელები (რკო, ბუ—რკოსი,  
ბუსი), გარდა სიტყვებისა ღვინო და ღრთ (ღვინის,  
ღვინით, ღრთის, ღრთით); 2) ა-სა და ე-ზე დაბო-  
ლოებული ადამიანთა სახელები (მამია, მლენე—  
მამიასი, მლენესი); 3) ა-ზე დაბოლოებული გვარე-  
ბი (ბუგუნავა, მლიავა—ბუგუნავასი, მლიავასი);  
4) ა-ზე დაბოლოებული იმისთანა რთული სახელები,  
როცა დაბოლოების ა-ნის ალავას მარტივ სიტყვა-  
ში ი ზის: შავთვალწარბა, ძირტკბილა (წარბი, ტკბი-  
ლი)—შავთვალწარბასი, ძირტკბილასი; 5) ა-ზე და-

ბოლოებულ კნინობითი სახელები (ჩიტუნია, გოგონა—ჩიტუნისი, გოგონასი); 6) დაცინვითი სახელები ა-ზე (ტირია, წუნია, ცხვირა, ხუმარა, კბენია, მაწანწალა და სხვ.); 7) ნათესავთა რთული სახელები ა-ზე: ბაბუა, ბებია, ბიძია, ძია (ბიძა-კი — ბიძის), დეიდა, მამიდა, ბაბუდა, ბებიდა, აგრეთვე გაღია; 8) შემდეგი სახელები: ქვა, ტყვია, ჩიხა, სკანჩა, ბეჭა, თქვა, წვერა, კერა (კერა), წითელა...

ზემოთხსენილი კანონისამებრ, არ შეიძლება ითქვას ქრისტიანობის (სიტყვისგან ქრისტიანობა), როგორც ხმარობენ ხშირად აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ქრისტიანობა (შემოკლ. ქრისტიანობა), საიდანაც კანონიერად წარმოებს სიტყვა ქრისტიანობისთვის (ქრისტიანობისთვის), და არა ქრისტიანობისთვის ან ქრისტიანობისთვის.

ჩემი აზრით, უკანონოა ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში ნაცვალსახელების ამგვარად ბრუნვება: ამისი, ამითი, ამისი, ამითი; ხალხში და ახალ მწერლობაში ხშირად იხმარება ეს ფორმები, მაგრამ საზოგადო კანონით სრული ფორმა იქნება ამისა, ამისა, ამითა, ამითა (ან მოკლედ: ამის, ამით და სხ.).

ნათესაობითში სი-ზე დაბოლოებულ სახელებს მოქმედებითში დაბოლოება იქნება: გოგონათი, კერათი.

### ვნებით ბრუნვაში დაბოლოება თ.

ვნებითი ბრუნვისა და მისგან ნაწარმოები ზმნისართების დაბოლოებათ ზოგიერთი მწერალი ღ-ს ხმარობა, ზოგი კი თ-ს.

ძველ მწერლობაში თ-ს ხმარობდენ შემდეგ სიტყვებში: ესრეთ, უკეთ, წინათ, აქეთ, ჯერეთ, ეგრეთვე, ანაზღათ, გაძეთ \*). „ვისრამიანი“ ნახმარია ერთ ადგილას ვნებით ბრუნვათ დღეთ (გვ. 58).

მეთვრამეტე საუკუნის თხზულებებში უფრო ხშირათ შეხვდებით თ-ს ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში. ღვით ბურამიშვილი ხმარობს: ეგრეთ, დიდათ, სწორეთ, გაძეთ, რათ, აგრეთვე, ცუდათ, უეცრათ, საჩქებრათ, რაღათ, ანაზღათ, ერთათ, კაცათ, უზომოთ, კარგათ, მწარეთ და სხ.; საბა მრბელიანი „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში: ესრეთ, ჯერეთ, ეგრეთვე, საგზღათ, ამხანაგათ, ლუკმათ, ბანათ, ავათ, უკეთ, მსგავსათ, რათ, ცუდათ, გაძეთ და სხ.

ჩვენი საუკუნის მწერალნი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ძლიერ ხშირათ ხმარობენ თ-ს ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში. ღღეს ამ მართლწერის წარმომადგენელი მეტია, ვიდრე წინააღმდეგის (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ, ზოგიერთი ჩვენი რედაქციების წყალობით, მათი თა-

\*) „ვისრამიანი“—გვ. 4, 7, 32, 37, 39, 50, 64, 297, 307; „მეფის-ტყაოსანი“—გვ. 313, 315 და სხ.

ნამშრომელნიც იძულებული არიან—იმათს მართლ-  
წერას დამორჩილდნენ).

ვნებით ბრუნვაში **თ**-ის ხმარების წინააღმდეგი პირები თავისი აზრის საბუთათ ამას ამბობენ: ვნებითში რომ **თ** ვიხმაროთ დაბოლოებათ, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში აზრი აირევა, რადგან მხოლოობითის ვნებითი მრავლობითის მიცემითსა და სხვა ბრუნვებს დაემზგავსებო. მაგრამ ეს საბუთი არ არის საფუძვლიანი: ყოველ ენას აქვს რამდენიმე ბრუნვა ერთნაირი, მაგრამ აზრი არ არევიათ; ქართულშიც მრავლობითში **ნი**-ზე დაბოლოებულ სიტყვებს სამი ბრუნვა (ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი) ერთნაირი დაბოლოების აქვს, მაგრამ აზრები არ აგვრევიან, რადგან წინადადებაში ბრუნვები ადვილი გასარჩევიან.

მართი სიტყვით, ყოველი გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში დაბოლოების **ლ**-ის ადვილი **თ**-მა უნდა დაიჭიროს, და ეს ასეც უნდა მომხთარიყო, რადგან ქართული ენა, როგორც ყოველი სხვა ენა, გამოთქმით თანდათან მარტივდება, და **თ** დაბოლოებაში უფრო ადვილი გამოსათქმელიან, ვიდრე **ლ**.

შემდეგი სიტყვები ამ კანონიდან უნდა გამოირიცხოს და **ლ**-ით უნდა იხმაროს: ძანად, კვალად, ფინად, მხლად, სრულიად, ყოვლად.



### წოდებით ბრუნვასა ო, თუ ვ?

წოდებით ბრუნვაში ზოგჯერ ძველათაც ხმა-რობდენ და დღესაც იხმარება ა-სა, მ-სა და ო-ზე დაბოლოებულ სახელებში დაბოლოებათ ო-ნის მაგიერ ვ: დავ, ხელმწიფევ და სხ. უპირატესობას კი როგორც ხალხი, ისე მწერალნიც ამ შემთხვევაში ო-ს აძლევენ — და ერთგვარობისათვის უმჯობესია ყოველგან ო ვიხმაროთ: დაო, ხელმწიფეო, ძეფეო, რკეო და სხ. \*).

შემდეგ სახელებს წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი: 1) ნათესავთა და მოყვარეთა სახელებს ა-ზე: დედა, ძაძა, ძაძია, დაია, ძია, ბიძა, ბებია, ბაბუა, ძაძიდა, დეიდა, ბებიდა, ბაბუდა, ძიძა, ნათლია და სხვ.; 2) ზედსართავთაგან გაკეთებულს ო-ზე დაბოლოებულ სახელებს, მაგალითათ: ჩემო საცრფო! ჩემო სამშობლო! 3) საკუთარ სახელებს საზოგადოთ ა-სა, მ-სა, ო-სა, და უ-ზე: ბურთა! წყაღწითელა \*\*)! ძვირიკე \*\*\*)! საგუტამო! ღვაბ-სუ! \*\*\*\*); 4) ადამიანთა სახელებსა და გვარებს ყველა ხმოვანზე, ი-ნს გარდა: ივანიკა! პეტრე! სილიბისტრო! ზუგუნავა! ბერიძე! 5) მოხელეთა სახელებს მ-ზე: ძეველე! ძეწულე! ძებაღე! 6) კნინობით სახელებს ა-ზე: ჩატუნია! გოგონა! 7) რთულ სახელებს

\*) მხოლოდ ლექსებში შეიძლება ორივე ფორმა ვიხმაროთ ლექსთაწყობის საჭიროებისდაგვარათ (ნახე ქვეით „ლიცენცია პოეტისა“).

\*\*\*) მდინარეა; \*\*\*\*) სოფელია; \*\*\*\*\*) სოფელია..

ა-ზე (როცა ეს ა გადაკეთებულია ი-ნისგან): შავ-  
თვალ-წაბბა! ეელწითელა! (წარბი, წითელი); 8) და-  
ცინვით სახელებს ა-ზე: ტირია! წუნია! 9) ზოგი-  
ერთს საზოგადო სახელებს ა-ზე: ძელაა! კეცია! ძეცა!  
წეცა! და სხვ. (ნახ. გვ. 15—16); 10) ი-ზე დაბოლოე-  
ბული სახელების შესახებ შემდეგი კანონი არსებობს:  
თუ დაბოლოების ი უცვალბებელია, წოდებითი ისე  
აქვს, როგორც სახელობითი: ბიორგი! აკაკი! და  
თუ ეს ი საცვალბებელია, მაშინ წოდებითში იხმა-  
რება ი-ნის გამოკლებით: ლავითი, ანტონი—ლავით!  
ანტონ!

### ძაწქები—ძაწქება.

მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას ზოგ-  
ჯერ უკანონოთ აბოლოებენ,—სწერენ: ძაწქები, ძა-  
ძქები, ძაეძები, ძდანაძები, წახები და სხ. მართა-  
ლია, ხალხში ხშირათ ისმის სიტყვები ამგვარი და-  
ბოლოებით, მაგრამ კანონიერი დაბოლოებითაც ამ-  
ბობენ, და მწერალნი კი იშვიათათ ხმარობენ ამ  
ფორმას. საზოგადო კანონით ა-ზე დაბოლოებული  
სახელები მრავლობითში ა-ს არ კარგავს, და, მაშა-  
სადამე, პირველ დაბოლოებაში ორი ა მოიყრის  
თავს: კლდე—კლდეები, ხე—ხეები და სხვ. შემო-  
ხსენებული სახელებიც კანონისამებრ ამგვართვე

უნდა ვაბრუნოთ: მოწმეები\*), მოძმეები, მოყმეები, მდინარეები, ციხეები და სხ.

### დასსებაები—დასსებები.

მბა-სა და მბა-ზე დაბოლოებულ სახელებს მრავლობით რიცხვში ზოგიერთი ჩვენი მწერალნი უკანონოთ აბრუნებენ: გრძსებაები, დასსებაები, გაწთობსება-ო და სხ. ღილი შეცდომაა: ა-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობითში, როცა პირველი დაბოლოებით იბრუნვის, ა-ს კარგავს (მთა—მთები, ჭიქა—ჭიქები, მთებს, ჭიქებს და სხ.). მაშასადამე, უნდა ითქვას: გრძსებები, გაწთობები, დასსებები,—თუმცა მბა-სა და მბა-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობითში უმჯობესია. მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ: გრძსებასა, გაწთობასა, გრძსებათა, გაწთობათა და სხ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ენის უცოდინარი ზოგიერთი მწერალნი ხმარობენ: ჩაწაება, ბეღურაება-ო და სხ.; რა თქმა უნდა, რომ ა-ს აქ ადგილი არ აქვს.

ბეთილხმოვანება მოითხოვს, რომ მრავლობითში მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ ის სახელები,

\*) სიტყვისგან მოწმე მხოლ. რიცხ. ვნებით ბრუნვაში ზოგან ხალხი და ზოგიერთი მწერალიც ხმარობს მოწმასთ, კანონით კი უნდა ვინმართ მოწმეთ, როგორც კლდე—კლდეთ, ხე—ხეთ.

რომელსაც მხოლოობითის სახელობითში დაბოლოვებათ ლებელი აქვს: მასწავლებელი—მასწავლებელსა, მასწავლებელთა, მწვალებელი—მწვალებელსა, მწვალებელთა და სხ.; ამგვართვე სჯობია ვაბრუნოთ ნაცვალსახელი რამქელა: რამქელსა, რამქელთა და სხ.

### ეძანებო, ძმებო და სხ.

ძველსა და ახალ მწერლობაში ხშირათ შეგხვდებათ მრავლობითში ორივე დაბოლოებით (ება და ნა) ნაბრუნები სახელები: ეძანებო, ძმებო, კაცებო და სხ. რა მოხელეა ორივე დაბოლოება, როცა ასე ნახმარი ფორმა არც კანონიერია და არც კეთილხმოვანი? მრავლობითში მიუცილებლათ უნდა დარჩეს ორივე დაბოლოება (ება და ნა), მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ერთმანეთში არ ავთრიოთ: ან უნდა ვიხმაროთ ძმება, ძმებს, ძმებმა, ეძებო და სხ., ან ძმანი, ძმათა, ეძანო და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანონოთ იხმარება აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებისაგან მრავლობითში ორკეცი დაბოლოებით სიტყვა კანა: კანებები-ო, ხმარობენ ისინი (კანები-ს მაგიერ), დანები (დანები-ს მაგიერ). უკანონოა აგრეთვე ხმარები, სახლები—ხმარები-სა და სახელები-ს მაგიერ.

### ღმერთა, ძეგა და სხ.

რუსული ენის მიბაძვით, ზოგიერთი ჩვენი მწერალნი, ვითომდა „მდედრობითი სქესის“ აღსანიშნავათ, რამდენმე სიტყვას რუსული დაბოლოებით ხმარობენ: ღმერთა, ძეგა, ბატონა, ხელმწიფა-ო და სხ. ჭართულ ენაში სქესი არ არსებობს, და, მაშასადამე, მის აღსანიშნავათ განსაკუთრებული დაბოლოება ჩვენს ენაში სრულიად შეუფერებელია. ძეგა ვაჟზეც ითქმის და ქალზეც (თამარ ძეგა-ო, ვამბობთ ყოველთვის, და არა თამარ ძეგა), და ღმერთა—ვაჟის სახელით წარმოვიდგენთ მას, ხუ ქალის—ქართულათ მაინც ღმერთა იქნება.

### ღავით, თამარ — ღავითა, თამარა.

ადამიანის ზოგიერთ საკუთარ სახელებს ძველი და ახალი მწერალნი სახელობით ბრუნვაში თანხმოდანზე აბოლოებენ, მაგალითათ: ტარიელ, ავთანდილ, შრიდონ, თამარ და სხ. შოთა რუსთაველი ზოგჯერ ხმოდანზე აბოლოებს, თუმცა უფრო ხშირათ თანხმოდანზე აქვს დაბოლოებული, — მაგალითათ, ის ხმარობს: ასძათი (გვ. 204, 304, 326), ტანაელა (გვ. 340). ახალ მწერლობაში უფრო ხშირათ ხმოდანზე აბოლოებენ. საზოგადოთ, ჩემი აზრით, შემდეგი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ მართო სახელი იხმარება ცალკე, მაშინ ხმოდანზე

დავაბოლოვით, და თუ სხვა სახელთან არის ნა-  
ხმარი, მაშინ თანხმოდანით ვიხმაროთ, — მაგ. **თამადა**.  
მეფობდა მე-12 საუკუნეში, **ტარიელი**, **პეთანდილი**  
და **ჴრიდონი** არიან „**ჴეფხის-ტყაოსნის**“ გმირები.  
**ანტონა** კარგათ სწავლობს და სხ.; ან: **თამაძე** მეფე;  
ცხოვრობდა მე-12 საუკუნეში, **ანტონ ღუმბაძე** კარ-  
გი მგალობელია.

## II. ზედსართავი სახელები.

შედაწებითა ხანისხა (უტკბესი, უგძესი და სხ.):

ბევრი ხმარობს ახალ მწერლობაში შედარებით  
ხარისხში: **უტკბალესი**, **უგძელესი**—ო და სხ. შემ-  
დეგი ზედსართავები: **ტკბალი**, **სსვილი**, **თფილი**,  
**გძელი**, **ჴტყელი**, **თხელი** შედარებ. ხარისხში კარ-  
გავს მარცვლებს **ელ**-სა და **ილ**-ს: **უტკბესი**, **უსსგე-**  
**სი** \*), **უგძესი** და სხ.

**ჴუთათუკი**, **ოჴუტგელი** და სხგ.

**ჴუთაისელი**, **ოჴუტგეთელი**, **ჴობუღეთელი**, **სვან-**  
**ნეთელი**, **ჴანეთელი** და სხ. უკანონო ფორმებია.

\*) ჴორმას უძისსოთა კეთილხმოდანებით სჯობია უსსგესი.



როგორც ადამიანზე, ისე უსულო საგნებზედაც ითქმის ქუთათუნი: ქუთათუნი ვაჭარი, ქუთათუნი ლეინო. ქართლ-ძახეთში ხშირათ უწოდებენ ქუთაისის მცხოვრებს ქუთათელს და ბურიისას—გურთელს; მართალია, კანონიერი ფორმებია, მაგრამ, რადგან ქუთათელი ქუთაისის მიტროპოლიტს ეწოდებოდა და გურთელი—ბურიის მფლობელს, ამიტომ ამ მხარეების მცხოვრებთა აღსანიშნავათ იგივე ზედსართავები იხმარება, რაც უსულო საგნებისათვის, ე. ი. ქუთათუნა და გურთელა.—როცა მთი-ზე ბოლოვდება გეოგრაფიული სახელწოდება, ზედსართავის ფორმაში მთ-ს კარგავს ხოლმე (ძახეთი—კახელი, იმერეთი—იმერელი, იმერი და სხ.),—მაშასადამე უნდა ვიხმაროთ ოზუტგელი, ქაბულელი, სვანელი, ჭანელი (ან, როცა ცალკე იხმარება, როგორც არსებითი სახელი—სვანი, ჭანი).

### სწოლი, ძრუდი, ფუჭი, უქმი.

შემდეგს ზედსართავ სახელებს ზოგი მ-ზე აბოლოებს და ზოგი ი-ზე: სწოლი, ძრუდი, ფუჭი, უქმი—სწოლი, ძრუდი, ფუჭი, უქმი. „ვეფხ.“-ში სიტყვა ძრუდი ი-ნით არის ნახმარი (გვ. 235), იქვე ნახმარია სწოლი (მაშასადამე სახელობითი იქნება სწოლი,—გვ. 349).—მართლწერა სწოლით მაშინ იხმარება, როცა ეს ზმნისართი უდრის ზმნისართს ნაძღვლითი,—მაგალ. სწოლით კვირას მოვალთ.—შმაჯო-

ბესია ეს სახელები საერთოთ ი-ნოთ ვიხმაროთ, და, მაშასადამე, ვნებითი ბრუნვა მათგან იქნება: **სწოწათ**, **მრუდათ**, **ფუჭათ**, **უქმათ**.

---

**კა(რ)უდი, და ანა კა(რ)ებუდა.**

მეტათ უკეთილხმოვანოა ფორმა **ემებუდა**, **კა(რ)ებუდა** და სხ., როგორც იშვიათათ ხმარობენ ჩვენს მწერლობაში; არსებ. სახელთაგან ნაწარმოებ ზედსართავებში უმჯობესია ჩასართი **ურ**: **კა(რ)უდი**, **ემუდა** და სხ.; ჩასართი **მბურ** მხოლოდ ნაცვალსახელთაგან ნაწარმოებში უნდა: **ჩვენებუდი**, **თქვენებუდი**, **ძაოებუდა** და სხ.

---

III.

**ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი .**

ნაცვალსახელთა შორის განსაკუთრებით არეულათ ხმარობენ ბრუნვებში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ფორმებს: **ვანძეის**, **ვანძეს**, **წამას**, **წასძეს**, **ვასძეს**-ო და სხ.

ძველ მწერლობაში ეს ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, რომ ყოველთვის პირველი ნაწილი (საკუთრივ ნაცვალსახელი) იცვლება და ბოლოში უცვლელათ ემატება ნაწილაკები **მი** და **ლაც**: **ვისიძე**, **ვისიძაც**, **ვასძე** და სხ. ახალ მწერლობაშიც ზოგი

ასე აბრუნებს, ზოგი კი ისე, როგორც ზევით აღ-  
ვნიშნეთ. ძველი ფორმები უფრო კეთილხმოვანია,  
და ჩემი აზრით უმჯობესია — ისინი ვიხმაროთ. მაშა-  
სადამე, ეს ნაცვალსახელები ასე უნდა ვაბრუნოთ:  
განძე, გასაძე, გასძე, ვანძე, ვასათძე, რათძე;  
რძე, რასძე, რასძე, რაძემ \*), რათძე, რათძე; რა-  
ძელიძე, რაძელასაძე, რაძელსაძე, რაძელძაძე, რაძ-  
ელითძე, რაძელათძე.

რაც შეეხება ნაცვალსახელებს ვაღაძე, რაღაძე  
და რაძელიღაძე, ისინი შერეულაა იბრუნვიან —  
ზოგ ბრუნვაში ძველი ფორმით, ზოგში ახლით:  
ვისიღაძე, ვაღაძას, ვაღაძაძე, ვისითღაძე, რაღაძათ;  
რისღაძე, რაღაძას, რაღაძაძე, რითღაძე, რაღაძათ;  
რაძელისღაძე, რაძელღაძას, რაძელღაძაძე, რაძელით-  
ღაძე, რაძელათღაძე.

მრავლობით რიცხვში განუსაზღვრელობითი ნა-  
ცვალსახელებისგან იხმარება: ვანძეები, რაძეები, რა-  
ძელიძეები, ვაღაძეები, რაღაძეები, ვანძეების, რაძე-  
ების, ვანძეებს, რაძეებს, ვანძეებმა, რაძეებმა, ვაღა-  
ძეების, რაღაძეების, ვაღაძეებს, ვაღაძეებმა და სხვ.

ახალ მწერლობაში ხშირათ იხმარება მრავლო-  
ბითი რიცხვის ქვემდებარესთან ნაცვალსახელი თა-  
ვიანთა: ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენო და სხვ.  
ეს ფორმა მეტათ უკეთილხმოვანოა — და აზრის და-  
უბრკოლებლათ, ქვემდებარის რიცხვის მიუხედავათ,

\*) ამ ბრუნვაში ახალ ფორმას ეძლევა უპირატესობა,  
რადგან ძველი ფორმა უკეთილხმოვანოა.

ყოველთვის შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ. რიცხვის ფორმა თავისა: ისინი თავას საქმეს აკეთებენ, თავას შეიღებებს ზღიან და სხ. \*)

#### IV.

### რიცხვითი სახელები.

არეულათ ხმარობენ რიცხვით სახელებს **აღწაკე**, **საძაკე** და სხ., — ზოგი ხმარობს **აღწაკენა**, **საძაკენი** ზოგი — **აღწაკე**, **საძნაკე**, **სუთნაკე**, **ბევრი კი** — **აღწაკე**, **საძაკე**, **სუთაკე**. საზოგადოთ ძველათ ასე იყო მიღებული, რომ ნაწილაკ **30**-ზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები ისე იბრუნვოდა, როგორც **ვანძე**, **წაძე** და სხ., ე. ი. იბრუნვოდა საკუთრივ რიცხვითი სახელი, და **30** კი ბოლოში ემატებოდა უცვლელათ: **აღწაკე**, **აღწაკე**, **საძნაკე**, **საძთაკე**, — როგორც **ისვე**, **მასვე**, **მასვე**, **ძითვე** და სხ. ჩემი აზრით კი არც **აღწაკე** (სამნივე, ოთხნი-

\*) ზოგიერთი მწერალი სრული დაბოლოებით აბრუნებს ამ ნაცვალსახელს (**თავისს** საქმესო და სხ.), ვითომ არავინ იფიქროს, რომ აქ თავსვე საუბარიო. უსაფუძვლო შიშია, რადგან წინადადებაში ყოველთვის ადვილი გასაგებია, რაზედაც არის ლაპარაკი. თუ საუბარში არ გვეშლება აზრის გაგება (გამოთქმაში ორი ს სრულიადაც არ ისმის), ვითომ ნაწერში რა აგვირვეს აზრს?! შოთა სწერს: „თავსა გვირგვინი დადგა თავის სკლიტა“-ო (გვ. 11)—და, რა თქმა უნდა, ყველასთვის ცხადია, რომ თავი აქ არაფერ შუაშია.

ვე და სხ.) არის კანონიერი ფორმა და არც **აღა-  
გენი**, რადგან რიცხვითი სახელის მრავლობით რიცხვს  
არავითარი მნიშვნელობა არ აქვს (თუ კი საგნების  
რიცხვი, მაგალითათ, **აღია**, მრავლობ. რიცხვის და-  
ბოლოებით მათი რაოდენობა ხომ არ შეიცვლება?!  
**აღნი**, **საძნი** და სხ. მაშინ ითქმის, როცა უნდათ  
აღნიშნონ რამდენიმე წყვილი, რამდენიმე სამი და  
სხ.). ამ სახით, უნდა დარჩეს ფორმა **აღაგე**, **საძაგე**,  
**აღთაგე**, **ხუთაგე** და სხ., როგორც აზრითაც კანონ-  
იერი და გამოსათქმელათაც მარტივი ფორმები, რო-  
მელსაც ამასთანავე დღეს ხმარობს მთელი იმერეთი  
და დღევანდელ მწერალთა უმეტესი ნაწილიც.

რაც შეეხება ამ სახელთა ბრუნვებას, ხალხიც  
და მწერალნიც დღეს იმათ უმეტესათ ასე აბრუნე-  
ბენ: **აღაგე**, **აღაგესი**, **აღაგეს**, **აღაგემ**, **აღაგე-  
თი**, **საძაგე**, **საძაგესი**, **საძაგეს**, **საძაგემ** და სხ.

ხშირათ უკანონოთ აწარმოებენ რიგით რიცხ-  
ვით სახელს: **მეაგდაათე**, **მეაგდაათე-ო** და სხ.  
რთულს რიცხვით სახელებში რიგითი ფორმისთვის  
ნაწილაკი **მე** ბოლონდელ ნაწილს ემატება: **აგდა-  
მეათე**, **აგდამეათე**, **აგდამეათესუთე**, **ას** **აგ-  
დამეათესუთესმეტე** და სხ.; ასე იხმარება ახლა ხალ-  
ხის ენაში, თუმცა ძველ მწერლობაში **მე**-ს წინ უსვამ-  
დენ.

V.

**როგორ უნდა ვაბრუნოთ ზედსართავი სახელი  
არსებითთან?**

როცა ზედსართავი სახელი დაბოლოებულია **ა**,  
**ე**, **ო** და **უ**-ზე, არსებით სახელთან ბრუნვებაში  
უცვლელათ რჩება: **ღრმა წყალი**, **ღრმა წყლე-**  
**ბი**, **ყრუ კაცი**, **ყრუ კაცმა**, **ყრუ კაცებს** და სხ. და სხ.

მხოლოდ **ი**-ზე დაბოლოებული ზედსართავი სა-  
ხელი წარმოადგენს სადავო საგანს, **ზოგი ხმარობს:**  
**კეთილის კაცის**, **კეთილს კაცს** და სხ., **ზოგი—კე-**  
**თილი კაცის**, **კეთილ კაცს**, **კეთილა კაცით**, **ზოგი**  
**კი—კეთილ კაცის**, **კეთილ კაცით...**

შველა ზემოხსენებული ფორმა თანასწორათ არის  
გავრცელებული დღევანდელ მწერლობაში. ჩემი შეხე-  
დულებით, აი რა ხასიათი აქვს ამ ფორმებს. პირველი  
ფორმა (კეთილის კაცის, კეთილს კაცს და სხ.) არის  
ძველი ჩვენი ენის დამახასიათებელი ფორმა, რომელიც  
დღევანდელ ქართულს, გამოთქმითა და მართლწერით  
გამარტივებულსა და გაადვილებულს, აღარ შეფერის.  
რაც შეეხება ორს დანარჩენ ფორმას, ორივე წარმოად-  
გენს ჩვენი ენის უკანასკნელ ფორმაციას—და ამ  
ორში ერთი უნდა ავირჩიოთ. ჩემი აზრით, კეთილ-  
ხმოვანებისთვისაც სჯობია და ხალხიც უფრო ხში-  
რათ ხმარობს ამგვარათ:

- |                             |                          |
|-----------------------------|--------------------------|
| <b>ნათ.</b> კეთილი კაცის.   | <b>მქმ.</b> კეთილი კაცით |
| <b>მიც.</b> კეთილ კაცს.     | <b>მნ.</b> კეთილ კაცათ.  |
| <b>მთხრ.</b> კეთილმა კაცმა. | <b>წოდ.</b> კეთილო კაცოქ |

მრავლობითშიც ასე იბრუნვის. ზედსართავი სახელი პირველი დაბოლოებით: **კეთილი** კაცების, **კეთილი** კაცებს და სხ.; მეორე დაბოლოებაში კი იბრუნვის ბოლომოკვეცილათ, ე. ი. ყოველგან უდაბოლოებოთ, სახელობითს, გარდა: **კეთილი** კაცი, **კეთილი** კაცთა და სხ.

ბრუნვებში არ შეიძლება მოისპოს მხოლოდ ა-ნის მიმატება ბოლოში,—თანასწორათ იხმარება: **კაცისა** და **კაცისა**, **კაცს** და **კაცსა**.

სრული დაბოლოება ბრუნვებში განსაკუთრებით შემდეგ შემთხვევებში იხმარება:

1) როცა სიტყვებს შორის ზის კავშირი „და“: **კაცისა** და ქალის საქმე, **კაცისა** და ავისათვის, **ცხსა** და მიწას, **დიდსა** და პატარას, **ძთასა** და ბარში, **ხესა** და მიწაზე, **სიტყვითა** და საქმით, **გონიერისა** და ნიჭიერი კაცის, **გონიერისა** და ნიჭიერ კაცს და სხ.;

2) შედარებით ნაწილაკთან ვით: **ძმასავით**, **ძმესავით**, **ბავშვსავით**;

3) მოთხრობით ბრუნვაში სრული დაბოლოება უნდა ვიხმაროთ მხოლოდ ი-ზე დაბოლოებულ სახელებში: **კაცი**—**კაცმა**, **ღმერთა**—**ღმერთმა**; დანარჩენ სიტყვებში კი—შემოკლებული დაბოლოება **მძმა**—**მძმაჲ**, **ძმე**—**ძმეჲ**, **ხმა**—**ხმაჲ**, **ბუ**—**ბუჲ**;

4) თანასწორათ შეიძლება ვიხმაროთ სრული და მოკლე დაბოლოებანი თანდებულებს **ბან**, **კან**, **თვის**-ს შემდეგ: **ღთისგან**—**ღთისაგან**, **სახლისკენ**—**სახლისაკენ**, **კაცისთვის**—**კაცისათვის**. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, პროზაში მოკლე დაბოლოებას



უნდა მიეცეს უპირატესობა, და ლექსებში კი ორივე დაბოლოება შეიძლება ვიხმაროთ, მარცვლების საჭიროებისდაგვარათ;

5) **თანდებული ღმი** თხოულობს სრულ დაბოლოებას: **ღვთისაღმი, კაცისაღმი;**

6) **ტუნთილებითი ნაცვალსახელები ჩემა, შენა, ჩვენა, თქვენა** მხოლოდობითი რიცხვის მიცემაში არსებითსახელთან სრული დაბოლოებით სჯობია იბრუნოს კეთილხმოვანებისათვის: **ჩემს ძმას, შენს დას, ჩვენს დროს, თქვენს ქვეყანაში;**

7) **სრული დაბოლოება ბრუნვებში** იხმარება ყოველთვის, როცა მსაზღვრელი სიტყვა მოქცეულია სასაზღვრ სიტყვას შემდეგ: **ლეკვი ღამისა, საქმე კაცისა** და სხვ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ სიტყვების ამისთანა წყობილება მხოლოდ ლექსებშია შესაწყნარებელი, პროზაში კი სჯობია. მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრის წინ დაისვას: **ღამის ლეკვი, კაცის საქმე;**

8) როცა რამდენიმე ზედსართავი სახელია ერთათ. თავმოყრილი ერთსა და იმავე ბრუნვაში, უკანასკნელი ზედსართავი მოკლე ფორმით იხმარება, და თანამომდევარი ზედსართავები კი — ყველა სრული ფორმით: **ამ გონაურის ნიჭაურის მდიდარი კაცის, ამ გონაურს ნიჭაურს მდიდარ კაცს და სხ.**

როცა საკუთარ სახელს მიმატება (приложение) წინ ახლავს, ზოგიერთი მწერალი მიმატებას არ აბრუნებს: **მეფე ღიმიტრის, მეფე ღიმიტრიმ-ო** და სხვ. ჩემი აზრით კი უმჯობესია ვაბრუნოთ: **მეფის**

ღიმიტრის, მეფეს ღიმიტრის, მეფემ ღიმიტრიმ და სხვ. როცა ამ შემთხვევაში სახელი წინ არის დასმული და მიმატება უკან, მაშინ სახელი არ იბრუნვის: **ღამატრა მეფას, ღამატრა მეფეს, ღამატრა მეფემ** და სხვ.— აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოთქმაში, მაგალითათ, **ანტონ ივანეს ძე ჭებაძე**, ზოგიერთი მწერალი სიტყვას ძმ არ აბრუნებს: **ანტონ ივანეს ძე ჭებაძის, ანტონ ივანეს ძე ჭებაძეს, ანტონ ივანეს ძე ჭებაძემ**; მაგრამ უფრო ხშირათ აბრუნებენ ხოლმე, და მეც უმჯობესათ მიმაჩნია—**ვაბრუნოთ** ასე: **ანტონ ივანეს ძას ჭებაძას, ანტონ ივანეს ძეს ჭებაძეს** და სხვ.

## VI.

### თანდებულები.

ახალმა ენამ, როგორც სხვა სიტყვები და ფორმები, ისე თანდებულებიც შეამოკლა; მაგრამ ზოგიერთები მაინც ძველ გზას ადგანან და სრულათ ხმარობენ: **ყედა, შიგან, შაგ** (ზოგი ხმარობს **შიდ**), **შანა** და სხვ. ხალხშიც და მწერლობაშიც უმეტესათ იხმარება **ჴმ, ში**—და კეთილხმოვანებისთვისაც ასე სჯობია: **ძთანჴე, სანლშა**.

\*\*\*

თანდებული **ბან**, როცა მოქმედებით ბრუნვას თხოულობს, ჩვენს მწერლობაში ოთხნაირ ფორმაში იხმარება,—მაგალითათ: **სოფლითგან, სოფლიდგან, სოფლიადამ, სოფლიადან**. ამ ფორმებში პირველი

(სოფლიოგან) არის უძველესი ფორმა, მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებით; მეორე ფორმა (სოფლადგან) აქიდანვე წარმომდგარა ფონეტიკური კანონის ძალით\*); შემდეგ **ზ** სულ გამოვარდნილა და დარჩენილა უკანასკნელი ფორმა სოფლადან, და ჩემი აზრით საერთოთ ეს ფორმა უნდა ვიხმაროთ, როგორც ყველაზე უფრო კეთილხმოვანი. რაც შეეხება ფორმას სოფლადამ, ის არც კეთილხმოვანია და არც საფუძვლიანი, რადგან ბოლოში **მ**-ს (თანდებულისა და **გან**) სიმართლე არ მიუძღვის.

\*\*\*

თანდებულს თვის ზოგი ხმარობს ფორმით თვის. ეს თანდებული წარმომდგარია ნაცვალსახელისგან თვისი, -- მაშასადამე **ს**-ნს აქ მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე **ნ**-ს, და მასთან კეთილხმოვანებითაც თვის-ს თვის სჯობია.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგჯერ ხმარობენ რასთვის-ო, -- უკანონოა, რადგან თანდებული თვის ყოველთვის ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, და, მაშასადამე, აქაც უნდა ვიხმაროთ რასთვის, მით უმეტეს, რომ ეს ფორმა უფრო ხშირათ იხმარება.

\*\*\*

თანდებული ძვე ძველათ ვნებით ბრუნვას თხოულობდა (სოფლადძვე), ახლა კი ვნებითის

\*) მაგარი ხმა **ზ** და რბილი **თ** ერთათ ვერ მოთავსდება და ამიტომ რბილი **თ** გადაქცეულა მაგარ **დ**-თ. ამ კანონს ვრცლათ განვმარტებ, როცა ფონეტიკაზე მექნება საუბარი.

თანხმოვანი (ღ, თ) იკარგება—და ხმარობენ სამ დაბოლოებას: ძდასინ, ძდე, ძდა; უკანასკნელი დაბოლოება სჯობია კეთილხმოვანებით, ხალხურ ენაშიც ის იხმარება უფრო ხშირათ (სოფლამდი, ქალაქამდი და სხვ.).

\* \* \*

ზმნისართი-თანდებულები ქვეშ, შექდეგ, უკან, გაღმა, გამაღმა, გადაღმა, აქათ, აქათ, გაზდა და სხ. მიცემით ბრუნვას თხოულობს. მართალია, ბევრი მწერალი დღეს ნათესაობით ბრუნვას სვამს ხოლმე ამ ზმნისართებს შემდეგ, მაგრამ ბევრი მიცემითს ხმარობს—და ძველ მწერლობაშიც მიცემითი იხმარებოდა \*).

ზაზდა და შექდეგ, როცა უკან ზის, მიცემითს თხოულობს, და თუ წინ ზის—ნათესაობითს: აძასა გაზდა, აძასა შექდეგ, ან გაზდა აძასა, შექდეგ აძასა. ამავე კანონით იხმარებოდა ძველათ აგრეთვე ქვეშე, მაგ. ქვეშე ქვეყანასა (ახლა ვიტყვით ქვეყანას ქვეშ).

ახალ მწერლობაში კეთილხმოვანებისათვის მიცემით ბრუნვაში სახელებს ხშირათ უკვეცენ დაბოლოებას თანდებულებთან ქვეშ, შუა, შორის, გარეთ, გაღმა, გამაღმა, ქვეათ, ქვეძათ და სხ., როცა სახელი მხოლოდ რიცხვში ი-ზეა დაბოლოებული,

\*) იხ. „ვისრ.“ გვ. 4, 13, 24, 34, 171, 211 და სხ.; „მეფხ. ტყაოს.“ გვ. 17, 40, 49, 104 და სხ.; „სიბ.-სიცი.“ გვ. 91, 100 და სხ.; „ღავით.“ გვ. 13, 46, 91, 195, 279, 282 და სხ.

და მრავლობითში ყველა სახელს, როცა მბი-ზე აბოლოგებენ, — მაგალითათ: ჭერ-ქვეშ, ჩვენ-შორს, ძიებ-შუა, ქალაქ-გარეთ, წყალ-გაღმა, სახლ-ქვეით და სხ. ჩემი აზრით, ისე ძნელათ გამოსათქმელი არ არის ამ შემთხვევაში მიცემითში ხმა ს, რომ ამისთვის განსხვავებული კანონი შემოვიღოთ, და სჯობია ს დაესტოვოთ: ჭერს ქვეშ, ჩვენს შორს, ქალაქს გარეთ და სხ. შეკვეცილათ დარჩება მხოლოდ სიტყვა სა-ზღვარგარეთ, რომელიც ზმნისართათ გადაქცეულა.

\*\*\*

თანდებული ში ხშირათ იხმარება სრული ფორმით შია (შიგან — შინა — შია), მაგალ. შართლ-შაა, შალშაა და სხ.: „შართლის შალშაა კენესა ისმოდა“ (ილ. შ — ძის „შლეგია“), „თფილისშაა მი-ნახეხარ შენ“ („მუშა“ — მისივე). ა-ნი ბოლოში ამ შემთხვევაში მეტათ უკეთილხმოვანოთ მოისმის; გარდა ამისა ა-ნს ბოლოში განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს (შემწეობითი ზმნის), მაგ. ეს კაცი თფა-ლასშაა, ე. ი. თფილისში არის, ეს ბავში ტკბილ შალშაა, ე. ი. ტკბილ შალში აწის. ზევით მოყვანილი ადგილები ასე უნდა ითქვას: შართველას შალ-შა კენესა ისმოდა, თფილისშა შინახეხარ შენ.

პიდევე უფრო ხშირათ ხმარობენ მწერლობაში შიაც, მაგალ. წრეულს ღვინოს კარგი მოსავალი ქონდა როგორც შახეთში, ისე შართლშიაც და იმე-რეთშიაც; მაგრამ მარტივი ფორმა უფრო კეთილ-ხმოვანია: შახეთშიაც, შართლშიაც, იმერეთშიაც და სხ.

ა-ნის მიმატება, როგორც ზევითაც ვსთქვით (გვ. 31—32), უნდა დარჩეს მხოლოდ ბრუნვების დაბოლოებებში: კაქას ან კაქასა, კაქათ—კაქათა და სხ.

\* \* \*

ზმნისართი—თანდებული **300** ზოგიერთ მწერალთა აზრით ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: კაქასავათ, ბავშისავათ-ო — ხმარობენ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ძველ მწერლობაში შე ამ ფორმას სრულიად არ შევხვედრივარ, ახალშიც ძალიან იშვიათათ იხმარება **300**-ს შემდეგ ნათესაობითი. **300**-ს შემდეგ ან მიცემითი დაისმის, ან სახელობითი: კაქავათ ან კაქასავათ, ბავშავათ ან ბავშსავათ. აზრითაც ასე უნდა იყოს, რადგან **300** ნიშნავს **რეკორტ**, ასე რომ კაქავათ და კაქასავათ იგივეა, რაც **რეკორტ** კაქა და **რეკორტ** კაქს. ხშირათ ბრუნვებს—მიცემითსა და სახელობითს—ამ შემთხვევაში ერთმანეთში ურევენ, ერთს მეორის ადგილას ხმარობენ; ორივე ბრუნვა უნდა დარჩეს, ე. ი. **სახელაობითა** და **მიცემითი**, მაგრამ სად რომელი უნდა დაისვას, ეს დამოკიდებულია ზმნაზე (შემასმენელზე). მოვიყვანოთ მაგალითები: ამ ქალს **ბავშსავათ** სძინავს, და არა **ბავშავათ**, რადგან ზმნა **სძინავს** მიცემითს თხოულობს; ეს კაცი **ბავშავათ** დადის, და არა **ბავშსავათ**, რადგან ზმნა **დადის** სახელობითს თხოულობს. **300**-ის მაგიერ რომ მისი თანაბარი სიტყვა **რეკორტ** ვიგულისხმოთ, ბრუნვა არაოდეს არ შეგვეშლება: **ნადანავათ** **დათანქუობს**,

ე. ი. დათარეშობს როგორც ნადირი; **ეუდდგელსავით**  
**სძინავს**, ე. ი. სძინავს როგორც ყურდგელს.

ამ წესით იხმარება **შით ი-**ზე დაბოლოებულ  
სახელებთან; დანარჩენ შემთხვევაში კი ყოველთვის  
მიცემითს თხოულობს: კატა, ხე, რკო, ყრუ—**კატა-**  
**სავით**, **ხესავით**, **რკოსავით**, **ყრუსავით**.

\* \* \*

როცა ერთი და იგივე თანდებული რამდენმე  
სიტყვასთან უნდა დაისვას, თანდებული უნდა და-  
ვსვით მხოლოდ უკანასკნელ სახელთან, წინა სიტყვე-  
ბი კი უთანდებულოთ დაისმის. იმ ბრუნვაში, რომელ-  
საც თანდებული თხოულობს, — მაგალითათ: **ხასა და**  
**ქვასაგან**, **დადსა და პატანაზე**, **ძმებასა**, **დებასა**  
**და ბაძებასათვის**, **ძვანსა და აბაღშა და სხ.**

## VII. ზ მ ნ ე ბ ი.

### ძამოხრას სქემა.

ძართულ გრამატიკაში სხვადასხვა ტერმინი იხ-  
მარება **კადებებსა** (KADIEBIE) და **დრებებს** შე-  
სახებ, და სხვადასხვა გრამატიკოსები სხვადასხვანაი-  
რათ ყოფენ კილოებსა და დროებს; ამიტომ, ზმნე-  
ბის შესახებ ჩვენი შენიშვნების გასაგებათ, საჭიროა  
— მკითხველს წინდაწინვე წარუდგინოთ მიმოხრის  
ჩვენ მიერ ხმარებული მოკლე სქემა.

ძართულ ზმნებს აქვს **ორგვანა** ძამოხრა. პირ-  
ველ ძამოხრას ის ზმნები ეკუთნის, რომელიც



აწმყო დროში **მ**-ით იწყება (ვსწერ, ვკერავ); ძეო-  
რე ძამოხრას—ის ზმნები, რომელიც ამავე დროში  
**მ**-ით იწყება (მიყვარს, მყავს).

ზმნები მიმოიხრის ოთხ კილოში:

1) **ძოთხრობითში**, რომელსაც ხუთი დრო აქვს:  
**აწმყო** (რას ვშვრები?—ვსწერ, მიყვარს), **ნამყო I**  
(რას ვშვრებოდი?—ვსწერდი, მიყვარდა), **ნამყო II**  
(რა ვქენი?—ვსწერე, შემიყვარდა), **ნამყო III** (რა  
მიქნია?—მიწერია, მყვარებია); **ძეოფადა** (რას ვიზამ?  
—ვსწერ, ჩეყვარება);

2) **ნატვრითში**, რომელსაც აგრეთვე ხუთი დრო  
აქვს: **აწმყო** (რას ვშვრებოდე?—ვსწერდე, მიყვარ-  
დეს), **ნამყო I** (რა მექნა?—მეწერა, მყვარებოდა),  
**ნამყო II** (რა მექნას?—მეწეროს, მყვარებოდეს), **ძეო-**  
**ფადი I** (რას ვიზამდე?—ვსწერდე, მეყვარებოდეს),  
**ძეოფადა II** (რა ვქნა?—ვსწერო, შემიყვარდეს);

3) **ზარობითში**, რომელსაც ერთი დრო აქვს,  
სახელდობ **ნამყო** (რას ვიზამდი?—ვსწერდი—და-  
ვსწერდი, მეყვარებოდა),

ღ 4) **ბძანებითში**, რომელიც გაიყოფება **ღამტკი-**  
**ვებითათ** (სწერე, გიყვარდეს) და **უანყოფითათ** (ნუ  
სწერ, ნუ გიყვარს, არ სწერო, არ გიყვარდეს).

---

ვაკიოხამ, თუ ვაკიოხავ?

ბშირათ ჩვენი მწერალნი მიმოხრაში ზმნის სა-  
ფუძველს **მ**-ის მაგიერ **მ**-ზე აბოლოებენ: ვიკითხამ,

ვიკითხამდი, დავსწვამ, ვნახამ, ნახამს, დაუკრამს და სხ. და სხ. მ-ზე ზმნის საფუძველი მხოლოდ მაშინ დაბოლოვდება, როცა სახელზმნა მამ-ზეა დაბოლოებული: ჭამა, სმა, დგამა—ვსკამ, ვსვამ, ვსდგამ, ვსკამდი, ვსვამდი და სხ. ამ ფორმას განსაკუთრებით ხშირათ აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ; იქვე ზოგჯერ მ-ის მაგიერ საფუძველს მ-ზე აბოლოებენ საუბარშიც და მწერლობაშიც: სვავს, სვავდა, ისავს, ისავდა, ურტყავს, ურტყავდა, ურტყავდესო და სხ., რაიცა, რა თქმა უნდა, უკანონოა და მასთან უკეთილხმოვანოც.

### კერავენ, თუ კერვენ?

როცა პირველი მიმოხრის ზმნა მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში ავს-ზე ბოლოვდება, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ორნაირი დაბოლოებით იხმარება,—მაგალითათ: ქალი კერავს—ქალები კერავენ ან კერვენ.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ მეორე ფორმაა ნახმარი,—მაგალითათ „ვისრამიანში“: გასწირვენ, ჭკვენ, ურდახვენ, ნახვენ, და სხ.; „ვეფხისტყაოსანში“: ბამვენ, სამვენ, მოჭკლვენ და სხ.

ხალხში და უახლეს მწერლობაში ორივე ფორმა ერთნაირათ იხმარება. ძეითილხმოვანების მიხედვით, ჩემი აზრით, შემდეგი კანონი უნდა დავადგინოთ სახელმძღვანელოთ: როცა მარტივი (უთავსართო) ზმნა

ერთმანცვლოვანია, შეუმოკლებლათ მიმოვხაროთ, მაგალ. ის კლავს, კრავს, სწავს, ფქვავს, ხნავს, ზრავს,—ისინი კლავენ, კრავენ, სწავენ, ხნავენ და სხ., და თუ ერთმანცვლოვანზე მეტია, მაშინ შემოკლებით მიმოვხაროთ, მაგ. ის ბეწავს, კეწავს, სცურავს, ხურავს—ისინი ბეწვენ, კეწვენ, სცურვენ და სხ. აქიდან უნდა გამოირიცხოს ზმნები: ჩავწავს, ჩანგლავს, სცარცვავს, სწამლავს, ნათლავს, რეკვავს, რომელთა მიმოხრასაც კეთილხმოვანება მოითხოვს სრული ფორმით: ჩავწავენ, სწამლავენ, ნათლავენ და სხ.

შემოკლებულათ მიმოიხრის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ის ზმნებიც, რომელიც მხოლოდობითში **ამს**-სა და **ვამს**-ზე ბოლოვდება: ის აწამს, სდგამს—ისინი აწამენ, სდგამენ,—გარდა ზმნისა **სჭამს** (ისინი **სჭამენ**).

ზოგიერთი ზმნები მრავლ. რიცხ. მესამე პირში მთელ მარცვალს კარგავს: ის კეტავს, კეტავს, კვესავს, ღესავს, კვერავს, სთესავს, იცვამს, სვამს—ისანა კეტენ, კეტენ, კვესენ, ღესენ, კვერენ, სთესენ, სვამენ, იცვენ, სვენ.

### ვცხოვრებ, თუ ვცხოვრობ?

საშუალო გვარის ზმნებს ორნაირათ აბოლოვებენ აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დროებში: ვძირხალებ, ვცხოვრებ, ან ვძირხილობ, ვცხოვრობ; ვძირ-

ჩილებდი, ვძორჩილებდე, ან ვძორჩილობდა, ვძორჩილობდე და სხ.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ და აგრეთვე „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში ყოველგან ნახმარის ვძორჩილობ, ვძორჩილობდეთ და სხ., ე. ი. დაბოლოებანი ობ, ობდა, ობდე. — ხალხისა და ახალი მწერლობის ენაში თანასწორათ იხმარება ორივე დაბოლოება.

ჩემი აზრით, აქ დაბოლოებას ობ-ს მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე მბ-ს, რადგან საზოგადოთ ობ არის საშვალო გვარის ზმნების დამახასიათებელი დაბოლოება აწმყო დროში: ვსეაწნობ, ვჭეიფობ, ვთანეშობ, ვთანძაშობ და სხ., — მბ კი მოქმედებითი გვარის ზმნების ნიშანია: ვასეაწსებ, ვათანძაშებ და სხე.

მაშასადამე, ხსენებული ზმნები ასე უნდა მიმოვხაროთ აწმყოში და აწმყოსგან ნაწარმოებ დროებში: ვძორჩილობ — ვძორჩილობდი — ვძორჩილობდე, ვცხვავობ — ვცხვავობდი — ვცხვავავდე.

### მე უწერ, თუ მე ვუწერ?

პირველი მიმოხროს ზმნების პირველ პირში ზოგიერთი მწერალნი არ ხმარობენ პიროვან ნიშანს ვ-ს, როცა ამ ვ-ს შემდეგ უ ზის: მე უსჯამ, ჩვენ უსჯამო, მე უწერ, ჩვენ უწერთ, მე უკვავავ, ჩვენ უკვავავთ, მე უძიერ, ჩვენ უძიერთ და სხ. „ვისრამიანში“ ეს ფორმებო სანა-

ხევროთ მ-ნით არის ნახმარი და სანახევროთ უ-მ-ინოთ; „ვეფხისტყაოსანში“ ყოველგან მ-ნია ნახმარი; ახალ მწერლობაშიც უმეტეს ნაწილათ მ-ნით ხმარობენ ამ ფორმას. რაც შეეხება ხალხის გამოთქმას, თუ დავუკვირდებით, მ ისმის იქ, თუძცა ყრუთ.

ჩემი აზრით, პირველ პირში მ უნდა დარჩეს ყველა შემთხვევაში: ვსწერ, ვუწერ, ვაშენებ, ვუაშენებ, ვუაშენებდი, ავუაშენებ, ავუაშენებთ, მე ვვანდა, მე ჩავვანდი (შენ ვანდა, შენ ჩავანდი) და სხ. უძველეს, უახლეს, უძველეს და სხ. არის მეორე პირის ფორმები.

### ხედავდა, თუ ხედავდა?

მოთხრობითი კილოის ნამყოფი I-სა და პირობით კილოს ორნაირათ აბოლოგებენ ძველი და ახალი მწერალნი: სძიდა, აზძიდა, ხედავდა, გაბედავდა, ლეწავდა, ხენადა და სხ., ან სგაძდა, იწაძდა, ხედავდა, გაბედავდა, ლეწავდა, ხნადა და სხ.—ზოგიერთი ძველი მწერალი (განსაკუთრებით ლავით ბურაძე) ხმარობს მესამე ფორმასაც (მ-ნის მაგიერ მ-ნს): ხედავდა, ლეწავდა, სგაძდა, სცავდა და სხვ.

ამ ფორმებში უპირატესობა, ჩემი აზრით, დაბოლოებას აგდა-სა და ვაძდა-ს უნდა მიეცეს, რადგან მწერლობაშიცა და ხალხშიც\*) უმეტესათ ეს

\*) ზოგიერთ კუთხეში (განსაკუთრებით ბურიაში) უფრო ხშირათ პირველ ფორმას ხმარობენ: ხედავდა, ხედავდა, სძიდა და სხვ.

ფორმა იხმარება და გამოსათქმელათაც სხვების უადვი-  
ლესია. საზოგადო კანონიც ეს არის, რომ მოთხრო-  
ბითი კილოის ნაშრო I მოთხრ. კილ. აწმყოსაგან წარ-  
მოებს პირდაპირ ლი-ს შიხატებით: ვსვამ— ვსვამდა,  
ვხედავ— ვხედავდა; აგრეთვე პირობითი კილოც პირ-  
დაპირ კეთდება მოთხრობითის მყოფადისგან: გავ-  
ბედავ— გაბედავდა, ვიხამ— ვიხამდა, წავიკითხავ—  
წავიკითხავდა.

### ძყავდა, და აწა ძყვანდა.

ძყვანდა, გყვანდა, ყვანდა, გგყვანდა, გყვან-  
დათ და სხ., ძგყვანდა, გგყვანდა და სხ. არ არის კეთილ-  
ხმოვანი ფორმები. ამათ მაგიერ ახლა უფრო ხში-  
რათ იხმარება ფორმები: ძყავდა, გყავდა, ძგყავდა,  
გგყავდა, ძყავდეს, გყავდეს და სხ.

თუმცა ძველ მწერლობაში ყოველგან ზირვე-  
ლი ფორმებია ნახმარი, მაგრამ მეორე ფორმები,  
როგორც ვსთქვი, უფრო კეთილხმოვანია სმენისთვის  
და კანონიერათაც არის ნაწარმოები, რადგან, რო-  
გორც მომდევარ თავშიც ვამბობ, ზემორებსენებუ-  
ლი ფორმები მოთხრ. კილოის აწმყოსაგან წარმოებს,  
და აწმყოში კი ეს ზმნები ასე იხმარება საერთოთ  
ყველასგან: ძყავს, გყავს, ყავს, ძგყავს, გგყავს, გყავს  
და სხ., და არა ძყვანს, ძგყვანს და სხ. შაშასადამე,  
თუ აწმყოში ფორმა ძყავს არის, აქიდან უნდა ვა-  
წარმოოთ ამ სახით: ძყავ-და, გყავ-და, ყავ-და, გგყავ-

და, გყავ-დათ, ყავ-დათ, მყავდეს, გყავდეს, ყავდეს, და სხ., მკავს: მკავ-და, კკავდა, კკავდა, მკავდეს, კკავდეს და სხ., როგორც მაყვანს — მაყვანდა, მწამს — მწამდა და სხ.

ხალხში და დღევანდელ მწერლობაში თანასწორათ იხმარება ორივე ფორმა: პირველი — აღმ.ასავლეთ საქართველოში, მეორე — დასავლეთისაში, და რადგან წარმოების კანონიც და კეთილხმოვანებაც მეორე ფორმას ამართლებს, ამიტომ მწერლობაში ის უნდა დარჩეს.

ბქიდან უნდა გამოირიცხოს მკქვანდა, კკქვანდა, კქვანდა და სხ., რომელიც არც მთლიათ კანონიერად არის წაწარმოები აწმყოსგან (ჩართულია ნ), და არც კეთილხმოვანია. ამ ფორმის მაგიერ უმჯობესია დარჩეს მეორე ფორმა: მქონდა, კქონდა, ქონდა, მქონდეს, კქონდეს და სხ., რადგან ეს უკანასკნელი უკეთილხმოვანესიც არის და ხალხსა და მწერლობაშიც უფრო ხშირათ იხმარება დღეს.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ყოველგან ნახმარია „ქონდა“.

### მოვიდენ, და ანა მოვიდენ.

მოთხრ. კილოის წამყო I-სა და წამყო II-ში და პირობით კილოში ორგვარი ლაბოლოება იხმარება: **ღმღ** და **მმ** — ან **ღმ** და **მმ**: მოდიოდენ, მოვიდენ, მოვიადოდენ, იევენ — ან მოდიოდენ, მოვიდენ, მოვიადოდენ, იევენ.



რომელს ამათვანს უნდა მიეცეს უპირატესობა?  
თუმცა დაბოლოებამ **ღმ** და **მ** გარკვეულათ და თვალსაჩინოთ თავი მხოლოდ ამ ბოლოს დროს იჩინა მწერლობაში, მაგრამ ძველ მწერლობაშიც არ არის იშვიათი ეს დაბოლოება, „ვისრამიანში“ დაბოლოება **ღმმ** არ იხმარება, რამდენჯერმე ნახმარია **მმ** (ედგნენ, იყვნენ, გაიყარნენ და სხ.), უმეტესათ კი ამ დაბოლოებათა მაგიერ იხმარება. **მს** (მოვიდეს, სხდეს, იყვნეს, შეყრილიყვნეს და სხ.), ზოგან ნახმარია ფორმა **ღმ** (მოწმობდენ, გამოვიდენ, შევიდენ და სხ.). შოთა რუსთაველიც **ღმმ**, **მმ** და **ღმ-ის** ალაგას უმეტესათ ხმარობს დაბოლოებას **ღმს** (მოვიდეს, მისდგეს, მივიდეს, დასხდეს, მიეწივნეს, იყვნეს და სხ.), მაგრამ ძალიან ხშირათ ხმარობს დაბოლოებას **ღმ-საც**: შესხდენ, გმორჩალობდენ, მოღორდენ, მოშორდენ, გაგვისწორდენ, გაჭორდენ, მივიდენ, გაზდახდენ, მანთმეკდენ და სხ. დაბოლოებას **ღმმ** რუსთაველი სრულიადაც არ ხმარობს, ხოლო ორ-სამ ალაგას შეხვედებით დაბოლოებას **მმ**: შეებნენ, შეაყარნენ, გაქმანთნენ \*).

მე-18 საუკუნის მწერალნი—საბა ორბელიანი და ლავით ბურამიშვილი—იმდენჯერ ხმარობენ **ღმ-ს**, რამდენჯერაც **ღმმ-ს** \*\*). მართნაირათვე იხმარება **ღმმ** და **ღმ** აგრეთვე „მართლის-ცხოვრებაში“;

\*) გვ. 21, 35, 163, 291, 319, 323, 330 და სხ.

\*\*\*) „სიბ.-სიც.“ გვ. 39, 56, 196, 197, 198 და სხ.; „ლავითიანი“ გვ. 26, 27, 28, 36, 37, 54, 55, 56, 81, 175 და სხვ.

„ძილ.“-ში თითქმის სულ **ღმ** არის ნახშირი — რაც შეეხება ახალ მწერლობას, შეიძლება ვსთქვათ, რომ **ღმ** და **ღმმ** თანასწორათ იხმარება—პირველი დასავლეთის საქართველოს მწერალთაგან და მეორე— აღმოსავლეთ საქართველოში. ძეითილხმოვანებასაც თუ მივიღებთ მხედველობაში (და, რასაკვირველია, უნდა მივიღოთ), მაშინ, ცხადია, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ დაბოლოებას **ღმ** და **მმ**, რადგან **ღმმ** და **მმმ**, როგორც ბევრთანხმოვანიანი მარცვლები, უფრო ძნელი გამოსათქმელია, ვიდრე **ღმ** და **მმ**.

**ღმ**-ისა და **მმ**-ის დამცველი პირები თავისი აზრის დამამტკიცებელ საბუთათ იმას ამბობენ, რომ, თუ **ღმ** შემოვიღეთ, აზრი აგვერევაო რადგან, მაგალითათ, მოვიდუნ ითქმის სხვა აზრით: „მოვიდუნ ოფლსა“-ო და სხ. ჰერაფერი საბუთია: ათასში თუ ერთხელ შეგეხვდება ამისთანა შემთხვევა, წინადადებაში აზრი არაოდეს არ აგვერევა, როგორც არ აგვერევია დღემდი, თუმცა **ომონიძეები** ათასი გვაქვს ენაში, მაგალითათ ხელა სხეულის ნაწილსაც ნიშნავს და გიჟსაც, წელი შიგნეულობასაც ნიშნავს, წელიწადსაც და ტანის შუა ნაწილსაც, ბანი— დაბალ ხმასაც და მიწურის სახურავსაც, ველი— მიდორსაც და მოლოდინსაც (ველი— მოველი), ბანი ვაკე აღვიღსაც ნიშნავს, სამუშაო იარაღსაც და ერთგვარ ფრინველსაც, და სხ. და სხ. ბანსაკუთრებით მრავალი ომონიძე აქვს ფრანგულ ენას, მაგრამ ამით მას არც სილამაზე აკლია და არც აზრიანობა.

ქ და ლ.

ქართულ ანბანში, უცხო ენების გავლენით თუ ზოგიერთი გამოთქმის სხვადასხვა თვისების გამოსახატავათ, შემოუტანიათ იმისთანა ხმები, რომელიც ჩვენს ენას ან სრულიად არ შეეფერება და ან, დღესდღეობით მაინც, მისთვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ზოგიერთი მათგანი (მაგალ. ც, ძ, ჯ, კ, ჯ) ჩვენმა მწერლობამ კაი ხანა სამართლიანათ უარყო. ჩვენს დღევანდელ მწერლობაში, თუმცა კი იშვიათათ, შეხვდებით ანტონ კათალიკოზისაგან, რუსული ენის მიბაძვით, უადგილოთ შემოდებულ **ქ-ს**. ანტონ კათალიკოზმა რომ ქართული ენის ხასიათი და თვისება არ იცოდა, იქიდან ჩანს, რომ, რუსული ენისვე მიბაძვით, თანდებულებს წინ უსვამს სახელებს და ხმარობს, მაგალითათ, „თვს კავშირთა“, „თვს სახელთა“-ო და სხ., კავშირთათვის და სახელთათვის მაგიერ.

თუ რომ საკუთარს, ძირეულ სიტყვაში ხალხი არ ხმარობს რომელმე ხმას, უცხო ენიდან გადმოტანილ სიტყვებშიც არ უნდა ვიხმაროთ ეს ხმა, არამედ შემოვიტანოთ უცხო სიტყვები საკუთარი ჩვენი ენის შესაფერი ხმით, ხალხური გამოთქმით. რაც უნდა სწეროთ **ჭიღალსოჭიღალსა**, **ჭუკიდადი**, **ჭრანსუა**-ო და სხ., ხალხი მაინც თავისებურათ გამოსთქვამს: **ფიღალსოფალსა**, **ჭუკიდადი**, **ჭრანსუა**-ო, და სხ.

ზევით ჩამოთვლილი ხმების (ც, ძ, ჯ, კ, ჯ, ჭ) ხმარება დღევანდელ მწერლობაში არის ძალათ თვა-

ლის დახუჭვა და დაბრმავება, და ამ არქაიზმების მოტრფიალე მწერალნი დღეს ისე ცოტაა, რომ მათზე ლაპარაკიც არა ღირს. მაგრამ არის კიდევ ერთი ხმა, რომელიც მე აგრეთვე მეტ ბარგათ მიმაჩნია ქართული ენისათვის (სახელდობ ზმნებში) და რომელსაც თითქმის ყველა ჩვენი მწერალი ებლაუჭება.

### ეს არის ჰ.

ძველათ ეს ხმა სახელებში, როგორც ჩანს, უცხო ენების გავლენით შემოუღიათ, რადგან არსებით სახელებში ის მხოლოდ უცხო სიტყვებში უხმარიათ, მაგალ. ჰაერი, ჰაჯა, ჰუბუტი და სხ., და წმინდა ქართული ძირის სახელებში კი არსად იხმარება. დღეს კი ხალხმა ჰ ან სულ მოაშორა სიტყვებს, ან შესცვალა ის ხ-ათ; მაგალითათ ხალხი დღეს ხმარობს ხაერი ან აერი, ხაჯა ან აჯა, ახ, ახ და სხ.

ზმნებში ჰ ხალხის გამოთქმით არ იშვის, და საუბარში მხოლოდ ისინი ხმარობენ, ვისაც სმენა და ენა მარტო ხელოვნური მწერლობისათვის შეუჩვევიათ და ბუნებრივ ენას ყურადღებას არ აქცევენ.

ჩვენს დღევანდელ მწერლობაში იმისთანა შემთხვევაშიც კი ხმარობენ ჰ-ს, სადაც მისი გამოთქმა ყოვლად მოუხერხებელია: ჰხნავს, ჰხმარობს, ჰცურავს, ჰსწავს, ჰგმანობს, ჰცხავრობენ და სხ. და სხ. ზოგჯერ კი ჰ-ს იმისთანა ადგილასაც არ ხმარობენ, სადაც მისი გამოთქმა არ არის საძნელო. მართი სიტყვით, ჰ-ს ხმარების კანონი სრულიად დამოკიდებულია თითოეული მწერლის ნებასა და გემოვნებაზე.

ძველ მწერლობაში ჰ იმისთანა სიტყვაშიც კი არ იხმარებოდა, როგორც, მაგალითათ, ჰჯედი; „ვისრამიან“-ში თითქმის ყოველგან ჰედიას ნახმარი. ზმნებში თუმცა უმეტეს ნაწილათ ჰ-პ ნახმარი, მაგრამ ხშირათ უ-ჰ-ოთაც იხმარებოდა. აი, მაგალითათ, „ვისრამიან“-ში რა ფორმებში არ არის ეს ხმა ნახმარი: ქენ, ქნეს, შექნა, გავს, დაბადებს, გონია, ყუაყის, ყუადა, ქრის, ქრადეს, ყოს და სხ. და სხ. \*); „სიბ.-სიც.“-ში: შეკრეს, დაკლეს, დაკორცნა, ჩაყო, აძყო, დაკარგა და სხ.; „ღვით.“-ში: ყავს, ყავთ, ქონდეს, ქნეს, ქნა, ქენით, შექნა, ქრის, შეფიცა, წაყვა, შეყვინა, გაყიდეს, მოკლა, მოკლეს, ჩაყრიდენ, შეკადნა, ყავის და სხ. \*\*).

ღღევანდელ მწერლობაში, როგორც ზევით ვსთქვი, თითქმის ყველა მწერალი ხმარობს ჰ-ს, მაგრამ ზოგი უთავბოლოთ, წარამარა ხმარობს მას თითქმის ყოველ ზმნაში, ზოგი კი იშვიათათ. ცხადია, ჰ-ს ხმარებისათვის არავითარი კანონი არ არსებობს.

შესაძლებელია თავს შრომა მივსცეთ და რაიმე გადაწყვეტილი კანონი შევიმუშავოთ ამ ხმის ხმარების შესახებ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჰ-ს არსებობა, განსაკუთრებით ზმნებში, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა: არც აზრისთვის არის საჭირო და არც კეთილხმოვანებისათვის. ჰ რომ კეთილხმოვანი არ არის, იქიდან ჩანს, რომ ის ძნელი გამო-

\*) ზვ. 12, 56, 86, 94, 104, 121 და სხ.

\*\*) ზვ. 2, 16, 22, 24, 41, 51, 53, 56, 89, 93, 95, 96, 150, 170 და სხ.

სათქმელია; გამოცთილებით ვიცი, რომ რვა-ცხრა წლის მოსწავლეს მეტათ უჭირს მისი გამოთქმა და ისე ეჩვევა მის ხმარებასა და გამოთქმას, როგორც უცხო ანბანის უცხო ხმას.

პრათუ ზმნებში, არსებით სახელებსა და შორისდებულებშიც მალე სრულიად მოისპობა ეს ხმა, როგორც მოისპო ზოგიერთ სიტყვებში, რომელსაც დიდი ხანი არ არის რაც ჰ-თი სწერდენ, — მაგალ. ნისხი ან ნიხი, აწხი, ოხ, ახ, ხა-ხა-ხა და სხ.

მრთი სიტყვით, ყოველივე გვიჩვენებს, რომ ხმას ჰ-ს ჩვენს ანბანში ისე არ აქვს საფუძველი (განსაკუთრებით ზმნების ფორმებში), როგორც უკვე უარყოფილ ხმებს ც, ძ, ჯ, ჟ, კ, ჯ-ს, და მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს მას სახელებსა და შორისდებულებში.

### ხმა ს ზმნებში.

თუ ჰ-ს უარყოფ ზმნებში, სამაგიეროთ ხმა ს აუცილებელ საჭიროთ მიმაჩნია ზმნების სხვადასხვა ფორმებში კეთილხმოვანებისთვის. ჩემი აზრით, ს ზმნებში გამოთქმას აძლევს სინაზეს, სინატიფეს, თანაც სიღარბაისლეს. აბა შეადარეთ ერთმანეთს გამოთქმანი შიწა და შისწა, გაწა და გასწა: — ცხადია, მეორე ფორმა სმენისათვის უფრო სასიამოვნოა, უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე პირველი. ძეთილხმოვანებას გარდა ზმნებში ს-ნის ხმარებას თვით ხალხის ენაშიც



აქვს საფუძველი: საქართველოში იმისთანა კუთხე არ არის, რომ ცოტათ თუ ბევრათ არ ხმარობდნ ს-ნს ზმნების სხვადასხვა დროებში. დასავლეთის საქართველოს კუთხეებს შორის განსაკუთრებით ხშირათ იხმარება ს-ნიანი ფორმები ბურიაში: „შვაზე გასტკეკლიცა, ძირს დასცა, ხეი მოსჭანდი (= მოსჭერი), გასცანა, დასწეკვლა, გასტანა“ და სხ., ამბობენ ისინი.

თქმა არ უნდა, ს უნდა დარჩეს მიმოხრაში კეთილხმოვანებისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი მწერალნი ამ შემთხვევაში არავითარი კანონით არ ხელმძღვანელობენ: ზოგჯერ იქ ხმარობენ ს-ნს, სადაც არ არის საჭირო, (მაგ. მისდის, მისდისა და სხ.), და ზოგჯერ კი არ ხმარობენ იქ, სადაც ის აუცილებლათ საჭიროა (მაგალ. ძიცა, გაცა და სხ.).

ბი, ჩემი აზრით, რა კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ს-ნის ხმარების შესახებ:

1) ს მიმოხრაში დაერთვის იმისთანა ზმნებს, რომელსაც ძანის თავა ეწყება რომელიმე შემდეგი თანხმოვანთაგანით: ღ, თ, ტ, ც, ძ, წ, ჭ, მაგალ. დგმა, თიბვა, ტიბალი, ცანცვა, მგნა, წეწა, ჭამა, ჯობნა—სდგამს, სთიბავს, სტიბას, სცანცვავს, სძამავს, სწეწს, სჭამს, სჯობნის;

2) პირველი მიმოხრის ზმნებს ყველა პირში დაერთვის ს: მე ვსჯამ, შენ სჯამ, ისა სჯამს, ვსჯამდი, სჯამდი, სჯამდა, ვსჯამე, სჯამე, სჯამა, ვსჯამეთ, სჯამეს და სხ.



როცა წმინდა ძირს მიმოხრაში წინ ხმოვანები უზის, მაშინ ს აღარ დაერთვის: მიჭამია, გიჭამია, უჭამია, მუჭამა, გუჭამა, მუჭამა, მუჭამოს, გუჭამოს, მუჭამოს, იტირა, ატირა, ვაჭმევ, ვაჭმევ, ვიცვამ, ვათევ, ვითევ და სხ.— ამ შემთხვევაში თავსართების ხმოვანები ანგარიშში არ მიიღება: შე-სთვალა, შე-სცვალა, მი-სცა, მო-სტაცა, გა-სცა, და-სცა და სხ.

ამ კანონის ძალით **წინგველი ძამოხრას ძაქეძებით ზმნებს** ს არ ახლავს (მიწერს, გიწერს, უწერს და სხ.), **მეორე ძამოხრას** კი მხოლოდ მესამე პირში ახლავს: სწამხარ, სწამხართ, სწამებიხარ, სწამებიხართ;

3) **მეორე ძამოხრას** ზმნას მხოლოდ მესამე პირში ერთვის ს ყველა კილოსა და ყველა დროში: მას სწყურია, სწყუროდა, მოსწყურდა, სწყურებია, მოსწყურდება, სწყუროდეს, სწყურებოდა, სწყურებოდეს, მოსწყურდებოდეს, მოსწყურდეს, მოსწყურდებოდა.—

ღანარჩენ პირებსა და მიმღეობაში ს არ ახლავს: **მწყურია, გწყურია, მოწყურებული.**

ამავე კანონს ემორჩილება **წინგველი ძამოხრების** ზმნები (მცარცვავს, მტანჯავს, მწყევლის, მღვენის, გწყევლის, გღვენის და სხ. და სხ.), ე. ი. ხმა ს აქაც მხოლოდ მესამე პირში იხმარება: იგი სცარცვავს, მან გასცარცვა, ისა სღვენიდა და სხ.;

4) **არის რამდენიმე ზმნა, რომელსაც ს-ის მიმატება მიმოხრაში არ უხდება**—და სჯობია უ-ს-ით ვიხმაროთ: თესავს (თესავდა, მოთესა, და-

თესა და სხ.), თახსას (მოთახნა და სხ.), თხზავს (შეთხზა და სხ.); ვსთლა, ვსთლიდა — ს-ით იხმარება მხოლოდ აწყობისგან ნაწარმოებ ფორმებში, სხვაგან კი უსანოთ: გავთაღე, გავთაღლა და სხ.; წავს (წოლა), წვება (წვებოდა, დაწვა და სხ., მოქმედებითი გვარის ზმნა დაწვა კი — სწვავს, დასწვა და სხ.), დევს, ძევს, თვრება (დათვრა და სხ.), ტიტინობს, ტიკტიკობს, ტლიკინობს, ტრაბახობს, ცეკვავს, მიდის, მოდის (ზმნისგან დაქნა კი — მისდის, მოსდის), თანხმდება (დათანხმდა და სხ.), ძრწის, ძრწუნავს, ცხოვრობს, ვცთილობ, ცთილობ, ვცთები, ცთება, ტრიალობს, ვწვალობ, წვალობს, ვთრთი, თრთის და სხ.

ზმნებს წავა და წხელა, როცა პირნაკლი ზმნების მნიშვნელობა აქვს, ს არ ახლავს, და როცა პიროვანის — ს-ით იხმარება: დღეს წავა, გუშინ წხელდა, ბავშვა სწავა, კაცსა სწხელა;

5) როცა ერთი ძირის ზმნა საშვალო გვარისაა არის და მოქმედებითისა, მოქმედ. გვარის ს-ით იხმარება, ხოლო საშვალოსი — უსანოთ: ვსთხოვ, სთხოვ, სთხოვს, მაგრამ ვთხოულობ, თხოულობ, თხოულობს; ვსდგამ — დასდგა, ვდგები კი — დადგა, გამოვსდგამ — გაძაღდა, გამოვდგები კი — გაძაღდა, და სხ. და სხ.

ძველსა და ახალ მწერლობაში ხშირათ ჩ-ნით დაწყებულ ზმნებსაც უსმენ ს-ნს კეთილხმოვანებისათვის, — მაგ. სჩანს, სჩაგრავს-ო და სხვ.; ჩემი აზრით, ჩ-თან ს-ნის გამოთქმა კეთილხმოვანებას ეწი-

ნააღმდეგება; „ვეფხისტყაოსან“-შიც არ იხმარება ჩ-თან ს, იქ ყოველგან ნახმარია, მაგალითათ, მართლ-წერა ჩანს; „ვისრ.“-შიც უსანოთ იწერება ეს ზმნა: ჩნდეს, ჩანს და სხ. (გვ. 27, 85 და სხ.)

ზოგჯერ ხმარობენ ფორმას ~~სდამქება~~, ~~სდამქე-~~  
~~ბადად~~ და სხ.; ს-ს აქ ადგილი არ აქვს, რადგან ზმნა ნ-რით იწყება (სდამა: ნდომია, ნდომოდა).

### სრულა და მოკლე თავსართობა.

სრული თავსართები **აღ, ბან, წარ, შთა, აღ-**  
**მო, წარმო, შთამო** დღევანდელ მწერლობაში ძლიერ იშვიათათ იხმარება.

ახალი ქართული ძველისკან გაირჩევა თავისი ფორმების სიმარტივით. **თუმცა** ახალი ქართული არ არის ისე განსხვავებული „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენისგან, როგორც, მაგალითათ, დღევანდელი რუსული ენა გაირჩევა ამ თხზულებათა დროინდელი რუსული ენისაგან (ესვე შედარება ითქმის აგრეთვე ფრანგულს, ინგლისურსა და სხვა ენებზე),—მაგრამ ჩვენს ახალსა და ძველ ენას შორისაც მრავალგვარი განსხვავება მოიპოვება. ეს განსხვავება გამოიხატება ახალი ენის ფორმების სიმარტივეში, რომელსაც შეადგენს: 1) სიტყვათა დაბოლოების შემოკლება (მაგალითათ, ძველათ ითქმოდა: კეთილისა კაცისა, ქართულითა ენითა, მთასა ზედა, წყალსა შინა ან წყალსა შიგან და სხ., ახლა იხმარება:

კეთილი კაცის, ქართული ენით, ძთაჲსე, წყაღში ზ სხ. 2) თანხმოვანების გამოკლება ბევრთანხმოვანიან სიტყვებში,—მაგალ. ძველებური მართლწერა ძრთელი, მძართველი, ბძძანება, ხძძალი და სხ.—ახლა იხმარება ძთელი, ძართველი, ბძძანება, ხძძალი და სხ. და სხ.

ამგვარათვე ჩვენმა ენამ შეამოკლა ძველებური სრული თავსართები ად, გან, წან, შთა, ადძო, წანძო, შთაძო, გაწდა (გარდ)—და ამათ მაგიერ დღეს იხმარებ ა, გა, წა, ჩა, აძო, წაძო, გაწდა (გად).

ზოგიერთი მწერალნი დღესაც ვერ ეშვებიან სრულ თავსართებს და ხმარობენ მათ სრულიად უადგილოთ: აღასრულა, აღაშფოთდა, განგადა, წანგადა-ო და სხ.

ჩემი აზრით, სრული თავსართები იმისთანა სიტყვებში უნდა დარჩეს, რომელსაც რამე განსხვავებულათ საყურადღებო აწინა აქვს,—სახელდობ შემდეგ სიტყვებში: ადღგოძა, ძრისტე აღსდგა, აღთქმა, აღსანება, (აღვიანება და სხ.), აღჭურვა (აღჭურვილი და სხ.), აღააცხვა, აღნიშვნა, აღმატება, აღმატებულება, აღმოსავლეთი, აღტაცება, აღმაშენებელი, აღტეანება, აღფრთოვანება, განწნახხვა, განძავლობა, განძავლობა, განძანტება, განკარგულება, განხახლება, განსაცთელი, განყოფილება, განცვიფრება, განცხრამა, განძვინგება, განეურნება, განეენებული, განსაკუთრებით, განძანათლებელი (წმ. ნინო და სხ.), განხორციელება, განთიადი, განჩინება, განდიდება, განკერძოება, განწესება, სული განუტევა, განსგუნება, განსვენებული, განხეთქილება და სხ.—ღამა-

ხინჯებულათ იხმარება ფორმა განთავისუფლას; ძველი ფორმაა განთავისუფლას, ახალი კი — განთავისუფლას. — წამოება, წარჩინება, წარღვნა, წარდგენა, წამოღგენა, წარდგომა, წამოღგომა (გაარჩიეთ ამისგან წამოღგომა), წარმატება, წარმათი, წარწება, წარსულა (გაარჩიეთ ამისგან წარსული); წარმავალი (გაარჩიეთ ამისგან წამავალი), შთაგონება, შთამომავლობა, შთაბეჭდილება, კარდამოხსნა, კარდამოღგომა,

სრული თავსართები იხმარება აგრეთვე ზევით მოყვანილი სიტყვების ნაწარმოებ ფორმებში, მაგ. აღსარებული, აღმსარებელი, განცვიფრებული, წარმოსდგა, წარჩინებული და სხ. და სხ.

### თავსართები შე, ძო, შეძო.

თუმცა დღესდღეობით იშვიათათ ხმარობენ, მაგრამ მაინც შეხვდებით დღესაც აქა-იქ ჩვენს მწერლობაში თავსართებს **შა** და **ძა**-ს და განსაკუთრებით თავსართ **შამო**-ს.

ძველ მწერლობაშიც არეულათ იხმარება ეს თავსართები: ხან **შა**, **ძა**, **შამო**, და ხან კი **შე**, **ძო**, **შამო**. „ვისრამიანში“ თანასწორათ არის ნახმარი როგორც პირველი, ისე მეორე ფორმები; „ვეფხისტყაოსან“-ში კი ყოველგან ნახმარია ფორმები **შე**, **ძო** და **შამო**; „ღავითიან“-ში ორივე ფორმაა ნახმარი.

ახალ მწერლობაში **ზა** და **მა** იშვიათათ იხმარება, თუმცა ამ თუთხმეტი წლის წინათ ძალიან ხშირათ ხმარობდენ ამ ფორმებს. — რაც შეეხება ხალხს, **ზა** და **მა** ძახეთს გარდა თითქმის ყოველთხეში არ ისმის. სმენისთვისაც, ჩემი აზრით, **ზე** და **მო** უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე **ზა** და **მა**, და, მაშასადამე, იმათ უნდა მიეცეს უპირატესობა.

თუმცა თავსართი **ზამო** ხშირათ ისმის ხალხში, განსაკუთრებით იმერეთში, და მწერლობაშიც ხშირათ ხმარობენ, მაგრამ თანასწორათვე ხშირათ იხმარება **ზამო**-ც, და რადგან ეს რთული თავსართი შემდგარია ზემოხსენებულის ორი თავსართისაგან (**ზე**+**მო**), ამიტომ, ჩემი აზრით, უპირატესობა იმას უნდა მიეცეს.

### შევატყე, თუ შევატყვა?

მრგვარათ ხმარობენ ახალ მწერლობაში ზოგიერთი ზმნების ფორმებს, **ვი**-ით და **უ-ვი**-ინოთ: **შევიტყე**, **გავაწყე**, **დავახჩე**, ან **შევიტყე**, **გავაწყე**, **დავახჩე** და სხ.

ჩემი აზრით, **ვი**-ნის ხმარებას აქ საფუძველი აქვს — და აი რატომ: 1) სრული ფორმა იყო **შევიტყევი**, **გავაწყევი** და სხ.; **ვი**-მა გამოთქმაში ადგილი იცვალა, ე. ი. მოხდა ესრეთწოდებული **მეტათესისა** — და გაკეთდა ფორმა **შევატყევი**, **გავაწყევი** და სხ.; 2) ძველ მწერლობაშიც ნახმარია ამ შემთხვევაში **ვი**, — მა-

გალითათ „მეტეხისტყაოსან“-ში: შემიტყვია, შეგვატყვეს და სხ. (გვ. 20 და 95); 3) ხალხში ორივე ფორმა ერთნაირათ იხმარება: ვინიანი დასავლეთ საქართველოში და უვინო—აღმოსავლეთში.

ამავე კანონის ძალით იხმარება: გამიცვნია, დამიდვნია, შემიმკვია, დავათვრე, დამითვრია და სხვ. \*)—3 ამ შემთხვევაში კეთილხმოვანებისთვისაც საჭიროა ისე, როგორც, მაგალითათ, ზმნებში: სმა—ესვი, თქმა—ვსთქვი, ცმა—ვიცვი, მითქვამს, მიცვამს და სხ.

პირიქით, 3 არაფერი საჭიროა ფორმებში დაგანახვე, დაძანახვა და სხ., როგორც ხმარობენ ჩვენს მწერლობაში. ეს ფორმა ისე უნდა ვიხმაროთ, როგორც ამის მზგავს ზმნებში ვხმარობთ: წავაკათხე, შევასედე, შევაყვარე და სხ.; ბოლოში 3 მხოლოდ სხმითგადასვლით ზმნებს ახლავს: მოვანახვიე, გავაბეღვიე და სხ.

### ქეშანას, და ანა ქეშანიანს.

ზმნებში ძრცხვენას, ქეშანიანს, ძქვიანს, ქშანს, ძყუყუდიანს, შექმიძლიანს, ძწადიანს—უნდა ბოლოში ნ, თუ არა?

„ვისრამიან“-ში ორივე ფორმაა ნახმარი (გვ. 31, 37, 103, 123 და სხ.); შოთა რუსთაველი უნა-

\*) 3 არ არის კეთილხმოვანი ზმნებში: დამმართვია, გამისწვრია (მომისწვრია, შემისწვრია, და სხ.).



რომ ხმარობს: **ძღვცხენია** (გვ. 50); ხალხში და ახალ მწერლობაში ორივე ფორმა თანასწორათ იხმარება — აღმოსავლეთ საქართველოში ნარით, დასავლეთში კი — უნარით.

ჩემი აზრით, უნარო ფორმა უფრო კეთილხმოვანია — და უმჯობესია მწერლობაში საერთოთ ის ვიხმაროთ.

### ძაწეენანა, თუ ძაწეენას?

6 საჭირო არ არის არც სხმითგადასვლით ფორმებში: **ძაწეენანა, ძათქევენანა, დამაწეენანა, გაარბენანა** და სხ. — „ვეფხისტყაოსან“-ში ხშირათ შეხვდებით უნარო ფორმას: **ძოვასქენაე, ძოვალსქენაე** და სხ. (გვ. 283)\*); ხალხში და ახალ მწერლობაში თანასწორათ იხმარება ეს ფორმა ზემორე თქმულისამებრ (ე. ი. აღმოსავლეთში ნარით და დასავლეთში უნარით). კეთილხმოვანებით კი, ჩემი შეტყობით, უნარო ფორმა სჯობია ნარიანს.

6 დარჩება მხოლოდ კვლავსხმითგადასვლითი ზმნების პირველ ნახევარში: **დავაწერინებიებ, გავაკეთებინებიებ**.

\*) აქვე უნდა შევნიშნო, რომ რუსთაველი უთუოთ აქ იმით ხელმძღვანელობს, რომ ორი 6 ერთათ ერთობ უკეთილხმოვანია (**ძოვასქენანე, ძოვალსქენანე**); სხვა შემთხვევებში კი 6-ს ხმარობს.

ქეძინანა, თუ ქეძინა? გაძიბუნანა, თუ გამაბუნანა?

ნატურითი კილოის ნამყოებში ხშირათ ურთვენ ნ-ს ზოგიერთ ზმნებში: ქეძინანა, ქენადინანა, ქეთაძაშნანა, ძაძელუნანა, ქეძინანას, ქენადინანას, ქეთაძაშნას, ძაძელუნანას-ო და სხ.; — აგრეთვე მოთხრ. კილ. ნამყო III-ში: ძანადინანა, ძათაძაშნანა, ძაძუნანა, გაგვიძაძუნანა, ძაყინანა, ძაჩუქნანა, დაგვიხუნანა, ძაღაძანანა, ძაყინანა და სხ. და სხ. თანასწორათვე ხშირათ იხმარება უნაროთაც: ქეძინანა, ქეძინანას, ძაძუნანა, ძაყინანა და სხე.

ნარიანი ფორმა უფრო აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება, უნარო კი — დასავლეთში. ძველ მწერლობაში მე არ შევხვედრივარ ნარიან ფორმას; „ვისრამიან“ ში ნახმარია „დაგვიწყებია“ (გვ. 144), ახლა კი ბევრი დაგვიწყინანას ხმარობს.

ნარიანი ფორმა, ჩემი აზრით, არ არის კეთილხმოვანი სმენისათვის — და უმჯობესია უნარო ფორმა დავსტოვოთ მწერლობაში.

ნამყო III-ში ხშირათ ხმარობენ ნარიან ფორმას და აბოლოებენ ია-ზე იმ ზმნებსაც, რომელსაც კანონით დაბოლოება აჰს ეკუთნის, — მაგალ. ძაძელუნანა, ძაყინანა, გაძიბუნანა, შეძიბუნანა-ო და სხ. ნამყო III მოთხრ. კილ. მყოფადისგან წარმოებს, და როცა ზმნა მყოფადში აჰ ან ვაჰ-ზე ბოლოვდება, ნამყო მესამისათვის მყოფადს პირდაპირ ს მიემატება: შეგსვაჰ — შემისვაჰს, დავრგაჰ —

დამირგავს. ნამყო III-ში ია-ზე ზმნა მხოლოდ მა-  
შინ დაბოლოვდება, როცა მყოფადში არ ბოლოვდება  
ავ ან ვავ-ზე: დავსწერ—დამიწერია, გავაკეთებ—  
გამიკეთებია და სხ.—ზემოხსენებული ზმნებისგან  
მყოფადი იქნება: მოგილოცავ, ვიკითხავ, გავბედავ,  
შევხედავ,—მაშასადამე ამათგან ნამყო III უნდა იქ-  
ნეს მომილოცავს, მიკითხავს, გამბედავს, შემა-  
ხედავს.—მართალია, ეს ფორმები ორაზროვანია,  
მაგალითათ გაძიებდავს იმასაც ნიშნავს, რომ ვითომ  
ის ჩემთან განკუთვნილ მოქცევას, — მაგრამ ზევეითაც  
ვამბობ და აქაც ვიმეორებ, რომ ორაზროვანი ფორ-  
მები და ომონიმები წინადადებაში აზრს არაოდეს არ  
აგვირევეს—და, მაშასადამე, იმათი მიზეზით უკეთილ-  
ხმოვანო ფორმების შემოღება სრულიად უსაფუძვ-  
ლოა. ორაზროვანი ფორმები და ომონიმები არათუ  
ამახინჯებს, პირიქით—კიდევაც ალამაზებს ენას, აგოგ-  
მანებს აზრის გამოხატულებას, რასაც ხშირათ გვი-  
მტკიცებს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსან“-ში,—  
მაგალითათ:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასუდი,  
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასუდი;  
მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სუდი;  
ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად ზ ენა ბევრად ასუდი (გვ. 8)

„ახალმან თიფქმან დასთოვა, ვარდი დასთრთვილა,  
დაჰნასა...

მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის და-  
ნასა“; და მრ. სხ.

ამასვე გვიმტკიცებს აკაკი თავისი მშვენიერი ლექსით: „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“.

ნამყო III-ში ია-ზე ბოლოვდება აგრეთვე ის ზმნები, რომელიც მყოფადის დაბოლოებას ავ-ს ხშირათ ამოკლებს ხოლმე, — მაგალითათ ზმნებისგან დაკეტვა, დათვისვა, დაბეჭდვა, დაღებვა, გაღაწვა და სხ. მყოფადი ორგვარათ იხმარება: სრული ფორმით — დაგკეტვა, დავთვისვა, დავბეჭდვა, დავღებვა, გაღაწვა, და შემოკლებით — დაგკეტ, დავთვის და სხ. ამისთანა ზმნები ნამყო III-ს აბოლოებს ია-ზე: დაძიკეტია, დაძითვისია, დაძიბეჭდია და სხ. (იხ. „ვეფხ.“ გვ. 18: დაუსხიცია, შეუტყუონცია, დაგვიხიცია). — ია-ზე აბოლოებენ აგრეთვე ზმნას წასმა, თუმცა მყოფადი ვამ-ზე ბოლოვდება: წაძისგია, წავისგია, წაუსგია და სხ.

არსებითსახელთაგან ნაწარმოებ ზმნებშიც, ზემორეთქმულისამებრ, უკანონოთ ხმარობენ ნამყოებში ნ-ს: ძაეუდღვლავნია, ძითევსავნია, ძეეუდღვლავნა, ძეეუდღვლავნოს-ო და სხ. ამ ზმნებისგან ნამყოები უნაროთ სჯობია ვიხმაროთ, სუფიქს მბ-ის ჩამატებით, როგორც იხმარება ხოლმე განსაკუთრებით იმერეთში: ძითევსებია, ძაეუდღვლებია, ძეთევსებია, ძეეუდღვლებია, ძეთევსებიოს და სხ. — აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ზმნების სახელწმინას ზოგჯერ აბოლოებენ არბა-ზე: ეუდღვლავობა, თევსავობა-ო და სხ.; ამგვარი დაბოლოება არც კანონიერია და არც კეთილხმოვანი; არის მხოლოდ სუ-

ფიქსი **მზ** (**ნადირი** — **ნადირობა**, **წყერი** — **წყერობა**), და წინ ა-ნის ჩართვა რაღა მოხელეა. მე მგონია, ფორმები **თეგზაობა**, **თეგზაობს**, **ძითეგზავნა** და სხ. ორაზროვნობის ასაცილებლათ არის შემოღებული; მაგრამ, თუ რომ, მაგალითათ, ფორმები **გნადირაობ**, **გნადირაობდი**, **ძინადირია** და სხ. არ ნიშნავს ნადირათ **გადაქცევას**, **ეუბრდგლობა**, **თეგზობა** და მზგ. სხ. ვითომ რათ მოგვეგონებს ვისიმე ყურდგლათა და თევზათ **გადაქცევას!**

### გავსტებს, და ანა გავტებსგ.

მყოფად დროში ზოგჯერ იხმარება გარდამეტი მარცვალი **აშ**: **გავსტებსგ**, **გავსწხრეკავგ**, **დავწილავგ**, **ძოვკებანავგ**, **დავბანავგ**, და სხ. და სხ.

ამგვარი ზმნებისგან უფრო ხშირათაც იხმარება და უფრო კეთილხმოვანიც არის შემოკლებული ფორმები: **გავსტებს** (**გასტებს**, **გასტებსს**), **გავსწხრეკე**, **ძოვკებე** და სხ.; „ვეფხ“-შიც ასეა ნახმარი, — მაგალ. „**გასტებსს ქვასაცა მაგარსა**“ და სხ. (გვ. 2).

აქვე უნდა შევნიშნო, რომ უსაფუძვლოთ აბოლოებენ სახელზმნაში **შა**-ზე იმისთანა ზმნებს, რომელიც მყოფადში **აშ**-ზე არ ბოლოვდება: **გატებსვა**, **დაწევვა**, **აწონვა**-ო და სხვ.; ამ ზმნებისგან მყოფადი იქნება **გავსტებს**, **დავსწერ**, **ავსწონი** და სახელზმნა — **გატებსა**, **დაწერა**, **აწონა**.

### გელოდდი, თუ გელოდდი?

გელოდდი, მოგელოდდი, მოკელოდდა-ო და სხ., ხმარობენ ზოგიერთი ჩვენი მწერალნი. ორი ლ ამ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოა. მართალია, ამ ზმნას ძირში ახლავს ლ (მოლოღნა, მოლოღინი)— და შეიძლება ამ გარემოებაზე ამყარებდნ ზემოხსენებული მწერალნი თავის მართლწერას (ვითომ ძირისა და დაბოლოების ლ ერთათ იყრის თავსო); მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან მოთხრ. კილოის ნამყო I (მოველოდი) წარმოებს მოთხრ. კილ. აწმყოსაგან, სადაც ლ არ ურევია: ველი—ველოდი, მოველი—მოველოდი (როგორც ვრბი—ვრბოდი, ვთრთი—ვთრთოდი).

ძველ თხზულებათა შორის მე მარტო „ვისრამიან“-ში ვნახე ეს ორდონიანი მართლწერა, თუმცა იქვე უფრო ხშირათ ერთი ლ-ნით იხმარება ეს ფორმები; „ვეფხისტყაოსან“-ში კი ყოველგან ნახმარია ერთდონიანი მართლწერა. ხალხის გამოთქმაშიც ერთი ლ მოისმის და ახალანდელ მწერლობაშიც უმრავლესობა ერთ ლ-სა ხმარობს ხსენებულ ფორმებში.

### შეკეშინა, და აწა შეკეშინდა.

ღ არაფერი მოხელეა აგრეთვე ფორმებში შეკეშინდა, შეკეშინდა და სხ. ხალხში, მართალია, ხშირათ ისმის ეს ფორმა, მაგრამ მეორე ფორმასაც ხმა-

რობენ (შექეშანა), და ძველ მწერლობაშიც ასე იხმარებოდა, მაგალითათ „ვისრამიანში“ (გვ. 175, 215, 232 და სხ.), „ვეფხ.“-ში (გვ. 269). მიმოხრის კანონითაც **ღ** აქ უადგილოა, რადგან ზმნა ქეშინია ისევე უნდა მიმოვხაროთ, როგორც მისი მზგავსი ზმნები ძრცხვენია, ძწვენია და სხ., რომელსაც იმავე დროში **ღ** არ ახლავს: შეძრცხვა, ძეწვენა.

### ვეფხაღვან, თუ ვეფხაღვან?

ნამყო III ვნებითისა და ზოგიერთი საშვალორ გვარის ზმნებისგან ორგვართ იხმარება ძველ მწერლობაში: ვეფხაღვან, ვწღღაღვან — ან ვეფხაღვან, წღღაღვან. „ვისრამიან“-ში თუმცა ორივე ფორმა ნახმარი. მაგრამ მეორეს უფრო ხშირათ შეხვდებით: ეფხაღვან, ქნაღვან, წღღაღვან, ჯღღაღვან, გაძაჯნუნებულვან, გასულვან, ძოსულვან და სხ. და სხ. „ვეფხისტყაოსან“-ში აგრეთვე ორივე მართლწერაა ნახმარი, თუმცა, „ვისრამიან“-ის წინააღმდეგ, აქ ორვინიანი ფორმა (ვეფხაღვან და სხ.) უფრო ხშირია, ვიდრე ერთვინიანი.

ჩემი აზრით, პირველ მ-ს ფორმაში ვეფხაღვან ადგილი არ უნდა ქონდეს ისე, როგორც თავსართიან ზმნებში არ აქვს იმას ადგილი თავსართის წინ, ე. ი. როგორც არ ითქმის, მაგალითათ, ვაღვანებ, ისე არ უნდა ითქმოდეს ვეფხაღვან: პირველი პირის მაჩვენებელი მ შემწეობით ზმნას ახლავს (ვან)—და



მ-ნის გამეორება თავში არაფერი მოხელეა. მართალია, ხალხი ორვინიან ფორმას ხმარობს (ვყოფილვარ, წავსულვარო და სხ.), ხანდახან მარტო თავში სტოვებს მ-ს, შვაში კი კარგავს (ვყოფილიყავ, წავსულიყავო და სხ.), მაგრამ მწერლობა ვალდებულია — ხალხისგან დამახინჯებულ ფორმებს ეწინააღმდეგოს და ენის სიწმინდე დაიცვას. — რაც შეეხება კეთილხმოვანებას, არა მგონია — გყოფილვარ, წავსულვარ და სხ. უფრო კეთილხმოვანი იყოს, ვიდრე ეყოფილვარ, წასულვარ.

ამ სახით, ჩემი აზრით, უმჯობესია ერთვინიანი ფორმა დავსტოვოთ მწერლობაში და საერთოთ ასე ვიხმაროთ: ეყოფილვარ, წასულვარ, ეყოფილვაყავ, წასულვაყავ, ეყოფილვიყო, წასულვაყო და სხ. და სხ.

აქიდან უნდა გამოირიცხოს ზმნები: ვდგავარ, ვწავარ, ვწევარ, ვჩანვარ, ვყავარ, ვგავარ, ძავადივარ — და საზოგადოთ იმის თანა ფორმები, სადაც ზმნის ზანგელა ნაწილა ან ანას ძამდეობა: — ამისთანა ზმნებში ყოველთვის ორვინიანი ფორმა იხმარება.

### თქვენ გყავსო, თუ გყავთ?

როცა ზმნა მიმოხრაში მ-ნით იწყება და ს-ზე ბოლოვდება, მრავლობითი რიცხვის მეორესა და მესამე პირში ორნაირი დაბოლოებით იხმარება, ხან ს-ნით და ხან უ-ს-ანოთ: მე მყავს, მიყვარს — თქვენ გყავსო, გაყვარსო, ან გყავთ, გაყვართ;

მათ ყავსთ, უყვანსთ — ან ყავთ, უყვანთ; მე მიხაროდეს — თქვენ განხრადდესთ, ან განხრადდეთ; მეწეროს — თქვენ გაწერასთ, მათ ეწერასთ; მე მოთქვამს — თქვენ გათქვამსთ, მათ უთქვამსთ, ან გათქვამთ, უთქვამთ; მე წამიკითხავს — თქვენ წაგაკითხავსთ, მათ წაუკითხავსთ, ან წაგაკითხავთ, წაუკითხავთ და სხ.

„ვისრამიან“ - ში ორ ალაგას შემხვდა ეს ფორმა — და ს-ნით არის ნახმარი: გჯავსთ (გვ. 201), აქუსთ (442). „ვეფხ.“ - ში ორივე მართლწერა იხმარება, უფრო ხშირათ უსანოთ: აქვთ, ჰყავთ, გამძიძით, გაჯავბდეთ, უყვანთ, ძოგხვდებისთ და სხ. საბა ორბელიანიც ორივე ფორმას ხმარობს. — ახალ მწერლობაშიც აგრეთვე არეულათ იხმარება ეს ფორმები, ერთნაირათ ორივე; ხალხში კი უფრო ხშირათ ს არ ისმის.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ამნაირი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ ს-ნის წინ ზმნას ხმოვანი ხმა ახლავს, მაშინ ს სჯობია დარჩეს, რადგან ხმოვანს შემდეგ ადვილი გამოსათქმელია (გაყვანდესთ, უყვანდესთ, გაკათხლასთ, უკათხლასთ), და თუ ს-ნის წინ თანხმოვანია, მაშინ ს-ნის გამოთქმა ძნელია და ამიტომ სჯობია უსანოთ ვიხმაროთ: გაქვს — გაქვთ, აქვს — აქვთ, გიყვარს — გაყვანთ, უყვარს — უყვანთ.

თუმცა ამ შემთხვევაში ხშირათ ზმნის ერთ ფორმას ორი აზრი აქვს (მაგალითათ თქვენ გაკათხავთ იმასაც ნიშნავს, რომ თქვენ ნაკითხი გქონი-

ათო, და იმასაც, რომ თქვენთვის ვკითხულობთო), მაგრამ ზევითაც ნათქვამი მაქვს, რომ წინადადებაში ამით აზრი არ აირევა, და ამიტომაც ეს დაბრკოლება იმდენათ საყურადღებო არ არის, რომ იმის ასაცილებლათ კეთილხმოვანება უარუყოთ.

### დავაწებოა, თუ დავაწებოდა?

ნატვრითი კილოის ნამყოფში (რა მექნა? რა მექნას?) ზოგიერთი მწერალი მარტივი ფორმის მაგიერ რთულს ხმარობს, ე. ი. იმის მაგიერ რომ დაბოლოოს **მდა** და **მდეს**-ზე, შემწეობითი ზმნის საშვალეებით მიმოხრის ხოლმე: **დავაწებოა, დადგომა, დაწოლა, ვაგა, ქონია, დავაწებოა, ქონია**-ო და სხ.

ასე ხმარობენ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში აზდილი მწერალნი, რადგან იქაურ ხალხში ისმის ეს ფორმა აქა-იქ. ძველ მწერლობაში „მეფხ.“-ში შევხვდი ამ ფორმას ერთ ადგილას (**ვაგა, გვ. 59**) და „სიბ.-სივ.“-შიც ერთ ალაგას არის ნახმარი: **დავაწებოა** (გვ. 90); სხვაგან კი ყოველგან მარტივათ მიმოხრის ამ ზმნებს როგორც რუსთაველი, ისე **საბა ორბელიანი**ც.

ამ სახით, მარტივი ფორმა (**დავაწებოდა—ქონდა, დავაწებოდაქს—ქონდაქს** და სხ.) უნდა დარჩეს მწერლობაში, რადგან უმეტესობაც ხმარობს იმას და უფრო კეთილხმოვანიც არის სმენისათვის.

სსენებულ დროებში რთულათ, ე. ი. შემწეობითი ზმნის საშვალებით, მხოლოდ მაშინ მიმოიხრის ზმნა, როცა შემწეობით ზმნას წინ ნამყო დროის ვნებითი მიმღეობა მიუძღვის: **ძამკვდაწაყა** (მომკვდარი+იყო), **გაწაწალებულიყო** (გაცოცხლებული+იყო), **მოსუდაყას** (მოსული+იყოს), **მომხთადაყას** (მომხთარი+იყოს) და სხ. და სხ.

### ვაყა, და აწა ვაყკე.

ვაყკე, აყკე, აყკეს, ვაყკეთ, აყკეთ, აყკენ—  
თუ ვაყა, აყა, აყას, ვაყათ, აყათ, აყან?

„ვისრ.“-სა და „ვეფხ.“-ში ყოველგან მეორე ფორმა ნახმარი (ვაყა, აყას და სხ.); იქ მხოლოდ შეხვედებით ფორმას ვაყკეთ, აყკეთ, და უნაროთ კი (ვაყკეთ, აყკეთ და სხ.) არ იხმარება. საბა ორბელიანიც ყოველთვის მეორე ფორმას ხმარობს (ვაყა, აყა, აყას). რაც შეეხება ახალი მწერლობისა და ხალხის ენას, იქ ორივე ფორმა იხმარება, უმეტესათ კი ვაყა, აყა და სხ. ძეთილხმოვანებით; ჩემი აზრით, მეორე ფორმა სჯობია—და უმჯობესია საერთოთ ასე ვიხმაროთ: ვაყა, აყა, აყას, ვაყათ, აყათ, აყან.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამავე შემწეობითი ზმნიდან ნატვრითი კილოის მყოფად II-ში ორგვარი ფორმა იხმარება: ვაქნა, აქნა, აქნას, ვაქნათ,

იქნათ, იქნან და გიქნე, იქნე, იქნეს, გიქნეთ, იქნეთ, აქნენ. უმჯობესია ეს უკანასკნელი ფორმა (ვიქნე, იქნე და სხ.) დავსტოვოთ მწერლობაში, როგორც უფრო კეთილხმოვანი ფორმა.

### გაგაზანდნეთ—გაგაზანდეთ.

როგორც გიყვანეთ ან გიყვეთ-ის მაგიერ, ზემორეთქმულისამებრ, იხმარება ვაყოთ, ისე გაგაზანდნეთ, გაგაზანდნეთ, შეგვიყანდნეთ, დავგაზანდნეთ და ამათი მგზავსი ფორმების მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ გაგაზანდეთ, გაგაზანდეთ, შეგვიყანდეთ, დავგაზანდეთ და სხ. ეს დროებია ნატვრ. კილოის მყოფადი II (რა ვქნა?), რომელიც მოთხრ. კილოის ნამყო II-ისაგან წარმოებს და მიიღებს დაბოლოებათ ზოგ ზმნებში ა, ა, ას, ათ, ათ, ან, ზოგში მ, ე, ეს, ეთ, ეთ, ენ, ზოგში კი მ, ო, ოს, ოთ, ოთ, ონ. უკანასკნელი დაბოლოებანი მაშინ ემატებიან, როცა ნამყო II-ში ზმნა დაბოლოებულია მ-ზე: დავსწერე, დავიწყე—დავსწერო, დავიწყო და სხ. ამავე კანონის ძალით უნდა ვიხმაროთ გაგაზანდეთ, გაგაზანდეთ და სხ., რადგან ნამყო II-ში ამ ზმნებს დაბოლოება მ აქვს: გავიზარდე, გავიზარე და სხ. და სხ.

მართალია, ხშირათ ამ შემთხვევაში ორაზროვანობა გამოიხატება, მაგრამ, როგორც ზევით ხშირათ გვაქვს ნათქვამი, უხეირო ფორმის შემოღებას

ორაზროვანი ფორმის დატოვება სჯობია, შით უმეტეს, რომ წინადადებაში აზრი ყოველთვის გასაგები იქნება.

ვნახეთ, და ანა ვნახეოთ.

მოთხრ. კილოის ნამყო II-ში ხშირათ უმატებენ გარდამეტ მარცვლებს **30**-სა და **50**-ს: **წაღეკა, ვნახეკა, წაღეკი, ნახეკი, წაღეკით, ვნახეკით, გაანახენათ, შეკაყანათ, შეყანათ-ო** და სხ.

ძველათ, მართალია, იხმარებოდა ეს ფორმები, მაგრამ ახალ მწერლობაში იშვიათათ შეხვდებით მათ,— ალბათ იმიტომ, რომ უმეტესობის აზრით ეს ფორმები უკეთილხმოვანია, და მეორეც იმიტომ, რომ საზოგადო კანონითაც მოთხრ. კილოის ნამყო II-ეს პირველ მიმოხრაში აქვს დაბოლოებანი: **მ, მ, ა, მთ, მთ, მს (მნ), ან ი, ი, ა, ით, ით, მს (მნ)**,— მაგალ. **გსწერე, სწერე, სწერა, გსწერეთ, სწერეთ, სწერეს; დაგსდგი, დასდგი, დასდგა, დაგსდგით, დასდგით, დასდგეს; გაწაწადე, გაწაწადე, გაწაწადეთ, გაწაწადენ.** — **30**-სა და **50**-ზე მხოლოდ მაშინ ბოლოვდება ზმნა, როცა ძირში ახლავს **მ** ან **ნ**: დაწვა — დაგსწვი, გახსნა — გაგხსენ<sup>\*)</sup>; ან უკანონო ზმნებში: დაწოლა

<sup>\*)</sup> პირველ ორ პირში მხოლ. რიცხვში მარტო **ნ**-ზეც შეიძლება დავაბოლოვოთ: მე გაგხსენ, შენ გახსენ, მე გიგხსენ, შენ იგხსენ და სხ.

— დაგწკვა, გაყოლა — გაგყავა, გაყოფა — გაგვაფი. —  
30-ზე ბოლოვდება აგრეთვე ზმნა დადება: დაგსდეგა,  
დასდეგო და სხ.

### დაწყება და დაწყობა.

ბევრი ვერ არჩევს მიმოხრაში ზმნებს დაწყება  
და დაწყობა. ზანსაკუთრებით აღმოსავლეთ საქარ-  
თველოს ხალხი და მწერალნი ერთგვარათ მიმოხრი-  
ან, რა მნიშვნელობაც უნდა ქონდეს: დაწყობა, და-  
წყობილა, დაძიწყია, დაგვიწყე, დაგვიწყობ-ო და სხ.,  
ხმარობენ ისინი მაშინც, როცა ეს ზმნა ხელის ძი-  
ყოფას ნიშნავს, და მაშინც, როცა დალაგებას აღ-  
ნიშნავს. „მისრამ.“-ში ნახმარია შემდეგი ფორმები:  
დააწყებენ, დაგაწყებ, დაწყებ, დაძაწყებს (გვ. 120,  
275, 309, 333); „ვეფხ.“-ში: „აწლა დაგვიწყებ ამ-  
ბავსა“ (გვ. 185); საბა მრბელიანიც ამგვარათვე  
მიმოხრის ამ ზმნას, როცა ის ნიშნავს ხელის ძიეო-  
ფას: „ხარჯვას დაგუწყებო“ (გვ. 9); აგრეთვე „ქილ.“-  
ში: გვ. 110, 118, 122, და სხ. და სხ.

დასავლეთ საქართველოში, როცა ეს ზმნა ხე-  
ლის ძიეოფას ნიშნავს, ამგვარათ მიმოხრიან: წყება  
(დაწყება), ვიწყებ, ვიწყებდე, ვიწყებდი, ვაწყებ (და-  
ვიწყებ), დაგაწყებდე, დაგვიწყებდი, დაგვიწყე, დაძი-  
წყია, და თუ დალაგებას ნიშნავს, მაშინ ასე მიმოხ-  
რიან: დაწყობა, ვაწყობ, ვაწყობდე, ვაწყობდი, და-  
ვაწყობ, დაგაწყობდე, დაგვიწყობდი, დაგვიწყე, და-



მაწეკაბ, ან გაწეობ (ჩემთვის ვაწეობ), ვაწეობდე, ვაწეობდი, დაწეწეკე და სხ.

ზოგიერთ დროებში ამ ორ ზმნას (დაწეობა და დაწეება) საერთო ფორმები აქვს, მაგალ. დაძეწეო, დაგეწეო, დაძეწეოს და სხ., მან დაიწეო, დაიწეოს! დაგეწეო! დაიწეოს!

ჩემი აზრით, დასავლეთის საქართველოს ფორმები უნდა დაკსტოვოთ მწერლობაში, მით უმეტეს რომ ამ ფორმებს, როგორც ზევითაც ვსთქვი, ძველი მწერლობაც ხმარობს და დღევანდელ მწერლობაშიც უფრო ხშირათ ხმარობენ. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მნიშვნელობით დაწეება სხვა არის და დაწეობა სხვა.

მსვე უნდა ვსთქვა ზმნაზე ვასწებ: ამერეთში მ-ნით იხმარება ეს ზმნა (ვასწობ, ჩავუსწობ, მავუსწობ-ო და სხ.), მაგრამ იმერული ფორმები (ვასწებ და სხ.) უფრო ხშირათაც იხმარება და უფრო კეთილხმოვანიც არის.

### ვაჯადები, თუ ვაჯადები?

ზმნებისაგან ვწეკან, ვწიგან, ვსდგაკან მყოფადი დრო ორგვარათ იხმარება: ვიწეება, ვაჯადები, ვიდგება—და ვაწელები, ვაჯადები, ვიდგობები.

ჩემი აზრით, მეორე ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა, რადგან ამათი მზგავსი, ზმნები მყოფადს სახელზმნისაგან აწარმოებს: ვკავან (სახელზმნა კვან-

ნება, გგანვას) — ვეძგვანები, ვკავან (სახელზმნა ყოდა) — ვეყოლები. — ზემოხსენებული ზმნების სახელზმნებია წოდა, ჯადა, დგოდა — და, მაშასადამე, აქიჯან მყოფადი იქნება ვაწოლება, ვაჯადალება, ვადაცვალება.

### წვანან, თუ წევან?

ზორმა წვანან მეტათ უკეთილხმოვანოა, და თუმცა მწერლობაში ასე იხმარება, მაგრამ საზოგადოათ ძალიან იშვიათათ შეხვდებით ამ ფორმას, თითქო ყოველი მწერალი ერიდებოდეს მის ხმარებას; ძველ მწერლობაში ერთხელაც არ შეხვდებოდნარ ამ ფორმას.

იმერეთში იხმარება ფორმა წევან, რომელიც ნაწარმოებია, სხვა ზმნების მზგავსათ, მხოლ. რიცხვის მესამე პირიდან (ის წევს — ისინი წევან, როგორც ჩანს — ჩანან, ღბის — ღბიან), და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ წვანან-ის მაგიერ წევან ვიხმაროთ, როგორც უფრო კეთილხმოვანი და მასთან კანონიერათაც ნაწარმოები ფორმა.

მსვე უნდა ვსთქვა ფორმაზე გვანან: — ამის მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ ფორმა გავან, რომელიც უფრო კეთილხმოვანიცაა და კანონიერათაც არის ნაწარმოები (ის გავს — ისინი გავან).

### ვაჯექათ, თუ ვასხედათ?

ზმნას ვსავან პრავლობ. რიცხვში ორგვარათ მიმოხრიან: ვზივართ, ზიხართ, ზიან — და ვსხედვართ,

სსკედხანთ, სსკედან; გაჯექათ, აჯექით, აჯედენ — და ვისსკედით, ისსკედით, ისსკედენ და სხ. და სხ.

ბეთილხმოვანების მხრით უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე ფორმას (სსკედან, ვისსკედით და სხ.) ყველა დროში, მოთხრ. კილოის აწმყოს გარდა; მოთხრ. კილოის აწმყოში კი პირველი ფორმის პირველი ორი პირი (ვსაჯანთ, წახანთ) უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე მეორე ფორმისა (ვსსკედჯანთ, სსკედხანთ); მაშასადამე, აწმყოში ასე სჯობია მიმოვხაროთ: ჩვენ ვსაჯანთ, თქვენ წახანთ, ისინი სსკედან; დანარჩენ დროებში კი — ყოველგან ძირისგან სსკედ: ვისსკედით, ისსკედით, ისსკედენ, ვისსკედით, ისსკედით, მსსკედჯანთ და სხ. და სხ.

### ვსკედჯან, და ანა ვსკედკან.

ვევეკან, ვსკედკან, ვკვეკან — თუ ვევეკან, ვსკედკან, ვკვეკან?

უსათუოთ მეორე ფორმა უნდა დარჩეს, რადგან უკეთილხმოვანესიც არის, კანონიერათაც ნაწარმოებია (სხვაგან ყოველგან ბ-ნით მიმოიხრის: ძევეკს, სკედკან, ძევეკს, ძევეკან, ძევეკან და სხ.) და მასთან მწერლობაშიც უმეტესათ ბ-ნით ხმარობენ. — „ვისრ.“-სა და „ვეფხ.“-ში ნახმარია ხსენებული ზმნები მართივ ფორმებში: მე ვკვეკ, შენ კვეკ, ე. ი. შემწეობითი ზმნა. ვან, ხან და სხ. არ ახლავს; ყოველ შე-

მთხვევაში, აქიდან მაინც ჩანს, რომ ა უხმარიათ, და არა მ; „მეფხ.“-ში კიდევ ნახმარია ვდგაგანთ (გვ. 228), „ვისრ.“-შიც სდგახან (გვ. 21). — ღღევანდელ მწერლობაშიც უმეტესათ ა-ნით მიმოხრიან — და სჯობია საერთოთ ასე მიმოვხაროთ: ვსდგავან, გგავან, ვყავან, ვსდგავანთ, ვგავანთ, გავხანთ, ძგავხანთ, ძყავხანთ და სხ. და სხ. — შესამე პირში უკანონოთ იხმარება ზოგჯერ ფორმა დგა, უნდა სდგას.

### დასდვა, და ანა დასდა.

მოთხრ. კილოის ნამყო II-ის მხოლ. რიცხვის მესამე პირში ორნაირ დაბოლოებას ხმარობენ, მ-სა და ვა-ს: ძიანთო, წაძანთო, დასდა, ან ძიანთოვა, წაძანთოვა, დასდა და სხ.

ძველ მწერლობაში პირველი ფორმა იშვიათათ შეგხვდებათ; „ვისრ.“-ში ნახმარია ფორმები: დაჯდა, იდავა, დადავა, ძაძადავა, ედავა (გვ. 23, 30, 157, 206, 235), და მხოლოდ ერთ ადგილას შემხვდა ვა-ს მაგიერ მ: ჩავადა (გვ. 93). „სიბრ.-სიც.“-ში კი იხმარება თანასწორათ ორივე ფორმა: ხან ძიანთო, დადა, დადა, ხან დადავა, დადავა (გვ. 25, 29); — „ქილ.“-ში ყოველგან ვა იხმარება (გვ. 121, 131).

მართალია, ქართულ ენაში მარცვლები მ და ვა ხშირათ სცვლის ერთმანეთს: ხაძადა — ხვაძადა, ცხადა — ცხავადა — ცხვანა, თვადა — თადა და სხ. და სხ.; მაგრამ ორ ფორმაში ერთი უნ-

და ავირჩიოთ, და რადგან მარცვალ **ჰა**-ს მეტი მომხრეც ყავს და კეთილხმოვანებითაც ეს ფორმა სჯობია პირველს, ამიტომ მწერლობაში საერთოთ ასე უნდა ვიხმაროთ: **შესვა, დასვა, დასდვა, დაიდვა, დააწვა, სთქვა, დაიხვა, ჩაიწვა, მართვა** და სხ.

სახელზმნისგან დათრობა ნამყო **II**-ში ხმარობენ ფორმას **დავთვერ, დაითვერ, დაითრე**; მაგრამ **II**-ს აქ საფუძველი არ აქვს, როგორც ამის მზგავს ზმნებში: **დავშვერ, დაშვრა, გავსძვერ, გასძვრა** და სხ.; მაშასადამე, ზემოხსენებული ზმნაც ასე უნდა მიმოვხაროთ: **დავთვერ, დათვერ, დათვრა** და სხ.

**ძანახვან, და ანა ძანახვან; ძანდებან.**

ხშირათ ხმარობენ ფორმებს: **ძანახვან, განახვან, უნახვან, ძანახვანთ, ძიკათხვან, გაკათხვან** და სხ.

მიჩემებითი ზმნები, რომელსაც ეკუთნის ეს ზმნებიც, ნამყო **III**-ში თავის ფორმებს აწარმოებს წმინდა მოქმედებითი გვარის ზმნების მოთხრ. კილოის ნამყო **III**-სგან, — მაგალ. მე მყვარებია — **ძევანდებან, მე მყოლია — ძეოდინან, გიპოვნია — გიპოვნან** და სხ.; მაშასადამე, ზემოხსენებული ზმნებიდან ნამყო **III** მიჩემებითათ იქნება: **ძანახვან, განახვან, ძანახვანთ, ძიკათხვან, გაკათხვანთ** და სხ., რადგან წმინდა მოქმედებითის ნამყო **III** აქვთ: **ძანახვან, ძიკათხვან, გაკათხვან**, და არა ძანახვან,

ძაკიოსკია და სხ.—ს.-ს. მრბელიანი „სიბ.-სიც.“  
წიგნში ხმარობს ფორმას მანსასკას (გვ. 8).

აქვე უნდა ვსთქვა, რომ მეტათ უკეთილხმო-  
ვანთ მიმანია ფორმები მანდასან, განდაკან, უნ-  
დაკან და სხ.; ამასთან იხმარება (იმერეთში) მეორე  
ფორმაც: მანდებსან, განდებსან, უნდებსან, რომე-  
ლიც უფრო კეთილხმოვანიც არის და კანონიერა-  
თაც ნაწარმოები: მე მანდებს (მინდები) — მინდებსან,  
როგორც მიყვარს — მიყვანსან. შორმაში მანდისან  
ძს არ აქვს გასამართლებელი საბუთი, რადგან არც-  
ერთი ამის მზგავსი ზმნა ი-ნით არ კეთდება.

### გამისანდა, გაუსანდა.

როცა მეორე მიმოხრის ზმნას აწმყოში თავში  
ში უზის (მიყვარს, მიჩანს), მოთხრ. კილოის ნამყო  
II-შიც ში რჩება და ასე მიმოხრის: მიყვარს — შემი-  
ყვანდა, შეგიყვანდა, შეუყვანდა; მიჩანს — გამომიჩნ-  
და, გამოგიჩნდა, გამოუჩნდა და სხ. — ამათვე მზგავ-  
სათ უნდა მიმოვხაროთ ზმნა მისანდა-ც: გამისან-  
და, გაგისანდა, გაუსანდა; გაგისანდა, გაგისან-  
დათ, გაუსანდათ. — ძველ მწერლობაშიც ეს ფორ-  
მები იხმარება (იხ. მაგალითათ „სიბ.-სიც.“ გვ. 69),  
და თუმცა დღევანდელ მწერლობაში და ზოგან  
ხალხშიც მ-ნიან ფორმას ხმარობენ (გამეხარდა, გაე-  
ხარდაო და სხ.), მაგრამ ხმარებითაც და კანონიე-  
რობითაც მეტი საფუძველი აქვს ი-ნიან ფორმას — და

სჯობია ასე ვიხმაროთ: გამასანდა, გაგასანდა, გაუსანდა, გამასანდეც, გაუსანდეც, გამასანდეცა, გაუსანდეცა და სხ. და სხ.

### მიკელი, თუ მიკედი?

მრჩაირათ ხმარობენ მწერლობაში: 1) მიკელი, მიხკელი (ან მიველ, მიხველ), წაკელი, წახკელი, მოკელი, მოხკელი (მოველ, მოხველ), და 2) მიკედი, მიხკედი ან მიდა, წაკედი, წახკედი ან წადი, მოკედი, მოხკედი ან მოდა, მოკედით, მოხკედით ან მოდით და სხ.

ძველ მწერლობაში მეორე ფორმა არსად შემხვედრია; ახალში კი აღმოსავლეთის საქართველოს მწერალნი და ხალხი ორივე ფორმას ხმარობენ, დასავლეთისანი კი—მარტო მეორე ფორმას.

პირველი ფორმა (მიხველი, მოხველი, მიველი, მოველი და სხ.) უკეთილხმოვანოცაა და ორაზროვანიც (უკეთილხმოვანო—რადგან მეორე პირის ფორმები კაცს ხველას მოაგონებს, და ორაზროვანი—რადგან ზოგი ფორმები მოლოდნასაც ნიშნავს და ზოგი ხველებასაც). მხადია, მეორე ფორმას ყველაფრით უპირატესობა აქვს პირველთან, და ამიტომ მწერლობაში ეს ფორმები უნდა დასჩეს: მიკედა, მოხკედა, მოკიდა, მიკედით, მოხკედით, მოკიდეც, მიკედი, წაკედი, წახკედით და სხ.

აგრეთვე ზმნისაგან დაწოდა ფორმები დაწექა, დაწიქი, დაწიქით არ არის კეთილხმოვანი;



შ-ის მაგიერ სჯობია **შ** ვიხმართ, როგორც იხმარება უმეტეს ნაწილათ ძველსა და ახალ მწერლობაში: **დაჭჭეა, დაჭჭეით და სხ.**

### სწუხსად, სწუხსადთ.

შენ **სწუხსად**, თქვენ **სწუხსადთ-ო**, იხმარება ხშირათ მწერლობაში; მაგრამ უმეტესი ნაწილი კანონიერ ფორმას ხმარობს: **სწუხსად, სწუხსადთ**. უკანასკნელი ფორმა უნდა დარჩეს, რადგან გამოთქმაშიც მოისმის ორი **ხ** და მასთან კანონითაც ორი **ხ** უნდა: ერთი ძირისაა (**წუხილი**) და მეორე შემწეობითი ზმნის (**ხარ, ხართ**).

### ძან დაანსა.

ძან დაანსა, თუ დაანსა?

სამი ანით უნდა ვიხმართ, რადგან პირველი **ა** ეკუთნის თავსართს (**და**), მესამე **ა**—ზმნის ძირს (**არსი, არსება**), და შუა **ა** არის ნამყო **II**-ის დამახსიათებელი ხმოვანი, როგორც, მაგალთ, ზმნებში: **აკეთა, აშენა, ათენა და სხ.** (**გააკეთა, გააშენა, გაათენა**).

### მეუბნევი—მეუბნები.

სრულიად უკანონოთ ხმარობენ აღმოსავლ. საქართველოში: მეუბნევი, მეუბნევათ, გეუბნევი, გეუბნევათ, მეუბნევადა, გეუბნევადათ და სხ. ძანონიერი ფორმებია: მეუბნები, გეუბნები, მეუბნებით, გეუბნებით, მეუბნებოდათ და სხ., როგორც მაგალ. ძელაზანაკები, ძესაუბნები, ძეთაძაშება და სხ.

ზოგჯერ ხმარობენ ფორმას აძობს—აძობდა; რასაკვირველია, უნდა აძობს, აძობდა.

### ვიძახოდი, და ანა ვიძახდი.

არეულათ ხმარობენ ფომებს: ვიძახდა და ვიძახოდი, იძახდა — იძახოდი და სხ.

საშუალო გვარის ზმნებს მოთხრ. კილოის ნამყო 1-ში დაბოლოება **ოდი** აქვს ყოველთვის, როცა აწყოში 0-ზეა დაბოლოებული: ვიციინი, ვითრი, ვრბი — ვაწანოდი, ვითროდი, ვრბოდი. მაშასადამე, ზმნას ვიძახი-საც ამ დროში დაბოლოება **ოდი** უნდა: ვიძახოდი, იძახოდი, იძახოდა და სხ.

### ძოკლეს, და ანა ძოკლულიქა.

ძწერლობაში იხმარება, — განსაკუთრებით ამ ბოლოს ხანებში, — ფორმა ძოკლულიქა, დაძარცხებულ-იქენ, გადაყვანილიქა და სხ.

ძველ მწერლობაში ძალიან იშვიათათ შეხვდებიტ ამ ფორმას (ფსალმუნში ერთ ადგილას არის ნათქვამი: „შედრწუნებულ იქმნა“, 76—18, და „ძართლის-ცხოვრება“-შიც შემხვდა აქა-იქ). მკვი არ არის, ჩვენს ახალ მწერლობაში განსაკუთრებით რუსული ენის მიბაძვით გავრცელებულა ეს ფორმა (БЫЛЪ УБИТЬ, переведенъ былъ და სხ.).

ზემოხსენებული ფორმები სრულიად არ შეეფერება ქართული ენის ხასიათს — და, ცხადია, მეტათ საჩოთიროა ქართველის გაურყენელი სმენისათვის. რა საჭიროა სხვებისგან შეუფერებელი ფორმის სესხება, როცა ქართულ ენას მოეპოება თავისი საკუთარი საშვალეა ამ ფორმის გამოსახატავათ. — „ახონი ამ ომში მოკლულიქნა“, „მტერი დამარცხებულიქნა ქართველთაგან“, „ჯარი გადაყვანილიქნა“ და სხ. ქართულათ ასე ითქმის: აჩონი ამ ომში მოკლეს (ან მოაკლეს), ქართველებმა მტერა დაამარცხეს, ჯარი გადაიყვანეს და სხ.

### ისინი მოიტანენ, თუ მოიტანებენ?

თუმცა იშვიათათ, მაგრამ იხმარება ჩვენს მწერლობაში მყოფადში ფორმები: ისინა მოიტანებენ, ისინი მოიყვანებენ-ო\*). ამ ფორმებს იმერეთში ამბობს ხალხი (უთუოთ იმიტომ, რომ ფორმებს მოიტანენ და მოიყვანენ ის ხმარობს, როგორც ნამყო

\*) ასეა ნახმარი „ძილ.“-შიც ყოველგან (იხ. მაგალ. გვერდ. 110, 131 და სხ.)

დროის ფორმებს, **მოიტანეს** და **მოიყვანეს** მაგიერ, და მარცვლის **მბ**-ის ჩართვით განუსხვავებია მყოფადი დრო ნამყოსაგან). მრავლ. რიცხვის მესამე პირი მხ.ოლ. რიცხვის მესამე პირისაგან კეთდება ყოველთვის, და, მაშასადამე, კანონიერი ფორმებია: ის მოიტან-ს— ისინი მოიტან-მნ, ის მოიყვან-ს— ისინი მოიყვან-მნ.

### მე ვარგვარ, ისანა ვარგან.

ხშირათ შეხვდებით ჩვენს ახალ მწერლობაში ფორმებს: მე ვარგავარ, შენ ვარგახარ, ის ვარგაა, ისინი ვარგანან. ამასთან იხმარება მეორე ფორმაც: მე ვარგვარ, შენ ვარგხარ, ის ვარგა, ისინი ვარგან — და ასე სჯობია მიმოუხაროთ, მით უმეტეს რომ ვარგავარ-ს სხვა აზრიც აქვს (მე ვარგავარ, შენ ვარგახარ, ის ვარგაა და სხ.). — „ვეფხ.“-ში ნახმარია ფორმა ვარგხარ (გვ. 52, 166), ვარგვარ (167, 266).

### ჩამოსცვივდა, ოუ ჩამოსცვიანდა?

იხმარება ფორმები ჩამოსცვივანა, ჩამოსცვივდა, ჩამოსცვივდა, ჩამოსცვივანული— და ჩამოსცვივანა, ჩამოსცვიანდა, ჩამოსცვიანდა, ჩამოსცვიანილა. —

ძართულ ენას არ უყვარს ორი ერთგვარი თანხმოვანი ერთ სიტყვაში და, სადაც კი შესაძლებელია, ცთილობს— ერთერთი სხვა თანაბარ თანხმო-

ვანათ აქციოს (ნახეთ ეს კანონი სინტაქსიშა). ამიტომ აქაც უმჯობესია ვიხმაროთ მეორე ფორმები.

### მე დავრგე, თუ დავრგავი?

მე დავრგავი, ჩვენ დავრგავით, შენ დარგავი, თქვენ დარგავით არ არის კანონიერათ ნაწარმოები ფორმა. დავრგავ-ს მზგავსი სახელზმნები რომ ავილოთ (მაგალ. დათვავ, ძორწევავ), ნამყო II ექნებათ მე დავრთე, შენ დათრთე, მან დათრთო, მე ძორწვეე, შენ ძორწვეე, ჩვენ ძორწვეეთ და სხ. ასე უნდა მიმოვხაროთ ზმნა დავრგავ: მე დავრგე, შენ დარგე, მან დარგო, ჩვენ დავრგეთ, თქვენ დარგეთ, მათ დარგეს, — როგორც მიმოიხრის ხოლმე კიდევაც ეს ზმნა იმერეთში. „ვისრამ.“-ში ნახმარია: „დარგე“, ე. ი. შენ დარგე (გვ. 211).

### გაწებ, და ანა ვაწობ.

მე ვაწობ, შენ აწობ, ის აწობს, ჩვენ ვაწობთ და სხ., იხმარება აღმოს. საქართველოში. ეს ზმნა მ-ნით კი არა, მ-ნით უნდა იწერებოდეს: ვაწებ, ვაწებთ და სხ. რურთაველს ნახმარი აქვს: „კალამი ნაღველთა ამონაწება“ (გვ. 289), და მთელ იმერეთშიც მ-ნით ხმარობენ.

ამისვე მზგავსათ ამერულ ფორმებს ვაძღობ, გავაძღობ და სხ. სჯობია იმერთა ფორმები ვაძღებ, გავაძღებ, ვაძღვავაძღებ და სხ. — „ძილ.“-ში ნახმარია ვაძღებ (გვ. 111).

## მეხსომება, თუ მეხსოვნება?

ზმნას მახსოვს ბევრგვარი ფორმა აქვს სხვადასხვა დროებში: მეხსომება, მემახსოვრება, მეხსოვნება, დავახსოვებ, დავახსოვებ, დამამახსოვრდა, დამამახსოვნდა, დამამახსოვრდებოდა, დამამახსოვნდებოდა და სხ.

მახსოვს არის მეორე მიმოხრის ზმნა, იმ ხასიათისა, როგორც, მაგალ., ზმნები ძაქვს, ძეაქვს. უკანასკნელ ზმნებს ზემოხსენებულ დროებში ის თანხმოვანები ახლავს, რომელზედაც ბოლოვდება მათი სახელზმნის საფუძვლები, ე. ი. ნ და ლ (ქონვა — ყოლა): მექნება, მექნებოდა, მეყოლება, მეყოლებოდა, მეყოლა და სხ.

ამ კანონს უდა დაემორჩილოს აგრეთვე ზმნაც მახსოვს (სახელზმნაა ხსოვნა)—და მაშინ მისი ფორმები იქნება: მეხსოვნება, მეხსოვნებოდა, დავახსოვნებ, დამამახსოვნდა და სხ.

## მე მოვიძეი, ის მოიძეის, მან მოიძეა.

ფორმები: მე მოვიძეობ, შენ მოიძეობ და სხ., მან მოიძეა — არ არის კაკონიერათ ნაწარმოები, როცა ამათი სახელზმნაა მოძეა. მყოფადში ობ-ზე და ნაძყო II-ში მესამე პირში ო-ზე მაშინ ბოლოვდება ზმნა, როცა სახელზმნა ება-სა და ობა-ზეა დაბოლოებული: ქება, შეძება — ვაქებ, შევაძება, მან აქა, შეაძეა. მოძეა კი ისე მიმოიხრის, რო-

გორც, მაგალ., მოშლა (მოვიშლი, მოიშალა), მო-  
თხრა (მოვთხარი, მოთხარა) და სხ.; მაშასადამე,  
ზემოხსენებული ფორმები იქნება: მე მოვიშვი, შენ  
მოიშვი, ის მოიშვის, მან მოიშვა.

---

ყადვა — გასაყადი, და არა სყადვა — გასასყადი.

გასყადვა, გასასყადი და სხ. უკეთილხმოვანო  
ფორმებიცაა და უკანონოთაც ნაწარმოები. არის ზმნა  
ყადვა (ვიყადე, ვიყადე და სხ.), და რადგან  
ზმნებში კეთილხმოვანებისთვის შ-თან ს არ დისმის  
(იხ. გვ. 51—55) და მწერლობაშიც მეტათ იშვი-  
თათ იხმარება ეს ზმნა ს-ნით, ამიტომ უნდა დარჩეს  
ფორმები: ყადვა, ვყადი, ვყადულა, გასაყადი, სა-  
ყადელა და სხ. (სასყადელა — არსებ. სახელია). — ს  
დარჩება მხოლოდ ზმნაში მოსყადვა: მოვისყადე,  
მოსყადული, მოუსყადელი და სხ.

ხმარობენ ფორმას გაყადავი, რომელსაც კე-  
თილხმოვანებით მეორე ფორმა გაყადველი სჯობია.

---

### გადწი.

ზოგი მწერალი ხმარობს ფორმებს: მე გადწი,  
შენ იდწი და სხ. ხმა ვ უნდა იხდეს ლ-თან აქაც,  
როგორც სხვა ნაწარმოებ ფორმებში: დგაწი, მო-  
დგაწი და სხ.; მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: გადწია,  
იდწია, იდწის და სხ.

---



გშოულობ, და ანა ვშოობ.

ბღმოს. საქართველოში ხმარობენ ფორმებს: ვშოობ, ვშობ, ვშობენ-ო და სხ. როცა სახელ-ზმნა ომნა-ზე ბოლოვდება, აწმყოში (და მისგან ნაწარმოებ დროებში) მარცვალი ულ ემატება მიმო-ხრაში: თხოვნა—ვთხოულობ, ჰოვნა—გჰოულობ; მაშასადამე, შოვნა-ც ასე უნდა მიმოვხაროთ: ვშოუ-ლობ, შოულობ, შოულობს, ვშოულობთ, ვშოუ-ლობდა და სხ.

მწამს, და ანა მწამს.

ტყუილათ უმატებენ რ-ს ზმნაში მე მწამს, მას რწამს და სხ. რ ახლავს სახელებს რწმენა, სარწმუ-ნობა, რწმუნება, რწმუნებული; ზმნა კი უ-რ-აეოთ უფრო კეთილხმოვანია.—ძველათ (საღვთო წერილ-ში) იხმარებოდა რ, მაგრამ ახლა თითქმის ყველა ასე მიმოხრის: მწამს, გწამს, სწამს, მწამდა და სხ.

განებება—დანებება, გატანჯვა—დატანჯვა.

თავა დამანებე და თავი გამანებე,—ორივე ზმნა შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნე-ლობით: თავი გამანებე ნიშნავს მომშორდაო, თავი დამანებე კი — ე. ი. ჩემთვის დამაყენე, გამათავი-სუფლე, ან შენა თავი დამანებეო (დამნებლიო).—

იხმარება აგრეთვე ორივე თავსართით (ბა და ლა) სახელ-  
ზმნა ტანჯვა: გატანჯვა და დატანჯვა; აქ თავსართი  
ბა სჯობია, როგორც ზმნებში, მაგალ., განჯალება,  
განჯეკება, გაჯლეკება და სხ. იმერეთში უფრო თავსართი  
ლა იხმარება ამ ზმნაში, და ამერეთში კი—ბა; „თუ  
კაცსა ცოდნა არა აქეს, გასტანჯავს წუთისოფელი“  
(ლავ. ბურამიშვი., გვ. 6).

### მასთავაზა — უთავაზა.

მასთავაზაო, ხმარობენ ახლა მწერლობაში,—  
მაგრამ ეს ფორმა უკეთილხმოვანოა, და ამას სჯო-  
ბია უთავაზა ან ძაუთავაზა; კანონითაც ასე უნდა,  
რადგან ეს ზმნა ისე მიმოიხრის, როგორც მისი მზგავ-  
სი ზმნები: უბაძა (მიუბოძა), ძაუტანა, ძაუჩინა და  
სხ.; ბიორგიმ მე ძათავაზა, ბიორგიმ შენ გითავაზა,  
ბიორგიმ მას უთავაზა, ბიორგი მე ძითავაზებს, მას  
უთავაზებს და სხ. როცა ზმნას პირველ პირში მი  
აქეს, მესამეში უ-ს მიიღებს (იხ. გვ. 79—80).

### ძიდწევა, თუ ძიწევა?

ახალ მწერლობაში თითქმის ყოველი მწერალი  
ხმარობს ფორმებს: ძიდწევა, ძივადწევა (ხან მიხწევა,  
მივანწევა) და სხ. საკვირველია, საიდან გააჩინეს ხმა  
ღ ამ ზმნაში! წმინდა ზმნა არის წევა და თავსართი  
ძი (არის თავსართი აღ, მაგრამ აქ ის არაფერ შუა-

შია). შმინდა ხალხურ ენაში ყოველგან იტყვიან მაწევკა, ძავაწევკ, ძავაწაკე-ო და სხ., აგრეთვე ძველ მწერლობაშიც ლ-ნით ეს ზმნა არსად არის ნახმარი (იხ. მაგალ. „შისრამ.“ გვ. 9; „ძილ.“ გვ. 118, 140 და სხ.).— ამ ზმნისავე მზგავსათ ხმარობენ: დაღწევკა, თავა დაღწია-ო (ან დახწევა, დაახწია) და სხ. ზემორეთქმულისამებრ, ლ-ს არც აქ აქვს აღგილი, და მასთან ეს ფორმა სმენისთვისაც უკეთილხმოვანოა; თავას დაღწევკას მაგიერ კი შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმანი გათავისუფლება, თავის შველ და სხ., მაგალ. თავა ძლივს დაგაღწიეო— ამის მაგიერ ვიტყვით: ძლივს გაგათავისუფლე თავა, ძლივს ვუშველე თავს, ძლივს დავუხსლტი ხელიდან, და სხ. და სხ.

### გვასხლება—გავასხლება.

მწერლობაში ზოგჯერ იხმარება ზმნისგან სლება ფორმები: გვასხლება, გვასხელ, ვასხლა და სხ. უმეტეს ნაწილათ კი ხმარობენ ი-ნით: ვასხლება, ვასხელ და სხ. ამ ზმნას ორნაირი მნიშვნელობა აქვს: საშუალო გვარისა და მოქმედებითი გვარის, და, მართალია, საშუალო გვარის ზმნების ნიშანი ხმოვანი მ-ნია (მაგალ. ვმვედრები, ვმმუსაიფები, ვმხვეწები),— მაგრამ აღებულ ზმნაში გვარები მიმოხრაში სხვადასხვა დაბოლოებით. გაირჩევა. როცა საშუალო გვარისაა, ეს ზმნა ასე მიმოიხრის: მე ვასხლები, შენ ვასხლები, ის

იასლებს და სხ., მე ვიასკელ, შენ იასკელ, ის იასკლა, ჩვენ ვიასკელით და სხ. ამგვარათ მიმოიხრის ხალხშიც და უმეტეს ნაწილათ მწერლობაშიც (იხ. აგრეთვე „მეფხ.“-ში გვ. 39, 44). როცა მოქმედებითი გვარისაა, მაშინ ასე უნდა მიმოვხაროთ: მე ვიასლებ, შენ იასლებ, ის იასლებს და სხ., მე ვიასლე, შენ იასლე, მან იასლე, ჩვენ ვიასლეთ, თქვენ იასლეთ, მათ იასლეს. ზოგიერთ დროში ერთგვარი ფორმები აქვს ორივე გვარს: ვიასლე, იასლე, იასლეს, ვიასლეთ, იასლეთ, იასლეს; ამ შემთხვევაში გვარი მხოლოდ ქვემდებარის მართველობით გაირჩევა: მოქმედებითი გვარის ზმნა ქვემდებარეს თხოულობს მოთხრობით ბრუნვაში (მან იასლეს, ივანემ პეტრე იასლეს), საშვალო გვარის კი — სახელობითში (ის იასლეს, პეტრე ივანეს იასლეს). — ფორმები ვიასლები, ვიასკელ და სხ. ხანდახან იხმარება მოქმედებითი გვარის მნიშვნელობით: სიღს ვიასლებით, სადიღს ვიასკელით და სხ.

### დამყნობა — დამყნა.

ამერეთში იხმარება ფორმები: მყნობა (დამყნობა), ვამყნობ, სავამყნობი, ნამყნობი და სხ., იმერეთში კი — მყნა (დამყნა), ვამყნი, სავამყნი, ნამყენა, დავამყენა, დავამყნათ და სხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ორივე ფორმაა მოყვანილი, ს.-ს. მრბელიანისაში კი — მარტო მეორე ფორმა, ე. ი. მყნა. — შმჯობესია, მეორე ფორმა ვინმაროთ, როგორც უკეთილხმოვანესი და ადვილათ სატრიალებელი.

### აღსაწესებ (სრული მიმოხრა).

დასასრულ საჭიროთ მიმაჩნია აქვე მოვიყვანო სრული მიმოხრა ზმნის ადგაანებ, რომელსაც ახლა იშვიათათ ხმარობენ კანონიერი ფორმებით. ჩვენს ახალ მწერლობაში იხმარება ფორმები: მე ვადგაანებ, შენ ადგაანებ, ის ადგაანებს, მე ვადგაანე, ადგაანებულა, ძეღაანებია, ძაღაანებია და სხ.—და ყველა ეს უკანონოა.

აღსაწესებ არის თავსართიანი ზმნა—და ისე უნდა მიმოვხაროთ, როგორც სხვა თავსართიანი ზმნები მიმოიხრის,—მაგალითათ როგორც ადგენა, ადვლენა, ადჭურვა და სხ., სადაც მ ჩნდება მხოლოდ პირველ პირში (როგორც ზინგული მიმოხრის ყველა ზმნაში,—იხ. გვ. 38—39): მე ადმადგენ, ადმადვლენ, ადმიჭურვები, ჩვენ ადმადგენთ, ადმადვლენთ, ადმიჭურვებით, მე ადმადვლენე, ჩვენ ადმადვლენეთ და სხ.; დანარჩენ პირებში კი მ არ ახლავს: შენ ადადგენ, ის ადადგენს, თქვენ ადავლენთ, ისინი ადავლენენ, თქვენ ადავლენეთ, და სხ. მაშასადამე, ადსაწესებაც ასე უნდა მიმოვხაროთ:

### ძოთხრობითი კალა.

აწმეო: მე აღვიარებ, შენ აღვიარებ, ის აღვიარებს, ჩვენ აღვიარებთ, თქვენ აღვიარებთ, ისინი აღვიარებენ.

**ნაძყო I:** მე აღვიარებდი, შენ აღიარებდი, ის აღიარებდა, ჩვენ აღვიარებდით, თქვენ აღიარებდით, ისინი აღიარებდენ.

**ნაძყო II:** მე აღვიარე, შენ აღიარე, მან აღიარა, ჩვენ აღვიარეთ, თქვენ აღიარეთ, მათ აღიარეს.

**ნაძყო III:** მე აღმვიარებია, შენ აღგვიარებია, მას აღუარებია, ჩვენ აღგვიარებია, თქვენ აღგვიარებიათ, მათ აღუარებიათ.

**ძყოფადა:** მე აღვიარებ (და სხ., როგორც აწმყო).

### ნატყრათი კილო.

**აწმყო:** მე აღვიარებდე, შენ აღიარებდე, ის აღიარებდეს, ჩვენ აღვიარებდეთ, თქვენ აღიარებდეთ, ისინი აღიარებდენ.

**ნაძყო I:** მე აღმეარა, შენ აღგეარა, მას აღეარა, ჩვენ აღგვეარა, თქვენ აღგეარათ, მათ აღეარათ\*).

**ნაძყო II:** მე აღმეაროს, შენ აღგეაროს, მას აღეაროს, ჩვენ აღგვეაროს, თქვენ აღგეაროსთ, მათ აღეაროსთ\*\*).

**ძყოფადა I:** მე აღვიარებდე (და სხ., როგორც აწმყო).

**ძყოფადა II:** მე აღვიარო, შენ აღიარო, მან აღიაროს, ჩვენ აღვიაროთ, თქვენ აღიაროთ, მათ აღიარონ.

\*) ნ ამ დროში (აღმეარა და სხ.) სჯობია გამოვყოლოთ (იხ. გვ. 61).

\*\*) აქაც ნ-ის გამოკლების შესახებ იხ. გვ. 61.

### ზარზბათა კალა.

მე აღვიარებდი (და სხ., როგორც მოთხრ. კილ.  
ნამყო 1).

### ბმანებათა კალა.

აღიარე! აღიაროს! აღვიაროთ! აღიარეთ! აღი-  
არონ! ნუ აღიარებ! ნუ აღიარებს! ნუ აღვიარებთ!  
ნუ აღიარებთ! ნუ აღიარებენ! არ აღიარო! არ აღი-  
აროს! არ აღვიაროთ! არ აღიაროთ! არ აღიარონ!

### ძამდეობა.

აწმკა: აღმსარებელი, ნამკა ვნებათა: აღსარე-  
ბული, ძკაუადა: აღსაარებელი.



# მეორე ნაწილი.

## ქართული ფონეტიკა.

თანხმოვანი ხმები, გამოსათქმელი ორგანოების მიხედვით, ასე გაიყოფება:

1. ბაგისძიურნი: ბ, მ, პ, ფ;

2. ხორხასძიურნი: გ, კ, ქ, ლ, ყ, ხ, ჰ;

3. კბილისძიურნი: დ, თ, ტ;

შენიშვნა. ხმა მ ბაგე-კბილისმიერია.

4. სასისძიურნი: ლ, ნ, რ;

5. შიშისა და სასანა ხმები: ზ, თ, ს, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჯ, ჯ.

თანხმოვანთა გამოთქმის ხასიათს რომ დავუკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ მათ გამოთქმაში იმგვარივე სხვადასხვაობა მოიხმის, როგორც სხვადასხვა საგნებისგან წარმოშობილ ხმებში: ზოგი ისე გვესმის, თითქო მიწას ფეხი დაკრესო, ან შორს თოფი ისროლესო, ე. ი. ძაგრათ და მოძისხათ,—მაგალ. ბ, გ, დ და სხ.; ზოგი ისე, თითქო ჭიქა ჭიქას მოხვდაო, ან სპილენძის ტაშტს წკეპელი დაკრესო, ე. ი. ძაგრათ და წმანდა, წკრიალა ხმათ,—მაგალ. კ, პ, წ და სხ.; ზოგი ისე, თითქო წყალი ჩქერში მოჩუხჩუხობსო, ან თოვლს, ბამბას გინდ გუბე წყალს

პტყელი და სუბუქი რამე საგანი დაეცაო, ე. ი. რბილათ და ძაძსხათ, — მაგალ. თ, მ, რ, ფ, შ, ჩ და სხ.

ზემორეთქმულისაბებრ რომ დავანაწილოთ თან-ხმოვანები, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

ბავის- მიერნი.	ხორხის- მიერნი.	ძბილის- მიერნი.	სასის- მიერნი.	სისინა და შიშინა.	”
პ	ბ	ღ	”	ჭ, ჯ	მაგარი სხვილი.
კ	კ	ტ	”	ძ, წ	მაგარი წმინდა.
ფ შ (ბაგე- კბილისა)	ქ, ლ, ყ, ხ, ჰ	თ	ჯ	შ, შ, ჩ, ც	რბილი სხვილი.
მ	”	”	წ, ნ	ზ, ს	რბილი წმინდა.

ძართულ ენას, როგორც ეტიმოლოგიაშიც მაქვს ხშირათ ნათქვამი, ის მშვენიერი თვისება აქვს, რომ ყოველივე ხმა (და აგრეთვე ყოველივე სიტყვა) ისე გამოითქმის, როგორც იწერება, და ისე იწერება, როგორც გამოითქმის.

ძართული სიტყვების გამოთქმას რომ ყურადღებით დაუყვირდეთ, შემდეგ კანონებს შეენიშნავთ:

1) ძირეულ სიტყვაში ერთათ არ მოხვდება ერთი ორგანოს ხმები, — მაგალითათ არ შეიძლება ძირში ერთათ შეხვდეთ ხმებს: ბბ, ბფ, გკ, ყკ, გქ, გლ, ღტ, ღთ და სხ. \*); 2) ძაგარ ხჰას ძაგარი ძისდეგს, რბილს რბილს, — მაგალ ტპბილი, ტქენა, ტბა, კბილი, ლბომა, გღება, თხა, თხრა, თხილი, თჰმა, შჰვილი, შხა და სხ. და სხ. — ამ კანონს არ ემორჩილება ხმები ვ, მ, ლ, ნ, რ, ლ, შ და სისინა და შიშინა ხმები, რომელიც ერთნაირათ დაისმის როგორც რბილ ხმასთან, ისე მაგართანაც, — მაგალ. ტჰე, ძროხა, ძმა, ხმა, გმირი, შბა, შლა, ლლე და სხ.

სისინა და შიშინა ხმებთან თუმცა მაგარი ხმაც დაისმის და რბილიც, მაგრამ, როცა მართლწერა სადავოა, მწერლობაში რბილს ამჯობინებენ, — მაგალ. ებზამენი, რელაჰცია, აღეჰსანდრე და სხ. (თუმცა უცხო ენაში მაგარი ხმებით იწერება ეს სიტყვები, ე. ი. ძზ, ძც, ძა). სხვათა შორის ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ ზემორეგამოთქმულს ფონეტიკურ კანონს (ძაგართან ძაგარი ხჰა, რბილთან რბილს) მტკიცე საფუძველი აქვს ხალხის გამოთქმაში.

საზოგადოთ სამწერლო ენას საფუძვლათ და საძირკვლათ ხომ ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება ხალხის ენას, მეტადრე ქართულში, სადაც,

\*) ზამორიცხვას შეადგენს ბაგისმიერი მ, რომელიც უერთდება თავისისავე ორგანოს ხმებს, — მაგალ. ბამბა, ფომფო, ლამპარი, ლამბი, გომბიო და სხ.

ვიმუორებ, სიტყვები ისე იწერება, როგორც გამო-  
ითქმის.

თუ ამ მოსაზრებას დავეთანხმეთ, მაშინ აღვი-  
ლათ გადავსწყვეტო, თუ რაგორი მართლწერა უნდა  
მივიღოთ სხვადასხვა შემთხვევებში.

\* \*

ჩვენი ღედაქალაქის სახელწოდება სამგვარათ  
იწერება: ტფილისი, თბილისი და თფილისი.

ეს სახელწოდება წარმოსტგება სიტყვისგან თფა-  
ლი, რომელიც უ-რით უნდა დაიწეროს, რადგან  
ხალხის გამოთქმით უ იმის. ხალხს რბილ ხმასთან  
რბილი ხმის გამოთქმა უფრო ეადვილება, და ამიტომ  
მწერლობის გავლენას მოშორებული ხალხი ასე გამო-  
სთქვამს: თფილი, სითფო, გათფობა, გამთფანა და სხ.

ხალხშივე (განსაკუთრებით იმერეთში და ძა-  
ლიან ხშირათ ამერეთშიც) თქვენ გაიგონებთ გამო-  
თქმას ცთა, გამცაცთა, გამცცთილი, შეცთოძა,  
გაცთუნა და სხ., ე. ი. ც-თან ყოველთვის თ-ს, და  
არა ღ-ს. ძველსა და ახალ მწერლობაში ყოველ-  
თვის იხმარება მართლწერა ცთოძილი (და არა ცლო-  
მილი), თუმცა ამ სიტყვის ძირი იგივეა, რაც სიტყვის  
ცთოძა, რომელსაც ღ-ნით სწერენ. თ-ნით სწერენ  
აგრეთვე სიტყვას ცთუნება; ფსალმუნში ნახმარია  
მართლწერა: საცთოძელი, საცთურება, საცთურა,  
შეჭსცთეს, ჭსცთობან, შეაცთუნა. „ვისრამიან“-ში:  
ძოკაცთუნკებდე, საცთუნკებლად, ძაცთურისაგან,  
ძოკუცთოძქელი — და საზოგადოთ ცთუნება სხვადა-  
სხვა ფორმებში (გვ. 97, 98, 124, 226, 248, 286,

350, 352, 395); ნახ. აგრეთვე „ჭილ.“-ში გვ. 110, 115, 119, 138 და სხ. **თუ** კი სიტყვებში **ცთომი-****ლა** და **ცთუნება** **თ** უფრო კეთილხმოვანათ მიაჩნიათ, ვიდრე **ღ**, რა საფუძველი უნდა გვექონდეს, რომ სხვა სიტყვებშიც **თ** არ ვამჯობინოთ **ღ**-ს, როცა ხალხის გამოთქმაშიც **თ**-ს უპირავს უპირატესობა?!

რაკი ხალხის გამოთქმას უნდა მიეცეს უპირატესობა, ჩემი აზრით მწერლობაში უნდა ვიხმაროთ მართლწერა **ბთ** დღევანდელი **ხღ**-ის მაგიერ, ე. ი. რბილ **ხ**-თან რბილივე ხმა **თ** ვიხმაროთ, და არა მაგარი **ღ**, და ვსწეროთ **მხთაღა**, **სთა**, **მოხთა**, **წა-****სთუნა**, **მასთაძა**, **მახთაძა**, **გაძსთაძა**, **მახთუნაღა**, **წალხთაძაღა** და სხ. — „ვეფხ.“-ში ნაპარია მართლწერა **ძუნთაღა** (გვ. 91), რაიცა აქავე კანონს ეთანხმება: იხ. აგრეთვე „ვისრ.“ გვ. 157, 447.

**შენაშვნება:** 1. როცა ძირეული **ცთ** და **ბთ** დამარცვლდება ნაწარბოებ ფორმებში და **ც**-სა და **ხ**-ს შემდეგ ხმოვანი ჩაერთვის, მაშინ **თ**-ის მაგიერ **ღ** ჩნდება: **მოცთა**, **გამოცთა**, **მოხთა**, **გამოხთა** — **მოცაღა**, **გამოსცაღა**, **მოიხაღა**, **გამოხაღა**, **მოეხაღა**, **გამოეხაღა** და სხ. **მს** გვიჩვენებს, რომ ძირეული ხმა **ღ** ყოფილა, მაგრამ გამოთქმის კანონით რბილ **ც**-სა და **ხ**-თან ხმა **ღ** გარბილებულა და **თ**-ნათ ქცეულა. — 2. რბილ **ხ**-თან (**ხ**-ს შემდეგ) მაგარი ხმები (ვან-საკუთრებით ხშირათ ხმა **ტ**) იხმარება მხოლოდ შემდეგ სიტყვებში: **ხტაძა**, **ხტუნვა**, **ჯოხტა**, **ტახტა**, **ნახტა**, **სახტათ**, **კახტა**, **ხბო**, **სსღაძა** — და ამათგან ნაწარბოებ ფორმებში: **ნახტაძა**, **სახტაძა**, **გახტა-****ძა**, **სატახტო**, **კოხტაობა** და სხ.

ამავე ფონეტიკური კანონის ძალით, ე ი, მან-გან ხმასთან მანგანა და რბილთან რბილი, უცხოენის სიტყვებშიც მოუხთენია ჩვენს ენას ზოგან ხმათა შესაფერი ცვალები: რედაქცია, დირექცია, ანსპექცია, კოლექცია, ლექცია-ო და სხ., ხმარობენ საერთოთ ჩვენს მწერლობაში, თუმცა ლათინურ ენაში, საიდანაც გადმოსულა ეს სიტყვები, ქართული მ-ნის ადგილას მ ზის (წმინდა ძირში კი ბ). ამ შემთხვევაში ქართველთა სმენას, რაღა თქმა უნდა, იმით უხელმძღვანელებია, რომ რბილ მ-თან მაგარი მ-ნის გამოთქმა ძნელია—და გამოთქმის გასაადვილებლათ მაგარი ხმა რბილათ გადაუქცევია.

სამწუხაროთ, ყოველთვის თანდათანობით არ მისდევს ჩვენი მწერლობა ქართული ენის კანონიერობას—და მეორე შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოთ შეუკვლიათ ამგვარივე სიტყვების ძირებში ლათინური ენის მაგარი მ რბილ მ-ნათ და ხმარობენ: რედაქტორი, დირექტორი, დოქტორი, ლექტორი, პროექტი, ელექტრონი, სექტემბერი, ოქტომბერი-ო და სხ. და სხ. ნამდვილ ძირში რომ რბილი ხმა ყოფილიყო, მაგარ მ-თან, პირიქით, მაგარ ხმათ უნდა შეგვეცვალა, და აქ კი შეცვლა რაღა საჭიროა, როცა ფონეტიკური კანონითაც ძირეული ხმა მ უფრო ადვილი გამოსათქმელია?! მხადია, ამგვარი სიტყვების მართლწერაში ხმები მ მ უნდა ვიხმაროთ: რედაქტორი, სექტემბერი და სხ.

შადგილო არ იქნება, აქვე დავაკვიროთ მკითხველი იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაში ერთი

სიტყვაც არ მოიპოება იმისთანა, სადაც ხმები **კ** ან **ქ** იყრიდეს თავს ერთათ.

ფონეტიკური კანონის მიხედვით, უკანონოვე სწერენ სიტყვებს **ერთგული** და **ქვათკარა**, რადგან მაგარ **ზ**-სა და **ძ**-თან რბილი **თ** ძნელი გამოსათქმელია. ხალხის გამოთქმაში ფონეტიკური კანონი მტკიცეთ არის დაცული, — ის ამბობს: **კრდგული**, **ქვატკარა** \*) — და ასე უნდა ვიხმაროთ მწერლობაშიც. — ამავე კანონის დამამტკიცებელი საბუთია თანდებულ **ბან**-თან უკანასკნელი მართლწერა, მაგალ. **თფაღისაიდან**, **სოფლიდან** და სხ. ეს მართლწერა ამგვარათ წარმოსდგა: ჯერ იწერებოდა **თფაღისაითგან** (რადგან თანდებ. **ბან** მოქმედ. ბრუნვას თხოულობს), შემდეგ მაგარ **ზ**-თან რბილი **თ** მაგარ **ღ**-ნათ იქცა და გაკეთდა **თფაღისაიდგან**, **სოფლიდგან** და სხ., და ბოლოს ხმა **ზ** სულ გამოვარდა და დარჩა **თფაღისაიდან**, **სოფლიდან**. თუმცა დღევანდელ მწერლობაში სამივე ფორმა იხმარება (სოფლითგან, სოფლიდგან, სოფლიდან), მაგრამ უკანასკნელ ფორმას (სოფლიდან) უპირატესობა ეძლევა როგორც ხალხისგან, ისე მწერალთაგანაც \*\*).

\*) ბატონიშვილი **ვახუშტი** ყოველთვის მართლწერას **ქვატკარა**-ს ხმარობს (იხ. მისი გეოგრაფია, 1842, გვ. 192, შენ. 2).

\*\*) **ღაბოლოება** **ღან** (სოფლიდან) თათრულ ენაშიც იხმარება ამავე აზრით, მაგრამ არა ვგონებ, რომ ქართულ ენაზე ამ შემთხვევაში თათრულს ქონოდეს გავლენა.



## კეთილხმოვანება.

ძართულმა ენამ კეთილხმოვანებისათვის შემდეგი კანონები შეიმუშავა:

### I. თანხმოვანთა გამოკლება.

ძველათ სიტყვების გამოთქმა გაზვიადებული იყო, სხვათა შორის, ერთათ მრავალი თანხმოვანის თავმოყრით, მაგალ. ბრძანება, ძრთელა, ძფრანგელა, ტანასსძლასა და სხ. ახალი ენა ცთილობს— შეამციროს, სადაც კი შესაძლებელია, ერთათ თავმოყრილ თანხმოვანთა რიცხვი და მით გააადვილოს გამოთქმა: ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ რყევიაშია! ბევრი ისევ ძველ გზას ადგას და ენისათვის ძნელათ გამოსათქმელს მრავალთანხმოვანიან ფორმებს ხმარობს. მათი საქციელი მხოლოდ იმით შეიძლება გამართლდეს, რომ „ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო“, თვარა, რაღა თქმა უნდა, უპირატესობა იმ ფორმებს ეკუთნის და გამარჯვებაც იმათ უნდა დარჩეს, რომელიც უფრო ადვილათ და კეთილხმოვანათ გამოითქმის.

აი რა შემთხვევებში იკარგება სხვადასხვა თანხმოვანები:

1. როცა ერთათ თავმოყრილია სამი ან მეტი თანხმოვანი და მათში ხმა რ ურევია, ეს უკანასკნელი ხმა (რ) გამოაკლდება: ხ(რ)მადი, ბ(რ)ძანება,

მ(რ)თელი, ძა(რ)ძწარე, გ(რ)ძელა, მ(რ)წამს, ზ(რ)და \*) და სხ. —

ზოგიერთ სიტყვებს ჯერ კიდევ არ გამოკლებია ამ შემთხვევაში რ, მაგალ. ბწწინვადე, გრძნობა, ფრთხაღა, ქთაძა, ჩნდაღა, თუმცა ხალხის ენაში ხშირათ მოისმის გამოთქმა ბწწინვადე, ფთხიღი, ქთაძა, ჩნდაღა \*\*).

2. ბამოთქმის გასაადვილებლათ ხალხსა და თანამედროვე მწერლობას საჭიროთ დაუნახავს, მოაშოროს ზოგიერთ სიტყვებს თავში ხმა მ. თუმცა ბევრი მწერალი ეწინააღმდეგება ამ მართლწერას, მაგრამ, რაკი ჩვენი ენა ერთხელვე გამარტივ-გაადვილებისა და ფორმების გაწმენდის გზას დაადგა, მის წინსვლას ველარაფერი შეაჩერებს. — შმანოთ ხშირათ იხმარება და, ჩემი აზრით, ასევე უნდა დარჩეს მწერლობაში შემდეგი სიტყვები: დეგა, დავანბეგი, დოგვა, კათაოგე, კალაბ, კვარა, კვარცხლი, კპეთრა, კვდარა, ძანთველი (მართველობა, სამართველო), ძანთებლაბა, რგვადი, სუბუქა, სუნაგი, სუქანი, სწავლული, სხაღა \*\*\*), სხვერნღა, სხვიღი \*\*\*\*), ტეკანი,

\*1. სიტყვაში გაზღა რ ისევ ჩნდება, როცა სხვადასხვა ფორმებში ზ-ს შემდეგ რამე ხმოვანი ჩაერთვის: გავიზარდე, გავზარდე, გავუზარდე, გავზარდა და სხ. (შეადარე შენიშვ. 1, გვ. 99).

\*\*1. დ. ბურამიშვი. ხმარობს ფორმას ჩირდიღი, მახუშტი ჩიდიღი (=ჩრდილოეთი), იმერეთში კი ხალხის ენაში იხმარება შტიღი.

\*\*\*) ნახე „ძილილა და დამანა, გვ. 227; „ღვეითიანი“ გვ. 165; მახუშტის გეოგრაფია გვ. 55.

\*\*\*\*) „ვეფხ.“ გვ. 330; „შსალმუნი“ 146, 10.

ტკბეული, ტრედა, ფრინველი, ღვდელა (საღვდელ-ლოება, საღვდლო), ღვთაება, ღვთისმშობელი, შვილ-დი, ჩვანი, ციყვა, ცფიენი, ცხედანი, ქეკლა, ძი-ვა, წვანალი, წვეანი, წვენი \*), წვანი, წვეტი, წნი-ლი, წვენი, ჭადი, ჭვალა, ჭვანტლი, ხვედრა.

ნაწარმოებ ფორმებში ზოგიერთს ამ სიტყვათა-განს ხმოვანს შემდეგ მ-ის ჩართვა უხდება, — მაგა-ლითათ: სამსხვერპლო, იმსხვერპლა, უმსხვერპლა, სიმსუქნე, სიმსუნაგე, სიმსუბუქე, შემსუბუქება, სამ-ტრედია და სხ.

3. ნათესაობ. ბრუნვისგან ნაწარმოებ სახელებ-ში, სისინა ხმების წინ, გამოვარდება ხმები ს და თ, რომელთაგანაც ს მხოლ. რიცხვის ნათეს. ბრუნვის ნიშანია, და თ — მრავლობითის: ტანი(ს)საძლესი, ჰა-ნი(ს)სასე, ცი(ს)საღვდელა, ტანი(თ)საძმელი, ფეხ(თ)-საძმელი, ნავ(თ)საღვდელი, თვალ(თ)წინ და სხ.

4. ხმა 3 ხან იკარგება, ხან კი ჩაერთვის კე-თილხმოვანებისათვის. 3 იკარგება: ა. მბა-ზე და-ბოლოებულ სახელებში: თავი, ნათესავი, ძაუნავი, ხევი, მძლევი — თაობა, ნათესაობა, ძაუნაობა, ხე-ობა, მძლეობა. თუ 3-ნის წინ ხმოვანი ი ზის, მა-შინ 3 აღარ იკარგება: ტავი, კრავი, სხავი — ტა-

---

\*) სიტყვებისგან წვეანი და წვენი ბრუნვებში ზოგან ერთგვარი ფორმები კეთდება (წვერის, წვერით, წვერათ, წვე-რები, წვერების და სხ.), მაგრამ ამით წინადადებაში, როგორც გვაქვს ხშირათ ნათქვამი ზევით ამ ჩვენს შრომაში, აზრი არ აირევა.

გობა, კრავობა, სხივობა.—ბ. ზმნებისგან ნაწარ-  
მოებ ფორმებში (დაბოლოებებში), ხმოვანის მ-ნისა  
და უ-ნის წინ: წვევა, ჩვევა, სვევა, კავილი, ყივი-  
ლა—ვეწვეოდა, ვეჩვეოდა, ვესვეოდა, ყიოდა, კავი-  
ოდა, ძეწვეული, შეჩვეული, წვეულება, ჩვეულება.—  
გ. მ-ნისა და უ-ნის წინ ზედსართავებში: ნათესაური,  
ნათესაობრივი, თაოსანი (თაოსნობა), შეფხისტყა-  
სანი და სხ. (სიტყვებისაგან ნათესაში, თაში).—  
დ. უვინოთ იხმარება აგრეთვე შემდეგი ფორმები: იხლ-  
ება, იხლებოდა, იშლებს, იშლებოდა, იხლებოდეს,  
იშლებოდეს და სხ.; მკუთნის, მკუთნოდა, კუთ-  
ნალება.

## II. თანხმოვანთა ჩათვა.

1. მ ჩაერთვის კეთილხმოვანებისათვის: ა. ზმნებ-  
ში, მ-ნისა და ი-ნის წინ, როცა ორმარცვლოვანი  
სახელზმნა მბა-ზეა დაბოლოებული: (შე)ტყობა,  
(და)წყობა, (გა)ძრობა, (და)თრობა—შევიტყვე, და-  
ვაწყვე, გავიძვრე, დავათვრე, შემეიტყვია, დამეწყვია,  
გამიძვრია (შეადარე გვ. 58—59).—ბ. როცა ერთ-  
მარცვლოვანი სახელზმნა მბა-ზეა დაბოლოებული, მ  
ჩაერთვის ა-ნისა და ი-ნის წინ: თქმა, სმა, ცმა—  
ვსთქვი, ვსთქვას, ვსვი, სვამს, სვას და სხ. (გვ. 59).

2. ს დაერთვის მიმოხრაში ზოგიერთ ზმნებს  
კეთილხმოვანებისთვის, მაგალ. სწერე, ხტევი, სძი-  
ნავს, მისცა და სხ. (ეტიმოლ. გვ. 51—55).

### III. მეტათეზისა.

ზოგჯერ კეთილხმოვანება მოითხოვს, რომ თანხმოვანებმა ერთმანეთს ადგილი შეუცვალოს; — მაგალითათ ცაღაქდა-ს მაგიერ მწერლობაშიც და ხალხშიც ცანდიელა იხმარება. ამ სიტყვის მზგავსათ ზოგიერთები ხმარობენ აგრეთვე ფორმებს დათვანდიელება, მანდიელა, სურაელა, მოსურაელება, ძნაელ, მაგრამ უფრო ხშირათ, განსაკუთრებით მწერლობაში, კანონიერი ფორმები იხმარება, ე. ი. დათვანდიურება, მანდიელა და ძლაქ — და ასე უნდა ვიხმაროთ, რადგან უფრო კეთილხმოვანია. — აქვე უნდა ვესტკვათ, რომ შა-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლოვან სახელწმინაში, როცა შ-ნის წინ რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს, გამოთქმის გასაადვილებლათ შ ადგილს იცვლის: ხნგა, სღგა, სხღგა, კნგა, ძნგა, ხნგა და სხ. კანონიერი ფორმებია, მაგრამ ძნელი გამოსათქმელია — და ამიტომ იხმარება ხგნა, სღა, სხღა, კგნა, ძგნა, ხგნა, წასღა, შეკგნა და სხ. — ამგვარათვე უცვლია ადგილი ხმას რ-ს სიტყვებში ანდა, ვეანდა, სუანდა (ძველებური ფორმებია ანდა, ვეანდა, სუანდა, რომელსაც ძველი ენის მიმდევარი ახლაც კი ხმარობენ). — შმავე კანონის ძალით მწერლობაში უნდა დარჩეს მართლწერა თუთხმეტი, რომელიც უფრო კეთილხმოვანია თავისი გამოთქმით, ვიდრე უძველესი ფორმები თხუთხმეტი და სუთმეტი. შმავე კანონით ხშირათ იხმარება ხალხში გაჭივრება (ამერეთში — გაჭინვება და გაჭინება), ჭივრება.

ზოგჯერ მეტათ უსიამოვნო ფორმებს ხმარობენ მეტათეზისათ: სხნა (გასხნა, შესხნა, მოსხნა და სხვ.), სხნილი, შნიდი, ნაშნიდი, ოშნივანი, კაშნივა, მრმას, მრმიანი, — უნდა: ხსნა, ხსნილი, ხშიდი, ნახშიდი, ოხნივანი, კაშნივა (შეკაზმვა, მოკაზმვა, შეკაზმული და სხვ.), მრმას, მრმიანი.

ამ კანონს, ე. ი. თანხმოვანთა გადასვლ-გადმოსვლას ან ადგილის შეცვლას, ეწოდება სახელათ მეტათეზისი.

#### IV. თანხმოვანთა შეცვლა.

ძართული ენა საზოგადოთ ერიდება ერთ სიტყვაში ორი ერთგვარი ხმის ხმარებას. თუმცა მიმღობის ჩასართია არ, და არა აღ (მაგალ. მაქებარი, მკბენარი, მცინარი, მყივარი), მაგრამ, ამ კანონის ძალით, როცა ზმნას ძირში რ ურევია, ამ ჩასართში რ იქცევა ლ-თ, — მაგალითათ: წერა, მზერა, მღერა, ყვირილი — მწერალი, მომზერალი, მომღერალი, მყვირალი. — ამ სახითვე იხმარება ჩასართები შრ და შლ, — ე. ი. როცა ძირში რ ურევია, შრ-ის მაგიერ შლ იხმარება: გუჭული, აძეჭული, ფრანგული და სხ. (სხვაგან ყოველთვის შრ იხმარება: კაჭული, სოფლული, ანგლისული და სხ.).

ამ კანონისვე ძალით, თუმცა ძირის მიხედვით მართლწერა წლეულს და წლეკანდელი უნდა იყოს (სიტყვისგან წელი — წლის), მაგრამ გამოთქმით უპირატესობა ეძლევა მართლწერას წრეულს, წრეკანდელი. ამ კანონითვე ხალხი გამოსთქვამს ბანბანდე,

მანგაღლიტა, თუმცა უცხო ენაში, საიდანაც ეს სახელებია გადმოტანილი ჩვენში, რ იწერება ორივე ადგილას. ჩვენს მწერლობაში უმეტეს ნაწილათ ამ სახელებს ასე სწერენ: **ზანბანუ**, **მანგანდიტა**, და საზოგადოთ ჩვენს ინტელიგენტებს როგორღაც საჩოთიროთ მიაჩნიათ ამ სახელების ხალხური გამოთქმა: ალბათ იმიტომ, რომ ევროპიული გამოთქმისთვის „მიუჩვევიათ ყური“. ამ კანონსვე ეკუთნის მართლწერა **ღუნწაძე**, **ბბილი**, **მსკავსი**, **მსკავსება** (მიმზავსება და სხ.), თუმცა ხშირათ იხმარება ფორმებიც **ღბილი**, **მსკავსი** და **მკზავსი**; მართლწერას **მკზავსი** მაინც არავითარი სიმართლე არ აქვს: ეს არის დამახინჯებული ფორმა, როგორც მაგალ. **შეკმზავს**, **ნაშხანა**, **აშხავანი** და სხ., **შეკმზავს**, **ნახშანი** და **აშხავანი**-ს მაგიერ.

ზემოხსენებული გამოთქმის კანონიდან, ჩემი აზრით, უნდა გამოირიცხოს სიტყვები: **ქთჯკ**, **აბჯკ**, **ბეგრჯკ**, **აბაბი**, რომელიც ორი რ-ით უფრო კეთილხმოვანათ მოისმის, ვიდრე მაშინ, როცა **ლ**-ით იწერება, და კიდევ სიტყვა **გაწანცვა** (**გამანცვა**-ს მაგიერ).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უცხო ენის (განსაკუთრებით ბერძნულის) **ხ**-ნის მაგიერ ქართულ ენაში იხმარება **ჰ**: **ჰრისტე**, **ჰრონოლოგია**, **არჰიმანდრიტი**, **არჰეოლოგია** და სხ.; ზოგჯერ ჩვენს ახალ მწერლობაში **ხ**-ნითაც სწერენ ამ სიტყვებს, მაგრამ **ჰ**-ნის ხმარება სჯობია, რადგან ქართველთა სმენას ეს ხმა შეუთვისებია ძველი დროიდანვე.



## V. ს და შ.

არის რამდენიმე სიტყვა, რომ ს-ნითაც იწერება და შ-ნითაც, მაგრამ სმენისთვის შ უფრო კეთილხმოვანათ მოისმის—და ამიტომ უმჯობესია შ-ნით ვსწეროთ ეს სიტყვები: ტაშტი, ფაშტა, შკადა, გაშტკება, შანჯვა, შამშაღი. სიტყვა სტკენა კი ს-ნით უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე შ-ნით: ბულობულთა სტკენა, ბულობული სტკენს. სტკენა ხმაბაძვითი სიტყვაა—და ბულობულის ნახ გალობას წმინდა ხმა ს უფრო აღნიშნავს, ვიდრე სხვილი შ; შტკენა, დაშტკენა და სხ. შეიძლება ვიხმაროთ რაიმე ბოხი ხმის აღსანიშნავათ.

## VI. მარჯვლოა შემოკლება.

ძველებური მკა და შა ახლა შემოკლებულია. მკა-თ: ცხოვარი—ცხვარი, საშუალება—საშვალება.

ხალხში, განსაკუთრებით აღმოს. საქართველოში, ხშირათ მკა-ს მაგიერ მ იხმარება: ამილახვანი, ცხანი, ცოდო, კაძლი, დასდო და სხ.; მაგრამ სამწერლო ენა მკა-ს ირჩევს: ამილახვანი, ცხვანი, ცოდვა, კაძლი \*), დასდვა-ო და სხ. მ-ს არჩევენ მხოლოდ სიტყვებში: ხაძაღდი, ხანთქანი, ხაძბაღი, ხაძქე (ამ საგნის შესახებ ნახ. გ. 77—78).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ხალხის გამოთქმით ზოგიერთ სიტყვებში შა შემოკლდება მკა-თ: საშუალება—საშვალება, საშუალი—საშვაღი, შუამდგომელი—შვაძდგოძელი, შუადლე—შვაძლე, შუამავა-

\*) „ვისრ.“-ში კუაძლი (გ. 5); „მეფხ.“-ში კვაძლი (გ. 94, 95).

ლი — შუამდგომელი, და სხვ.; ჩემი აზრით **3ა** უნდა ვიხმაროთ სამწერლო ენაშიც.

## VI. ეპიკლესია — ეკლესია.

ძართულ ენას არ უყვარს ერთისა და იმავე თანხმოვანის ერთ ადგილას გამეორება, როგორც უცხო ენებს, მაგალ. როგორც ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს და სხ. არა თუ ძირეულ სიტყვებში ვერ შეხვდებით ერთათ ორს ერთგვარ თანხმოვანს, არამედ თავსართებსა და დაბოლოებებთანაც. ცთილობს ქართული ენა — მოაშოროს სიტყვებს ერთგვარი თანხმოვანების თავმოყრა: როგორც ზევეითაც ვსთქვით (გვ. 103), **შუამდგომელი**-ს მაგიერ ახლა **ძართველი** იხმარება, თუმცა კანონით ორი **მ** უნდა ახლდეს (ერთი ძირის და მეორე მიმღეობის).

ძართული ენის ამგვარი თვისების გამო ჩვენ ვალდებული ვართ, როცა უცხო ენიდან შემოგვაქვს რომელიმე სიტყვა, უცხო ენის მართლწერა კი არ უნდა დავიცვათ, არამედ ჩვენი ენის. **შოველი** ხალხის თვისება და ჩვეულება ეს არის: როცა სხვისი ენიდან რამე შეაქვს თავისი ენის საუნჯეში — ზღაპრებია თუ სიტყვები — თავისებურათ ნათლავს, თავის ბეჭედს ასვამს. **ეს** კანონი დღეს ბევრმა შეიგნო — და ახლა იშვიათათ იხმარება მართლწერა **ეპიკლესია**, **გრამმატიკა**, **კომპისისია** და სხ.

რა თქმა უნდა, **ყოველი** ენისათვის უფრო კეთილხმოვანი ის ფორმაა, რომელიც მის თვისებასა და ხასიათს ემორჩილება, მის კანონს არ ეწინააღმდე-

გება—და, მაშასადამე, ჩვენს მწერლობაში ამ შემთხვევაში უნდა დარჩეს მართლწერა: **კელესია, გრამატიკა, ჰოგრამა, კომისია, ჰოგესორი, ანა, ხანა** და სხ. და სხ.

ბევრ უნდა ესთქვათ, რომ ზოგიერთი მწერალი დღესაც ერთობ ბრმათ ემორჩილება ძველი ჩვენი ენის მართლწერას და ხმარობს მეტათ საძნელო გამოსათქმელ ფორმებს, მაგალ. **ჩხვილა, თოვე** და სხ., იმ საფუძვლით, რომ ეს სიტყვები ზოგიერთ ძველ წიგნში ამ ფორმით არის ნახმარი. რა თქმა უნდა, ხალხური გამოთქმის საფუძველი, რომელიც მე ზევით განვმარტე, უფრო საყურადღებოა—და იმის ძალით უნდა ვსწეროთ **ჩვალი, თვე**,—მით უმეტეს რომ ძველ მწერლობაშიც უწარჩინებულესი ავტორები („მისრამიანის“, „მეფხისტყაოსნის“, „სიბრძნე-სიცრუის“, „ლავითიანის“ და სხ.) ამ შემთხვევაში ჩვენ გვემოწმებიან \*).

### VIII. მ და ა.

#### (კომისია—კანტორა)

შცხო ენის სახელები, რომელიც **მ**-ნით იწერება, ქართულშიც **მ**-ნით შემოსულა, რუსული ენის გამოთქმის წინააღმდეგ, მაგალ. — **მოსკოვი, მდესა, კომისია, კომიტეტი** და სხ.; გამორიცხვას შეადგენს სახელები: **აფაცერი, კანტორა, კანტორალი, კანტ-**

\*) ს. ს. მრბელიანი და ლ. ზურამიშვილი სიტყვას თვე ერთი მ-ნით ხმარობენ, ხოლო სიტყვას ჩვილი—ორი ჩ-ნით.

წაღიარდი, კამოდდი, კამანღადი, კამანღადობა, კამპან-  
ნია, კამპანნიონა, საღდათი, — რომელნიც უფრო  
ხშირათ 2-ით გამოითქმიან.

## XI. ძანცვალთა განმარტება.

როცა სიტყვის დაბოლოება და მის შემდეგი  
სიტყვის დასაწყისი ერთგვარ თანხმოვანებს ერთათ  
უყრის თავს, იმ შემთხვევაში წინა სიტყვის დაბო-  
ლოება (განსაკუთრებით მიცემითსა და მოქმედ-  
ბრუნვებში) 2-ით ხმოვანდება კეთილხმოვანებისა-  
თვის; მაგალითათ წყაღს ვსვამ, ჰატავს ვსცემ, ეს  
სთქვამ, ხელით სთხმას და სხ. ძნელი გამოსათქმე-  
ლია — და ამიტომ თანამომდევარი სიტყვების დაბო-  
ლოება უნდა განხმოვანდეს: წყაღსა ვსვამ, ჰატავსა  
ვსცემ, ესა სთქვამ, ხელითა სთხმას. ამ შემთხვევა-  
ში შეიძლება ორგვარი ფორმა ვიხმაროთ: ან თანა-  
მომდევარი სიტყვა 2-ით გაეხმოვანოთ, ან შემდეგ  
სიტყვას (ზმნას) ს მოვაშუროთ: ესა სთქვამ, ან ეს  
თქვამ.

ზახმოვანებული ფორმები იხმარება აგრეთვე შემ-  
დეგ გამოთქმებში, საზოგადოთ ერთმარცვლოვანი  
სიტყვების წინ: წასა აქ? წასა აქო? აწა ვაწ, აწა  
ხაწ, აწა ვაწო, აწა ხაწო, აწა მწამს, აწა  
მაქვს, აწა გვაქვს, აწა შევას და სხ.

2-ის მიმატებით ხმოვანდება სიტყვა ბრუნვებ-  
ში აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მას კავშირი  
და მისდევს: ქაღსა და კაღს, დიღსა და ჰატაღსა,

ღვთისა და კაცის, წვითა და დაკვით (ნახ. ეტიმოლოგ. გვ. 31).

ღანარჩენ შემთხვევაში კი სრული დაბოლოება მეტისმეტათ აზვიადებს ენის კილოს, ამძიმებს გამოთქმას, თუმცა ამერეთის ხალხსა და მწერალთ უყვართ სრული დაბოლოებანი ყოველ შემთხვევაში. მოვიყვანოთ მაგალითი: „მთელი ქვეყანა მისდევს სწავლა-განათლებასა, ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებსა, ბეჭდავს სხვადასხვა წიგნებსა, ამრავლებს შკოლებსა, ამზადებს ცხოვრებისათვის ყმაწვილებსა, მარად მაცადინობს—სწავლის საქმეს ხელი შეუწყოს სიტყვითა, გონებითა, ფულითა, —ერთი სიტყვით—ყოველგვარი საშვალებითა“. — ბევრათ უფრო სასიამოვნო კილო გამოდის, როცა დაბოლოებას ყოველგან მოშორდება ა.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მეტათ უსიამოვნო მოსასმენია ახლანდელ მწერლობაში ძველებური ფორმა ბრუნვებში: საქმისა კაცისასა, საქმესა კაცისასა, საქმითა კაცისათა და სხ. თუ რომ წინადადებაში საჭიროა ვაბრუნოთ სასაზღვრ სიტყვას შემდეგ დასმული მსაზღვრელი სიტყვა (ღეკვი ღომისა, საქმე კაცისა და სხ.), მაშინ ქემაინც დაბოლოება უნდა შევამოკლოთ (საქმეს კაცისას, ლეკვს ღომისას, საქმემ კაცისამ და სხ.), თვარა სულ სჯობია სიტყვების ამგვარ წყობილებას გვერდი ავუაროთ და ასე გამოვსთქვათ: კაცის საქმეს, კაცის საქმემ, კაცის საქმით და სხ.

## სინტაქსიური კანონები.

### შემასმენელის შეთანხმება ქვემდებარესთან.

იმ კითხვაში, რომელიც ქვემდებარესთან შემასმენელის შეთანხმებას შეეხება, სადავოდა გამოსარკვევია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა შემასმენელი მესამე პირს გამოხატავს და მრავლობითი რიცხვის ქვემდებარეს ეკუთნის.

ხანამ ამის კანონს დავადგენდეთ, გადავავლოთ თვალი ჩვენს მწერლობას და გავითვალისწინოთ, თუ როგორ ათანხმებდნენ შემასმენელს ამ შემთხვევაში ძველათ.

„ვისრამიანში“ პირველი დაბოლოებით\*) მრავლობითი რიცხვის ქვემდებარეს იშვიათათ შეხვდებით.\*\*)— და მისი შემასმენელი ხან მხოლოდობით რიცხვში ზის და ხან მრავლობ. რიცხვში: „რომელიცა ცნობილი კაცები იყო“ (გვ. 28), „ჭაბუკები იყუნეს“ (გვ. 29).

როცა ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა, „ვისრ“-ში შემასმენელი ყოველთვის მრავლობითში ზის, თუ ეს ქვემდებარე ადამიანს მოასწავებს, — მაგალითათ: „გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი“ (გვ. 15); დანარჩენ შემთხვევაში კი შემასმენელი მხოლოდობით

\*) მრავლობით რიცხვში სახელებს ორგვარი დაბოლოება აქვს: მბი და ნი; მბი-ს ვუწოდებთ პირველს, ნი-ს კი — მეორეს.

\*\*\*) ძველათ პირველი დაბოლოებით იშვიათათ აბრუნებდნენ.

რიცხვშია ნახმარი, — მაგალ. „ძირი და ნაპირი არა ჩანს“ (გვ. 41; იხ. აგრეთვე გვერდ. 2, 5, 6, 17, 31, 37, 75, 331 და სხ.). — როცა ქვემდებარეთ უსულო საგნის მომასწავებელი სახელებია, იშვიათათ შეხვდებით შემასმენელს მრავლობ. რიცხვში, როგორც მაგალ. პან გვერდზეა: „გული და ენა შენი არ ეძაწებაან ერთმანერთსა“. — შედგენილ შემასმენელათ „ვისრამიანში“ ხშირათ არის განსხვავებული ფორმა, რომელსაც ძალიან იშვიათათ შეხვდებით ჩვენს მწერლობაში, — მაგალ. „ყმანი ყუელანი დედათ ძაყვანულნია“ (გვ. 18). ამ წინადადებაში შედგენილი შემასმენელი ძაყვანულნია შესდგება მრავლობ. რიცხვის ზედსართავისაგან და მხოლობ. რიცხვის შემწეობითი ზმნისაგან. ამგვართვე შემასმენელი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ნახმარი, მაგრამ სულ ორჯერ. თუ სამჯერ. საზოგადოთ კი ამისთანა შემთხვევაში შემწეობითი ზმნა მრავლობითათ დაისმის, როგორც ნახმარია ხშირათ „ვისრამ.“-ში, — მაგალ. „დედანი გულ ჩვილნი არიან“ (გვ. 18).

„ვეფხ.“-შიც იმგვართვეა შემასმენელი ნახმარი, როგორც „ვისრამ.“-ში, ე. ი. მრავლობითათ, როცა ადამიანს შეეხება: „ადგეს სოგრატ და პეთანდილ“ (გვ. 13; ნახ. აგრეთვე გვერდ. 21, 67, 200), და მხოლოობითათ, როცა მოქმედება ადამიანს არ ეკუთნის: „დურაჯები დაინაბა“ (გვ. 76), „ბროლი და ლალი გათლილი ლაქვარდად გარდიქცვოდა“ (გვ. 211; ნახ. აგრეთვე გვერდ. 16, 87, 156, 174,



193). ბევრ ქვემდებარესთან იშვიათათ ნახმარია მრავ-  
ლობითი რიცხვიც (გვ. 213):

„მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებაან,  
მთვარე, ასპიროზ, მარიხი ძოვლენ ღ მოწმად ძეგებან.“

სიბ.-სიც.“ წიგნშიც შემოხსენებული წესებით  
არის შემასმენელი შეთანხმებული ქვემდებარესთან,  
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ პირველი დაბო-  
ლოებით (ები) უფრო ხშირათ შეხვდებით ქვემდებარეს,  
ვიდრე „მისრამ.“-სა და „შეფხ.“-ში, და მათ  
შორის სულიერი საგნის მრავლობ. რიცხვის ქვემდე-  
ბარე შემასმენელს ყოველთვის მრავლობითათ თხოუ-  
ლობს, ადამიანს შეეხება ის თუ ცხოველებს, სულ  
ერთია, — მაგალ.: „ძოვადენ მცველები“ (გვ. 67),  
„მწევრებმან ასე გახადეს“ (გვ. 30), „ლორებმა წაუხ-  
დინეს“ (გვ. 95) და სხ. უსულო საგნის ქვემდებარე  
ს.-ს. ორბელიანს ზოგჯერ მხოლოდობითათ აქვს ნა-  
ხმარი და ზოგჯერ მრავლობითათ (მრავლობითათ—  
როცა რამდენიმე ქვემდებარეა და ერთი შემასმენე-  
ლი): „მათ კაცთა სახელები ესე არს“ (გვ. 84),  
„თათლი და სამსალა ორივე სდიოდეს“ (გ. 22).

აი კიდევ სხვადასხვაგვარი შემასმენელის მაგა-  
ლითები „სიბ.-სიც.“ წიგნიდან:

„ორნი მეფენი შეიბნენ“ (გვ. 67).

„ერთი კუ ღ ერთი მორიელი დაძმობილდნენ“ (გვ. 87).

„მეფე-დედოფალი შემოვიდნენ“ (გვ. 145).

„შველანი დაყრუებულნი ვართ“ (გვ. 32).

ხშირათ ს.-ს. მრბელიანი რიცხვით სახელს მრავლობითათ არ ხმარობს—და მაშინ შემასმენელსაც მხოლოობ. რიცხვში სვამს,—მაგალითათ:

„მრავალი თეთრი ყარყატი ბუდობდა“ (გვ. 103).

„ორი დიდებული დასნეულდა“ (204).

ხალხის ენაში და ახლანდელ მწერლობაშიც არეულათ იხმარება შემასმენელის რიცხვი: მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან შემასმენელს ხან მხოლოობით რიცხვში სმენ, ხან მრავლობითში—და ერთი რამე გადაწყვეტილი კანონი ამის შესახებ არ არსებობს.

ღი ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ:

## I. შემასმენელი ქესაჲ ჰაშჲა ძრავლობით რიცხვში უნდა დაისვას:

1. თუ მრავლობ. რიცხვის ქვემდებარე მეორე დაბოლოებით არის ნაბრუნები,—მაგალ. *ბავშნი სწავლობენ, წევანნი გაიქცენ, ხეხილნი აყვავებულან, ძოანი თოვლით დაფანჯული ანაჲს;*

2. როცა პირველი დაბოლოებით ნაბრუნები მრავლ. რიცხვის ქვემდებარე სულიერ საგანს მოასწავებს,—მაგალ. *ბავშები სხედან, ძაღლები ყეფენ, მეტყნლები მოფრინდენ;*

3. როდესაც ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა, სულიერი საგნის მომასწავებელი,—მაგალ. *ჰანო და სანდრო სასეიწნოთ შიდიან, ძაღ-*

ლა და კატა წაიკადენ, შაშვმა, ჩხანთვმა და ბულ-  
ბულმა ჩვენს ხელს ბუდე გააკეთეს.

## II. შემასმენელი მწავლობ. დაცხვის ქვემდებარეს- თან მხლოლობ. დაცვში დაისმის:

1. თუ ქვემდებარე უსულო საგანს მოასწავებს  
და პირველი დაბოლოებით არის ნაბრუნები:

ა. სახლები შენდება, ტყეები ამწვანდა;

ბ. მთა და ბანა გასწორებულია; მიწა, ხე და  
ტყე მწვანით იმოსება.

2. სულიერი საგნის რთულ ქვემდებარეს შემ-  
დეგ: ჩემი დედ-მამა აქ ცხოვრობს, შენი და-მამა სო-  
ფელში იყო, თქვენი ქალ-ვაჟი კარგათ სწავლობს. —  
სიტყვები დედ-მამა, და-მამა, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმა-  
ნი, მამა-შვილი, დედა-შვილი, ქმარ-შვილი, ცოლ-  
შვილი, წმალ-დედაძითილი, სიმე-სიმამნი და მზგაფ-  
სი სხვები წარმოადგენს მტკიცეთ, განუშორებლათ  
შეერთებულ სახელებს, ისე რომ თითქმის ერთი აზ-  
რის აღმნიშვნელ სიტყვებათ გადაქცეულან; ამიტო-  
მაც არის, რომ ამისთანა სახელებს შემასმენელი მხო-  
ლოობ. რიცხვში უფრო უხდება, ვიდრე მრავლო-  
ბითში. ამავე კატეგორიას ეკუთნის კავშირით „და“  
შეერთებული, აზრით ერთმანეთის მოპირდაპირე სა-  
ხელებიც, — მაგალითათ: დიდი და წატანა, ქალი და  
კაცა, მდიდანი და ღარიბი, კეთილი და ბოროტი  
და სხ. და სხ., და ამიტომ იმათ შემდეგაც შემასმე-  
ნელი მხოლოობ. რიცხვში დაისმის, — მაგალითათ:

დიდა და ზატარა იქით მიეშურებოდა, ქალი და კაცია მისი წინააღმდეგი შეიქნა.

სულიერი საგნის რამდენმე ქვემდებარესთან შეიძლება შემასმენელი მხოლოობითათ დაისვას, და მაშინ ეს მოქმედება ეკუთნება უახლოეს ქვემდებარეს, ან თითოეულს ცალცალკე, — მაგალითათ: „ტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია“; „ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს“ (რ. მრისთვის თხზულებანი, 193 წ., გვ. 157).

III. რაცხვით სასკლზე დამოკიდებული სატყვან, როგორც ქვემოთაც გვექნება განმარტებული, მხოლოობ. რაცხვში დაისძის — და შემასმენელიც ამისთანა შემთხვევაში მხოლოობითათ უნდა ვიხმაროთ, — მაგალ. ჯანში ბეგია ქალი აყვ, ორავე ქეგობანა აქ მოვიდა, სანა მან ეთათ ცხვანობს, და სხ. — ამ შემთხვევაში, როცა რამდენიმე შემასმენელია ერთ წინადადებაში და ქვემდებარეთ სულიერი საგანია, პირველი შემასმენელი მხოლოობითათ იხმარება, დანარჩენები კი — მრავლობითათ, — მაგალითათ: მოვიდა ორი კაცი, თან მოიტანეს საქმელსასმელი, დასსდენ და ქეიფი გასწიეს; სამივე თავადი სანადიროთ წავიდა და თან წაიყვანეს წვევარმეძებრები.

#### IV. შედგენილი შემასმენელი.

როცა ქვემდებარე მეორე დაბოლოვებით არის ნაბრუნები, მაშინ შედგენილი შემასმენელიც ეთან-

ხმება თავის ქვემდებარეს სრულათ, როგორც ზევი-  
თაც არის მოყვანილი (გვ. 117): „მთანი თოვლით  
არიან დაფარული“, „ეს ყმაწვილნი კეთილი არიან“.

როცა ქვემდებარე პირველი დაბოლოებითაა ნა-  
ბრუნები და უსულო საგანს მოასწავებს, მაშინ შე-  
დგენილი შემასმენელი მხოლოდობით რიცხვში და-  
ისმის:

მთება თოვლით ანის დაფარული (თოვლითაა  
დაფარული, თოვლით დაფარულია);

ჩვენი სახლება კარგათ იქნება მოწყობილია.

აგრეთვე რამდენმე ქვემდებარესთან:

გაზაფხულზე ხე, ტყე და ველი მწვანათ ანის  
შეკმოსილი (მწვანითაა შემოსილი, მწვანით შემოსი-  
ლია.)

როცა პირველი დაბოლოებით ნაბრუნები ქვე-  
მდებარე სულიერი საგანია, შედგენილი შემასმენელი,  
ჩემი აზრით, ასე სჯობია ვიხმაროთ: შემწეობითი  
ზმნა მრავლობით რიცხვში დავსვათ და ზედსართავი  
სახელი კი უცვლელათ დავსტოვოთ,—მაგალითათ:

ეს კარგება სწორეთ ბრძა ანის; ბავშება მში-  
ერა იყვენ.

აგრეთვე რამდენმე ქვემდებარესთან:

ძადლი, კატა და თხა მთელ დღეს დამწვედე-  
ული ყოფილან \*).

\*) ძველ ენაშიც იხმარებოდა ამ შემთხვევაში შეკვეცი-  
ლი დაბოლოებით ზედსართავის მრავლობითი,—მაგალ. „ამაღ  
ანის ძენი კატანი, ცრუ ანის ძენი კატანი“ (ფსალ. ლა-  
ვით.: 61, 9).

როცა შედგენილი შემასმენელი შემწეობითი ზმნისა და არსებითი სახელისაგან შესდგება, მაშინ კი არსებითი სახელი მრავლობითად დაისმის:

ეს კაცები ბრძელები აწიან, ისინი ძდიდრები ყოფილან, ეს ბავშვები სწორეთ მხეცები აწიან (ბრძელები, ძდიდრები, მხეცები ამ შემთხვევაში არსებითი სახელებია).

აქვე უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ უნდა შევათანხმოთ ნაცვალსახელი „**რომელიც**“ ქვემდებარესთან და წინადადების სხვა ნაწილებთან იმ შემთხვევაში, როცა ამ ნაცვალსახელით იწყება დამოკიდებული წინადადება და როცა იმით ისაზღვრება მთავარი წინადადების მრავლობითათ დასმული რომელიმე ნაწილი (ქვემდებარე, დამატება და სხ.).

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში იმავე კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომლითაც ჩვენ ხელვმძღვანელობთ შედგენილი შემასმენელის ხმარებაში, ე. ი. თუ განსაზღვრება მრავლობითი რიცხვს სულიერ საგანს შეეხება და ან მეორე დაბოლოებით ნაბრუნებს მრავლობითი რიცხვის უსულო საგანს, მაშინ უნდა დავსვათ მრავლობით რიცხვში, — დანარჩენ შემთხვევაში კი — მხოლოდობითში. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ ფორმა **რომლები**, **რომლებს** და სხ. არ არის კეთილხმოვანი, და სჯობია ყოველთვის მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ (რომელნი, რომელთა და სხ.), მით უმეტეს რომ საზოგადოთ

ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში მეორე და-  
ბოლოებით იბრუნვის (ასინი, ესენი, იგინი, ძკგინი,  
იჰათ, ძკგათ და სხ.).

შოვიყვანოთ მაგალითები:

1. ძაკასიაში ყოფილან მოგზაურები, **რომელ-**  
**თაც** ეს მხარე ყოველი მხრით აუწერიათ.

2. ზანომ დაიჭირა ტრედი, გვრიტი და ქედანი,  
**რომელნიც** \*) ნამჯაში იმალებოდენ.

3. მათ აშფოთებდენ ვნებანი, **რომელნიც** ზღვა-  
სავით ღელავდენ.

4. ამ დროს გამოჩნდა მთები, **რომელთაც** თოვ-  
ლით იყო დაფარული.

ათუქსა და მოწინდაწინვე სასქეებს ამ შე-  
მთხვევაში მრავლობითი რიცხვი უფრო უხთება:

1. აქ ცხოვრობს ჩემი დაძმა, **რომელნიც** შე  
მზდიან.

2. მტერს მედგრათ ებრძვის დიდი და ჰატარა,  
**რომელთაც** სამშობლოს დასაცავათ გადაუდგიათ თავი.

მრავლობითი რიცხვივე უხთება განსაზღვრებას  
მაშინც, როცა ის უსულო საგნის რამდენმე სახელს  
ეკუთნის:

ჩვენ დავინახეთ მიღვრები და ტყეები, **რომელ-**  
**ნიც** შორიდან ადამიანს ზღვას მოაგონებდენ.

\*) ამგვარ შემთხვევაში „რომელიც“-ის მაგიერ ხშირათ  
იხმარება **რომ**; მაგალითათ აქ დამოკ. წინად. ასეც ითქმის:  
„ნამჯაში რომ იმალებოდენ“.



### მსახდგრელი სიტყვა.

რა ადგილი უნდა ექიროს ფრაზეოლოგიაში მსახდგრელ სიტყვას? როგორც ძველ მწერლობაში, ისე ახალშიც არ აქვს იმას მიჩენილი თავისი ადგილი: ერთი და იგივე მწერალი მსახდგრელ სიტყვას ხან სასაზღვრის წინა სვამს და ხან უკან, სადვთო წერილში მსახდგრელი სიტყვა თითქმის ყოველთვის სასაზღვრს შემდეგ არის ნახმარი: ქე შენი, ქენი კაცთანი, ძაძაო ჩვენო, სახელი შენი და სხ. და სხ. საერო მწერლობაში კი—პროზაში მსახდგრელს უფრო ხშირათ პირველი ადგილი უქირავს, ხოლო ლექსებში—უფრო ხშირათ მეორე ადგილი; მაგალითათ „ვისრამ.“-ში ხშირათ არის ნახმარი ამგვარი წყობილება: ყურისა ძინნი წმადასა ვერცხლსა უკუანდეს (გვ. 70); რამინის ჭურეცა, ძეფის შვილი, ვოფლისა სოფლისა სინანული, სინცხვილისა ფანდაგი დასაა (გვ. 71), შენი ძაძა, შენი ბრძანება (გვ. 84) და სხ.; იშვიათათ შეხვდებით წინააღმდეგ წყობილებას, მაგალ. ასული ჩემი, ძე ჩემი (გვ. 15), ძმა ძაბანდისი (გვ. 71) და სხ.— „ვეფხ.-ში“ კი ამის წინააღმდეგს ეპოულობთ, ე. ი. უფრო ხშირათ მსახდგრელი სასაზღვრს შემდეგ ზის,—მაგალითათ: ლეკვი ღამისა, მიძღამნი საწუთრისანი, ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, საქმე სოფლისა, სჯობს უცალობა კაცისა და სხ.,—თუმცა ხშირათ შეხვდებით იქ მეორეგვარ წყობილებასაც,—მაგალითათ: ანანთა ძეფობეუღმან, აძა ძაძისა სწავლასა, ძეფისა ბრძანებასა და სხ.

ჩვენს დღევანდელ მწერლობაში კი აღმოსავ. საქართველოს წარმომადგენელნი მსაზღვრელ სიტყვას თითქმის ყოველთვის სასაზღვრს შემდეგ სმენ, დასაფლეთისანი კი—წინ; ამგვარი განსხვავებით იხმარება ეს წყობილება ამ ორი მხრის ხალხის ენაშიც.

ამ ორ წყობილებას რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ გამოთქმა, მაგალითათ, ისტარაა სსქართველთაისა, ნაწილა ქალაქისა და სხ.—ენის ერთი გამაზვიადებელ ფორმათაგანია; მართალია, ეს წყობილება ქართულს დიდი ხანია შეთვისებული აქვს უცხო ენების (ბერძნულის, ლათინურის, ფრანგულის, რუსულის და სხვ.) მზგავსათ და უთუოთ ზოგიერთის მთგანის გავლენით, მაგრამ ეს თვისება იმ უცხო ენებისთვის მიუცაილებელია (მე ვამბობ იმ შემთხვევაზე, როცა განსაზღვრება — მსაზღვრელი სიტყვა გამოიხატება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, მაგალ. წაგნა ბაგშისა და სხ.), მათთვის ეს ერთათერთი ფორმაა ამ აზრის გამოსახატავათ,—ქართულს კი დღემდი ვერ შეუთვისებია ეს ფორმა საფუძვლიანათ—და უფრო ეტანება მეორე წყობილებას, რომელიც უფრო მარტივია, აზრის ადვილათ გამომხატველი; ყველა ამ საფუძვლის გამო უმჯობესია მსაზღვრელი სიტყვა, როცა ის ნათეს. ბრუნვით იხატება, სასაზღვრის წინ დავსვათ,—მაგალ. სსქართველთაისტარა, ქალაქის ნაწილი, კაცის ბედნიერება, ბუნების სამშვენადე და სხ. და სხ.

მს კანონი განსაკუთრებით პროზაში უნდა დავიცვათ; რაც შეეხება ლექსებს, იქ შეიძლება ორი-

ვე წყობილება ვიხმართ, ლექსის საჭიროებისდაგვართ.

პროზაში მსაზღვრელი სიტყვა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოექცევა უკან სასაზღვრს, როცა ამ მსაზღვრელ სახელზე დამოკიდებულია მთელი წინადადება, — მაგალითათ: მოგზაურმა დაათვალიერა მთელი **ნაწილი შორახისა, რომელიც** ჩაერთვის **შავ ზღვას ბათომის მახლობლათ**; ან კიდევ: ეს არის **დასაწყისი საქმისა, რომლის** წარმატებაზედაც დამოკიდებულია მთელი ხალხის ბედნიერება. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვა შესაძლებელია წინ დავსვათ მხოლოდ მაშინ, როცა ნათესაობითს თან მოსდევს ჩვენებითი ნაცვალსახელი (იმ); მაგალითათ ზემორე მოყვანილი წინადადება ასე შეიძლება გამოვსთქვათ: ეს არის **იმ საქმის დასაწყისა**, რომლის წარმატებაზედაც დამოკიდებულია მთელი ხალხის ბედნიერება.

როცა მსაზღვრელი სიტყვა გამოიხატება ზედსართავი სახელით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით და სხ., ამისთანა მსაზღვრელი სასაზღვრს შემდეგ მაშინ დაისძის, როცა საგნის თვისებას — ეპიტეტს განსაკუთრებული რამე მნიშვნელობა უნდა მისცენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, — მაგალითათ: **ღმერთო ძლიერო!** — **თამარი იყო მეფე სახელადკანა**; — მე ვამბობ, რომ იმ კაცს აქვს **სახე ღვთაებრივი**. — სასაზღვრ საგანს შემდეგვე დაისმის კუთნილებითი ნაცვალსახელები **ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი**, ნათესაობის აღმნიშვნელ ზოგიერთ

სახელებთან: ძაძა, დედა, ბებია, ბახუა, დედა, ძაძადა, ბაძა, — მაგალითათ: ძაძა ჩემა, დედა მისა, ბებია შენა და სხ.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის მსაზღვრელი სიტყვა შეადგენს თავისი სასაზღვრის განუშორებელ ეპიტეტს, ისე რომ მსაზღვრელი და სასაზღვრი თითქმის ერთ სახელათ გადაქცეულა, — მაგალითათ: ქვას კედელა, რგანის ხიდი, თათრას ქალი, გაშლის ხე და სხ. და სხ. ამისთანა შემთხვევაში, თუ რომ სასაზღვრ სიტყვას კიდევ უნდა დაერთოს ზედსართავის, რიცხვითის ან ნაცვალსახელის მსაზღვრელი სიტყვა, ეს უკანასკნელი მსაზღვრელი დაისმის ნათესაობითის წინ; მაგალითათ: ძაღალი ქვის კედელა, ღაძაწა თათრას ქალი, დადა გაშლის ხე, და თუ ნათესაობითის მსაზღვრელი მაინცაღამაინც არ არის სასაზღვრის განუშორებელი ეპიტეტი (მაგალით. ძოსწავლას წიგნი, კაცის სიძდიდრე, ქალის თვალეზა და სხ.), მაშინ სამატი მსაზღვრელი ნათესაობითს შემდეგ უნდა დაისვას: ძოსწავლას დადა წიგნი, კაცის შესანიშნავა სიძდიდრე, ქალის ღვთაებრივა თვალეზა.

### ძოყვანალი სიტყვები.

ძოყვანალ სიტყვებს ზოგიერთი მწერალი პირდაპირი მიმართვით ხატავს, ზოგი კი, სხვადასხვა პირის მიხედვით, ხმარობს ნაწილაკებს ძეთქი, თქო

(ან თქვა) და მ. «ვეფხ.»-ში თითქმის სულ პირდაპირი მიმართვაა; მეორე პირის სათქმელში თქო მხოლოდ ერთ ადგილას აქვს რუსთაველს ნახმარი: „მიკითხოს, ჰკადრე, აყოთქო აქა ერთისა წამითა“ (გვ. 23); პირველი პირის სათქმელი ყოველგან პირდაპირი მიმართვით აქვს გამოხატული, მესამე პირისაში კი აქაიქ აქვს იშვიათათ ნახმარი ნაწილაკი მ. „ვისრამ.“-ში კი აქისთანა შემთხვევებში ნახმარია ნაწილაკები ძეთქა (გვ. 404), თქო ან თქუა (გვ. 131, 417) და მ (თითქმის ყოველგან); იშვიათათ პირდაპირი მიმართვაც იხმარება აქ. — „სიბ.-სიცი.“-შიც არეულათ არის ნახმარი: ხან პირდაპირი მიმართვით, ხან ნაწილაკებით (ძეთქა, თქო და მ). — ჩვენი დროის მწერლობაში უფრო ხშირათ პირდაპირი ნაწილაკებით გამოიხატება მოყვანილი სიტყვები — და ამ ნაწილაკებს არეულათ ხმარობენ: ზოგი პირველსა და მეორე პირში თანასწორათ ხმარობს ნაწილაკს თქო (ან თქვა), ზოგი პირველში ძეთქა-ს, მეორეში თქო-ს ან თქვა-ს.

ჩემი აზრით, პირდაპირი მიმართვა ქართულ ენას არ უხდება; უფრო ლამაზათ ეწყობა აზრი, როცა ის ზემოხსენებული ნაწილაკებით არის გამოთქმული. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ მეორე პირის მისამართავ სიტყვაში თქვა-ს სჯობია ნაწილაკი თქო, რომელიც თავისი ფორმით უფრო გვიხატავს უცვალბებელ ნაწილაკს, ვიდრე თქვა, რომელიც წარმოადგენს ნამყო დროის ფორმას (მან თქვა). „ვეფხ.“-ში ყოველგან თქო იხმარება (გვ. 23, 34).

მოვიყვანოთ მაგალითები იმ სახით, როგორც უნდა ვიხმაროთ, ჩემი აზრით, მწერლობაში საერთოთ:

1. მე ვუთხარი სიმონს, რომ შენი შეილი კარგათ სწავლობსქეთქი; 2. წადი და უთხარი სიმონს, რომ შენი შეილი კარგათ სწავლობსთქო; 3. მასწავლებელმა უთხრა სიმონს, რომ შენი შეილი კარგათ სწავლობსო. — შველა ამ წინადადებაში შეიძლება კავშირი დამ სულ გამოვუშვათ.

მესამე პირით, უნაწილაკოთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ შემთხვევაში აზრის გამოთქმა, როცა მოყვანილი სიტყვების მთქმელი არცა ჩანს და არც იგულისხმება, — მაგალითათ: ხალხმა გაიგო, დამ ვახტანგი ოსებთან ბრძოლას აზიანებდა. და როცა მთქმელი ჩანს ან იგულისხმება, მაშინ იმ სახით უნდა გამოითქვას აზრი, როგორც იქნებოდა ის წარმოთქმული თავდაპირველათ, და თან პირის შესაფერი ნაწილაკი უნდა დაერთოს; მაგალითათ: ვახტანგმა გამოაცხადა, (დამ) მე ოსებთან ბრძოლას ვაზიანებო (და არა „რომ ის აპირებდა ოსებთან ბრძოლას“); საბდალმა ჯანს გამოუცხადა, (დამ) ვახტანგი ოსებთან ბრძოლას აზიანებსო, და სხ. უკანონოთ არის ნახმარი რაფ. მრისთვის ლექსში („ქოროლლი“): „მაგრამ ჯერ კითხა უცნობსა, რაზედ თავხედობს იგია, ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადაუკიდია?“ უნდა იყოს: „მაგრამ ჯერ კითხა უცნობსა: „რაზე თავხედობ შენაო? ან რა რკინაა, რომ შენ მხარზე გადაგიკიდიაო?“



ხშირათ სასაუბრო პიროვან ნაწილაკებს ქეთქა-ს, თქო-სა და ო-ს უადგილო ადგილას სმენ, მაგალითათ ასე: ქე ქეგონა, დამიბნელდაქეთქი თვალღი; ვანამ მათხნა, მოვიდაო შენი ძმა, და სხ. აზრის ამგვარი გამოთქმა არ არის საკეთილმზოვანო; სასაუბრო ნაწილაკები ქეთქა, თქო და ო წინადადებას ყოველთვის ბოლოში უფრო უხებება, ვიდრე შუაში. ძველ მწერლობაში მხოლოდ შოთას აქვს ისინი უფრო ხშირათ შუაში ნახმარი (თუმცა ბოლოშიც ხმარობს; საზოგადოთ ლექსებში თავისუფლათ მათი ხმარება ძნელია); „სიბ.-სიც“-ში მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდით ო-ს შუა წინადადებაში: „მაშინვე მოჰკვდებიო უცილოდ“ (გვ. 178).

მაშასადამე, ზემოაღნიშნული წინადადებანი ასე უნდა გამოვსთქვათ: ქე ქეგონა, თვალღი დამიბნელდა-ქეთქა; ვანამ მათხნა, შენი ძმა მოვიდაო.

პირდაპირ, უნაწილაკებოთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება მისამართავი კითხვა-პასუხის გამოთქმა, როცა მოთხრობაში პირდაპირი საუბარია გამართული მოქმედ პირებს შორის და თანაც კითხვა-პასუხს არ ახლავს სიტყვები: კითხა, სთქვა, უთხნა, უხასუხა და მისთანები.

მოვიყვანოთ მაგალითები:

— საით მიბძანდებიო? — მკითხა ჩემმა მასპინძელმა.

— მთაში მივდივარ სანადიროთქეთქი, — ვუპასუხე მე.



— ხომ ხედავ, რომ მეტათ ცუდი ტაროსიაო, — განაგრძო მან, — დღეს აქ მოითმინე — და ხვალაც მოესწრები ნადირობასო.

მსვე საუბარი პირდაპირ, უნაწილაკებოთაც შეიძლება გამოითქვას, როცა არ ეხლება სიტყვები მკათხს, ვუზსუსე და მისთანები.

მასპინძელსა და ჩემს შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

— საით მიბძანდები?

— მთაში მივდივარ სანადიროთ.

— ხომ ხედავ, რომ მეტათ ცუდი ტაროსია; დღეს აქ მოითმინე — და ხვალაც მოესწრები ნადირობას.

ბძელ პერიოდში სასაუბრო ნაწილაკი იმ სიტყვას ახლავს, რომელზედაც მიქცეულია ყურადღება, და ეს სიტყვა უსათუოთ წინადადების ბოლოში უნდა მოაქციონ; უმეტეს ნაწილათ ამისთანა სიტყვაა **წმნა** (შემასმენელი); სასაუბრო ნაწილაკი (**მეთქი**, **თქო**, **ო**) შეიძლება რამდენჯერმე იქნეს გძელ პერიოდში გამეორებული, მაგრამ ერთობ ხშირათ, ზედიზედ არ უნდა იხმარონ, თვარა საუბარი უკეთილხმოვანო გამოვა; აი მაგალითიც: **დედაშ უთხნა შვილს: « შვალო, ჩემი საღანბით წაწ შექმლო, თავი ან ძაწოკავს: დაწხანჯე, მოგამწინადე და კლასში მიგაბარეო. აწი შენ აწი, როგორ მოინდომებ, წაწ სიბეჯათესა და კანგ ეოფაქცევას ბამოიჩინო. სწავლა და ცოდნა საკუთრათ შენთვის იქნება საბოლოოთ გამოსადეგი, მაგნამ ესეც გაწსოგდეს,**

რამ კანგა სწავლითა და რიგანთა ეაფაქტკვათ  
შენი მახუცა დედის გულს უზომოთ ბაახარებო“.

### დროთა შეთანხმება.

მთავარი წინადადების შემასმენელი მოითხოვს, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შეთანხმებული იყოს მასთან, ე. ი. იმ დროში უნდა იქნეს დასმული, რომელიც შეეფერება მთავარი წინადადების დროს; მთავარ წინადადებაში შეიძლება შემასმენელი სხვადასხვა დროში იჯდეს, და ამის მიხედვით დამოკიდებულის შემასმენელიც უნდა დაისვას სხვადასხვა დროსა და კილოში.

ძველ მწერლობაში იხმარებოდა და ბევრი მწერალი ახლაც ხმარობს (ახლა განსაკუთრებით აღმოს. საქართველოს მწერალნი) დროთა ერთგვარ შეთანხმებას, რომელიც, ჩემი ფიქრით, აზრის ლოლიკურ მსვლელობას ეწინააღმდეგება.

მაგალითები:

„მე დაასკუნა, რომე რამინის ომად წავიდე  
და შეეხას“ („მისრ.“, გვ. 444);

„მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად  
და მოიზიდა, რათა გატყნოს“ („სიბ.-სიც.“, გვ. 56).

ორივე მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოქმედება აქ წასულ დროს შეეხება, წასულ დროში მომხთარა; დამოკიდებულ წინადადებათა შემასმენელები კი (რამე წავიდე და შეეხას, რათა გა-

ტეხას) გვიჩვენებს, თითქო მოქმედება ჯერ არ მომხთარეოს, აწი უნდა მოხთეს. მართალია, იმ დროის დამსწრეთათვის, რომელსაც ეს გარემოებანი შეეხებოდა, გახაზული დროები (წავიდას და შეკებას, გატეხოს) მყოფადი დროის მოქმედების აღმნიშვნელი იქნებოდა და, მაშასადამე, ზმნებიც მყოფად დროში უნდა დასმულიყო; ჩვენთვის კი, როცა ყველა ეს მოქმედება ნამყო დროს ეკუთნის, მყოფადი დროის ფორმა სრულიად შეუფერებელია; ჩვენი აზრის თანდათანობითი მსვლელობა მოითხოვს, ამ შემთხვევაში შემასმენელი იმისთანა ფორმით აღინიშნოს, რომ წინათ მომხთარ მოქმედებას გვიჩვენებდეს.— მაშასადამე, ზემორემოყვანილ წინადადებათა შემასმენელები ასე უნდა გამოითქვას:—რომ წასულიყო და შებოდა, დათა გაეტეხა.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი: (ირემმა აქ) „პირველად აახილა თვალი, დამ მიესალმოს ქვეყანასა, და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა (დახუჭა), დამ სამუდამოდ გამოესალმოს“ (ილ. ჭავჭ., ტ. II, გვ. 7, 1892 წ.); „გავიზრახე (თუ განვიზრახე?), რომ თითონ (თვითონ) გლახას გამოვათქმეგინო თავისი ვინაობა“ (იქვე გვ. 11), „გავიზრახე (განვიზრახე), დამ პეპიასთან წავიდე და ყველაფერი შეგატეოზინო“ (იქვე გვ. 91).

ეს მაგალითები ამოღებულია „ზლახის ნაამბობიდან“; ზაბრიელი უამბობს მონადირეს თავის თავგადასავალს, — მაშასადამე ყველა მოქმედება შეეხება წასული დროს — და ამიტომაც ლოლიკა მოითხოვს,

იმისთანა დრო დაესვათ, რომელიც წასულში მომხთარ გარემოებას გვიჩვენებდეს, და არა მომავალში შესასრულებელს. „მე განვიზრახე, რომ წავიდე და შევატყობინო“—ამ სახით აზრი მაშინ გამოითქმის, როცა გვინდა გამოვხატოთ, რომ მოქმედება ჯერ კიდევ არ მომხთარა, უნდა მოხთეს.

მაშასადამე ზევით მოყვანილი მაგალითები ასე უნდა ითქვას:

ირემმა აქ პირველათ აახილა თვალი, რომ მისაღძებოდა ქვეყანას, და ბოლოს უკანასკნელათ დახუჭა, რომ სამუდამოთ გამოესაღძებოდა.—მე განვიზრახე, რომ თვითონ გლახისთვის გამოემთქმევინება თავისი ვინაობა.—მე განვიზრახე, რომ პეპიასთან წასულვამე და ყველაფერი შემეტყობინებია.

აი კიდევ დროთა უკანონო შეთანხმების რამდენიმე მაგალითი:

„მტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უსახავს, ბევრი ავდარი შესწრება და გამოუვლია“ (ილ. ჭავჭ., ტ. II, გვ. 12, 1892 წ.).—  
აქაც დარღვეულია აზრის ლოდიკური მსვლელობა; ამგვარი დროთა დაწყობა გვიჩვენებს, რომ მოქმედება შეეხება იმისთანა პირს, რომელიც ახლა ცოცხალია; და თუ ის პირი, რომელსაც მოქმედება შეეხება, არ არის ცოცხალი იმ დროს, როცა იმაზე საუბრობენ, მაშინ ნამყო III (უნახავს) კი არ დაისმის; არამედ ნატვრითი კილოის ნამყო I (ენახა).

ამ სახით, ზემოხსენებული წინადადება ასე უნდა გამოვსთქვათ: ზედ ეტყობოდათ, რომ იმათ

პატრონს ბევრი ცეცხლი ენახა, ბევრი ავდარი შე-  
სწრებოდა და გამოეკლა.

ამ კანონს ამტკიცებს შოთა რუსთაველის ენაც:  
„რომე პირველვე დაესკვნათ, მათ ესე შეეტყობოდა“  
(გვ. 112).

აი კიდევ სხვაგვარი შემთხვევა:

„რომ დამინახა, უკან მივდექვ, მკითხა“ (ილ-  
ჭავჭავ., ტ. II გვ. 39, 1892 წ.).

„მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს,“ (იქვე.  
გვ. 70).

აუხსნელათაც ცხადია, რომ აქ მოქმედება  
ნამყო დროს შეეხება და იმავე დროში უნდა იყოს  
ნახმარი შემასმენელიც:

როცა დამინახა, რომ უკან მივსდექედი, მკითხა;—  
მე მაშინ არ მესმოდა, თუ რას ამბობდა.

არის ერთი შემთხვევა, როდესაც ნამყოს მა-  
გიერ აწმყო იხმარება: როცა სახელდობ ავტორს  
სურს, რომ წასულში მომხთარი მოქმედება ცოცხლათ-  
ღაგვიხატოს თვალწინ, ნამყო დროის მაგიერ აწმყოში  
ხმარობს შემასმენელს; მაგალითათ:

„სხვაგან ჰქრის მისი გონება“;

„იგი ლაღი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად“;

„თაიჭი მიუგს მერანსა, მიეფინების მზე ველად“.

„შიმაღალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა“  
(„ვეფხ.“ გვ. 20, 21, 211).

„ზნახე, ერთს მგელს პირთ ყრმა სჩრია და  
მოაქვს („სიბ. სიტ.“, გვ. 128).

ჩემი აზრით, აქაც უნდა დავიცვათ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის დროთა ერთგვარობა: ან ორივეში აწმყო იქნეს, ან ორივეში ნამყო, —

მაგალითათ ასე:

გზავნა ტყეში და ვხედავ, რომ ყურდგელი ჩირგვში წევს და სძინავს, ან: ვაჭექი ტყეში და ვხედავდი (ან დავინახე), რომ ყურდგელი ჩირგვში იწვა და ეძინა.

ამგვარი აწმყო სხვა ენებშიც იხმარება, როგორც ძველში, ისე ახალშიც (ლათინურში, ფრანგულში, რუსულში და სხ.); ამისთანა აწმყოს ეწოდება ისტორიული აწმყო (praesens historicum).

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ხშირათ აწმყოს მაგიერ ამ შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი მყოფადს ხმარობს, მაგალითათ ასე: ივანე ადგება და მის ბინაზეძევა, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდება რუსთაველიც ხმარობს ამ ფორმას, მაგალითათ: „შერმადინს ეტყვის, უბძანებს“ (გვ. 170); „ქვლავ შევა დარბაზს ვეზირი“ (გვ. 182), — თუმცა რუსთაველი ფორმებს: ეტყვის, შევა და სხ. ხმარობს, როგორც აწმყო დროის ფორმებს. მაგრამ დღეს ეს ფორმა მეტათ უსიამოვნოა სმენისთვის, და ამიტომ მყოფადის მაგიერ აწმყო სჯობია, და ზემოხსენებული წინადადება ასე უნდა გამოითქვას: ივანე ადგება, მიდის მის ბინაზე, მაგრამ კარი დაკეტილი უხვდება.

### კავშირი წა.

ახალ მწერლობაში ძალიან გაახშირეს კავშირის წა-ს უადგილო აღაგას დასმა, ე. ი. ზმნას შემდეგ, მაგალითათ ასე: დაასრულა წა ეს სიტყვა, ორატორი გავიდა დარბაზიდან. ძველ მწერლობაშიც და ხალხ-შიც ამ შემთხვევაში კავშირი წა (აგრეთვე წაკა, წაწა, წამ) ზმნის წინ დაისმის. „მისრამ.“-ში ყოველგან ზმნის წინ ზის ეს კავშირი: „წა ვისძან მოისძინა მისგან პასუხი, გული გაუფიცხდა“ (გვ. 20), და მრ. სხ.; „ვეფხ.“-ში: „წა ყველანი დაგიურგე, ხატაეთით გავემგზავრე“ (გვ. 100); „წა გათენდა, შეეკაზმა“ (გვ. 160) და სხ. ამგვარი წყობილება ნახმარი „სიბ.—სიც.“-შიც; მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდი აქ წინააღმდეგ წყობილებას: „ესმა წა ესე რუქას საჭურისსა, აღშფოთლა“ (გვ. 6).

ამ სახით, ზევით მოყვანილი წინადადება ასე უნდა გამოვსთქვათ: რა ეს სიტყვა დაასრულა, ორატორი გავიდა დარბაზიდან.—მსვე წინადადება შეიძლება ასეც გამოვსთქვათ:

მს სიტყვა რომ დაასრულა რომ დაასრულა ეს სიტყვა როცა დაასრულა ეს სიტყვა რაკი დაასრულა ეს სიტყვა დაასრულა ეს სიტყვა თუარა	} , ორატორი დარბა- ზიდან გავიდა.
--	-------------------------------------

ახალ მწერლობაში ზმნას შემდეგ წა-ს ხმა-რება, როგორც ჩანს, რუსული ენის გავლენით შემოუღლიათ, რომ რუსული „დევპრიჩასტიე“ გამოხა-



ტონ; მაგალითათ სწერენ: „გაჯნობებთ წა ამას, გთხოვთ პასუხი დაუყოვნებლათ შეგვატყობიოთ“ (რუსული: сообщая объ этомъ, просимъ და სხ.). ქართული სმენისათვის ამისთანა გამოთქმა ძალიან უსიამოვნოა; ქართულათ ამისთანა შემოხვევაში აზრი შემაერთებელი კავშირით (და) გამოითქმის; მაგალითათ შემოხსენებული წინადადება ასე ითქმის: გაჯნობებთ ამას და გთხოვთ (ან: და მასთან გთხოვთ), პასუხი დაუყოვნებლათ შეგვატყობიოთ.

მრთი სიტყვით, როცა რუსული „დევპრიხასტიე“ გვინდა ქართულათ გამოვხატოთ, თუ აწმყო დროის არის, შემაერთებელი კავშირით გამოიხატება, და თუ წამყო დროის, მაშინ კავშირებით წა, წაკვი, წომ, თუაწა—იმ სახით, როგორც ზევით გვაქვს მოყვანილი მაგალითები.—

პი კიდევ რამდენიმე მაგალითი:

1. Присылая вамъ при семъ деньги, прошу выслать мнѣ книги—ამასთანავე გიგზავნით ფულს და გთხოვთ გამომიგზავნოთ წიგნები (და არა გიგზავნით წა ფულს და სხ.);

2. Окончивши это дѣло, онъ воротился назадъ—წა (რომ, როდესაც, როცა) გაათავა ეს საქმე, ის უკანვე დაბრუნდა; ან: გაათავა თუარა ეს საქმე (ეს საქმე რომ გაათავა), ის უკანვე დაბრუნდა.

წამყო დროშიც შეიძლება გადაითარგმნოს რუსული „დევპრიხასტიე“ შემაერთებელი კავშირით,— მაგალითათ: Сидя въ комнатѣ, Георгій предавался розовымъ мечтамъ,—ზიორგი ოთახში იჯდა

და სასიხარულო ფიქრებით ერთობოდა (და არა  
იჯდა რა ოთახში და სხვ.).

### შედარებითი ხარისხი თხზულებას ნათესაობით ბრუნვას.

შედარებით ხარისხს ჩვენს ახალ მწერლობაში  
სხვადასხვა დამოკიდებულებით ხმარობენ: ზოგი ხმა-  
რობს: **ძითაჲსეჲ მადალი, ყველაჲსეჲ ღამაჲსი, ჩემ-  
სეჲ ათჯერ ძლიერა, შენსეჲ ბევრათ ადრე და სხ.**,  
ზოგი კი—**ძითას უმაღლესა, ყველას უღამაჲსესა,  
ჩემსე ათჯერ უძლიერესა, შენსე ბევრათ უფრო  
ადრე.**—ჩვენს ძველ საუკეთესო თხზულებებში ყო-  
ველთვის შედარებითი ხარისხის ფორმას შემდეგ ნა-  
თესაობითი ბრუნვაა ნახმარი ან თანდებულთ **ბან,**  
ან **პირდაპირ**; მაგალითათ „**მისრამიან**“-ში: „**მთისა-  
გან უძიძესი**“ (გვ. 5), „**ვეფხისაგანცა უფიცვისი**“  
(გვ. 10), „**ამის უარესი**“ (გვ. 35), „**მის უკეთესი**“  
(გვ. 36); „**მეფხ.**“-ში: „**ღისაგანცა უფრო დესი**“  
(გვ. 53), „**პირველისა უარესი**“ (გვ. 53), „**უმჯო-  
ბესი დედისა**“ (გვ. 256), „**ვარ უმაგრესი რვალისა**“  
(გვ. 122) და სხ. და სხ.; „**სიბ.-სიც.**“-ში: „**ენის  
უტკბესი**“, „**ენის უმწარესი**“ (გვ. 22) და სხ.—**ხალხ-**  
ში არეულათ ხმარობენ ამ ფორმებს; ერთნაირათ  
მოისმის იქ, მაგალითათ, **ამაჲსე კანგა, ღობესე  
დაბალი** (ანდაზა: „**კაცზე მადალი, ღორზე დაბალი**“)  
და სხ., და აგრეთვე: **ამის უკეთესა, ღობის უდაბ-**

ლესა, ან: აძასე უფრო კარგი, ღობეზე უფრო დაბალი.

ჩემი აზრით, მწერლობაში ამგვარათ უნდა ვიხმაროთ: წმინდა შედარებით ხარისხს შემდეგ — ნათესაობითი ბრუნვა (ძასის უბწყინვანჯლესა, ძთას უძანჯლესა და სხ.); თანდელადი ზმ ამ შემთხვევაში იხმარება მხოლოდ ნაცვალსახელებში: ჩემზე (შენზე, თქვენზე, ამათზე, მათზე) უკეთესა; ნხოლოდით რიცხვში კი ჩვენებით ნაცვალსახელებში ნათესაობითი ბრუნვა იხმარება: იძას (ამის, მაგის) უკეთესა. — ზმნისართით ნაწარმოებ შედარებით ხარისხთანაც აგრეთვე იხმარება თანდელადი ზმ: ძთასე უფრო ძანჯლესა, აძასე უფრო კარგი და სხ. რაც შეეხება გამოთქმას ძთასე ძანჯლესა, ჩემზე დაბალი და სხვ., ის უნდა გაიდეინოს მწერლობიდან, როგორც განუვითარებელი და მასთან ულამაზო ფორმა.

რაცხვითი სახელები რაცხვში ან იცვლებს და ძხოლოდობით რაცხვს თხოულდებს.

„ვისრამ“-ში ნახმარია ათი თითი, სხდეს სამნივე, თქვენ ორნი ერთნი ხართ, ძრავალი ცხენი, ძრავალი დიაცნი, ორთავე ღაშქართა, ორთა ხელძვიფეთა წინაშე, სამნი კარნი და სხ. (გვ. 12, 15, 17, 25, 28, 113); „ვეფხ.“-ში: ძონა თორძეცი, ორთავე ცისა კადეთა, ექვსნი ცხენოცხანსა, ორთა კაცთა წვეროცხანთა, ორნი ძონანი, ათასა ძანჯა-

ლიტა, ათასი ცხენა, ცხრა ცაბაკა, ცხრა ტანიჭი და სხ. (გვ. 16, 25, 42, 43, 127, 350); „სიბ.-სიც.“-ში: ორი მონა, რამდენა ქმანა, ათა თათა, ასა აქლება და სხ. (გვ. 26, 109, 198, 199).

ახალ მწერლობაში და აგრეთვე ხალხში მრავლობით რიცხვს ხმარობენ აღმოს. საქართველოში (უმეტეს ნაწილათ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანზეა ლაპარაკი), ხოლო დასავლეთში — მხოლოდობით. **ოღნა ქმანა, სუთნა აძხანაგნა და სხე.** ერთი რომ მეტათ მძიმე ფორმას, რაიცა გამოთქმას აძნელებს და ენას ატლანქებს, და მეორე — უმნიშვნელოცაა, რადგან მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ამ შემთხვევაში რაოდენობას არა სცვლის. რიცხვითი სახელი მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით მხოლოდ მაშინ უნდა ვიხმაროთ, როცა გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთი და იგივე რიცხვი რამდენჯერმეა აღებულ; მაგალითათ, თუ გვინდა აღვნიშნოთ მრავალჯერ ხუთი, მრავალჯერ ასი და სხ., მაშინ ვიტყვი: ხუთება, ასება (ან ხუთნი, ასნი) და სხ.

ბქიდან ცხადია, რომ არ ითქმის, როგორც ხმარობენ ხშირათ: **ოღნევე თვალება, ოღნევე ხელები, ხუთივე ბავშება, ბევრი სახლები და სხ.,** არამედ **ოღნევე თვალა, ოღნევე ხელა, ხუთივე ბავშა, ბევრი სახლი, ცოცა საქმე და სხ.** — ზოგნი ბრუნვებსაც კი ამახინჯებენ და სახელობითში ხმარობენ ფორმას **ოღთავე, ოღთავენა, ოღნეენი** და სხ.; სახელობითი, თუ მაინცადამაინც, **ოღნევე იქნება,** და არა **ოღთავენი და ოღნეენი;** მაგრამ, ვიმეორებ, მრავ-

ლობითი რიცხვის დაბოლოება ამ შემთხვევაში შესაწყნარებელი არ არის.

### შვალათუთ, შვალთ, შვალანათ.

ღედა მოვიდა თავისი შვალათუთ, დედა მოვიდა თავისი შვალთ, დედა მოვიდა თავისი შვალანათ, —სამივე ეს გამოთქმა იხმარება ჩვენს დღევანდელ მწერლობაში. „ვისრამ:“-ში ნახმარია პირველი ორი გამოთქმა, —მაგალითათ: „მოვიდეს მეფენი და დიდებულნი დედაწუღათუთ“ (გვ. 4), „გულსა განებათუთ შენ მოგცემ“ (გვ. 341); უფრო ხშირათ კი უთანდებულოთ არის ნახმარი: „მივიდა ზარდი ციხესა ორასითა კანათა“ (გ. 216), „გამომგზავრდა მისათა მოყვანითა და ლაშქრითა“ (გ. 442) და სხ. — „ვეფხ.“-ში სამივე გამოთქმაა ნახმარი: „ბეჭდათუთ თითი მოკვეთა“ (გვ. 250), „მე და შესენი შვალათუთ აწ ახლა დავიბადენით“ (გ. 251), „მივა ოთხათა ძონითა“ (გ. 226), „მოვიდა მოყვსათა სამათა“ (გ. 272) და სხ.; „მოგივალ მე ალაფიან — ტყვიანად“ (გ. 100), „მეფემან ჰბრძანა: იკითხეთ, მარტოა, ანუ ყმიანად?“ (გვ. 184). — „სიბ.-სიც.“-ში მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდით ძველებურ დაბოლოებას თუთ და ერთ ადგილასაც ხალხურ დაბოლოებას ანანად: „ყოველნი ძონაკებათუთ დაინთქუნენ“ (გვ. 123), „ცხენ-კანცებანანათან ჩავგიტანა“ (გ. 140); სხვაგან კი ყოველგან

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვაა ნახმარი (იხ. გვ. 30, 151, 171, 187, 188 და სხ.).

თანდებულიანი ფორმა (**შვილათუქათ**) იმდენათ მძიმე ფორმაა და ისე დავიწყებულია ღღეს ხალხისა და მწერლობისაგან, რომ ის ფეხს ვერ მოიდგამს; დანარჩენი ფორმები, ჩემი აზრით, ორივე უნდა დარჩეს მწერლობაში, შემდეგი განსხვავებით: თუ გამოთქმაში ის აზრი იხატება, რომ ერთათ მყოფი საგნები მეტათ მტკიცეთ შეკავშირებულია ერთმანეთთან, მაშინ ვიხმაროთ დაბოლოება **აანათ**, — მაგალითათ: ქარმა ხე **ძიანათ** ამოსთხარა, მგელმა ცხვარი **ძვლანათ** შესქამა, კაცი **ტანასამოსანათ** გადავარდა წყალში, ტომარა **ფქვილანათ** დასველდა, ვირი **საწაღსანათ** გადავარდა კლდეზე, და სხ. და სხ.; ამ კანონსვე ემორჩილება **სსეობანათ** შეკავშირებული საგნებიც, — მაგალითათ: **ცოღანათ**, **შვილანათ**, **ცოღ-შვილანათ**, **მეგობანათ** და სხ.; მაგალ.: ეს კაცი თავისი **ცოღ-შვილანათ** აქ ცხოვრობს; და თუ გამოთქმა გვიჩვენებს, რომ ერთათ მყოფი საგნები მაინცადამაინც მჭიდროთ შეკავშირებული არ არის, მაშინ უნდა ვიხმაროთ წმინდა მოქმედებითი ბრუნვა; მაგალითათ: მეფე **აწა კატათ** გაიქცა ბრძოლის ველიდან, ჩემი ძმა **თავისა ნაწახებით** რუსეთში ცხოვრობს, ჩვენ გვეწვია **ივანე თავისი მეწობლით**. — **მრავროგნების** ან უხერხული გამოთქმის ასაშორებლათ შეიძლება ან ხალხური ფორმა **ანათ** ვიხმაროთ, ან შემაერთებელი კავშირით **და** გამოვხატოთ აზრი, — მაგალითათ: ჩვენი ჯარისკაცები **ცხენებანათ**

გაიტაცეს მტრებმა, ან ჩვენი ჯარისკაცები და მათი წახეხები გაიტაცეს მტრებმა (წახეხებით გაიტაცეს რომ ვსთქვათ, ის აზრიც ექნება, თითქო ცხენებზე შეაჯდინეს და ისე გაიტაცეს).

### თურმე და თურადა:

ღღევანდელ მწერლობაში ზმნისართს თურმე ხშირათ პირდაპირ შემასმენელის წინ სმენ; მაგალითათ: მთავრობას განზრახვა თურმე აქვს, რომ მიწის ბაჟი მოგვიმატოს, რაფიელი ავათ თურმე გამხთადა და სხ.

შოთა რუსთაველი და ს.-ს. მრბელიანი თურმე-ს ქვემდებარის წინ სმენ, ან ისე, რომ იმასა და შემასმენელს შორის კიდევ იყოს რამე სიტყვა: მაგალ. „ვეფხ.“-ში შეხვდებით:

„მას თურმე წყლული სტკიოდა“,

„თურმე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ ლაფალსა“ და სხ. (გვ. 129, 143); მხოლოდ ორ ადგილას შეხვდით აქ თურმე-ს პირდაპირ შემასმენელის წინ: „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წარხდების“, „ამას თურმე მახარებდა“ (გვ. 93 და 160). — „სიბ.-სიც.“-ში: „ძველთაგან თურმე ნასოფლარი ყოფილიყო“, „თურმე ის უფრო ყრუ იყო“, „ყადი თურმე სიბერით დაყრუებულოყო“ და სხ. (გვ. 28, 31). აქაც ორ ადგილას შეხვდით წინააღმდეგ



წყობილებას: „მას სოფელს ერთი უმეცარი დალაქი თურმე იყო“, „ციხე თურმე შემოეთხარა“ (გვ. 109, 137).

ხალხში მე შენიშნული მაქვს საძნაირი წყობილება **თუტმე**-სთან: აქ ის დაისმის წინადადების თავში, შუაში და ბოლოში; მხოლოდ, როცა შუაში ზის, შემასმენელსა და იმას შორის რამე სიტყვა უნდა იყოს; თუ შედგენილი შემასმენელია, მაშინ **თუტმე** შეიძლება პირდაპირ შემასმენელის წინ დაისვას (მაგალ. ეს ყმაწვილი თურმე ნიჭიერი იყო). მეც ასე მგონია, რომ ეს სამგვარი წყობილება უნდა დარჩეს მწერლობაში.

მოვიყვანოთ მაგალითები:

1. **თურმე** ეს ყმაწვილი სოფელში ცხოვრობს;
2. **მს** ყმაწვილი თურმე სოფელში ცხოვრობს;
3. **მს** ყმაწვილი სოფელში ცხოვრობს თურმე.

როცა შედგენილი შემასმენელია:

1. **თურმე** ეს ყმაწვილი ნიჭიერი იყო;
2. **მს** ყმაწვილი თურმე ნიჭიერი იყო;
3. **მს** ყმაწვილი ნიჭიერი იყო თურმე.

აგრეთვე უადგილო აღაგას იხმარება ხშირათ კავშირი **თუტმა**, — მაგალ.: **ზამეფდა** თუარა **თამარი**, მიყო ხელი სამეფო საქმეებსო, და **სხ. ამ** კავშირს უფრო უხთება ადგილი წინადადების ბოლოში: **ზამეფდა** **თამარი** თუარა (ან: **თამარი** გამეფდა თუარა). მიყო ხელი სამეფო საქმეებს.

### უარყოფითი ფორმები.

უარყოფითი აზრი ძველათ ორგვარათ გამოითქმოდა: უ-ნით და არა-თი (ან ვერ-თი); მაგალითათ, „მეფხ.“-ში ვპოულობთ: „ძოკობი და დაუფრჭკვნელი ვარდი დაგხვდე დაუძკვნანი“ (გვ. 28); „მივალ ან ფიცხელა“ (გ. 119); „მკლავს სურვილი და ვერ-ნახვა ჩემისა სასურველისა“ (გ. 161) და სხ. — უძველეს ქართულ ენაში უარყოფა გამოიხატებოდა აგრეთვე თანდებულობით თვანაერ, — მაგალითათ: „სარწმუნოება თვანაერ საქმეთა მკედარ არს.“

ღღევანდელ მწერლობაში უნდა დარჩეს ნაწილაკები უ და არა აზრის უარყოფითათ გამოსათქმელათ, მაგრამ, ჩემი აზრით, შემდეგი განსხვავებით: უ-ნით გამოხატული უარყოფა ნიშნავს რისამე სრულს, გადაწვევტილ უარყოფას, ხოლო არა-თი გამოხატული — საშვალა უარყოფას; მაგალითათ: უჩვეულებნავა ცხავრება ნიშნავს იმისთანა ცხოვრებას, რომელიც ჩვეულებრივს სრულიად არა გავს, ხოლო ანაჩვეულებნავი ცხავრება — იმისთანას, რომელიც მცირეთ მაინც მოგვაგონებს ჩვეულებრივს; უწესოსაქცაელს იმისთანა მოქმედებას ვუწოდებთ, რომელსაც წესიერების არაფერი ახლავს, ხოლო ანაწესაერსაქცაელს — იმისთანას, რომელსაც მცირეოდენი წესიერება უნდა ახლდეს. — მე მგონია, ამავე აზრით უნდა იყოს ნათქვამი ხალხში: „არცოდნა არ ცოდვაა“, ე. ი. როცა კაცს რისამე სრული ცოდნა არა გაქვს, ეს გარემოება მაინცადამაინც დიდს, მომა-

კვდინებელ ცოდვას არ შეიცავსო. **შცოდნელაბასკე,**  
**უცოდანრობასკე,** ე. ი. **სრულ უვიცობასკე** ხალხი  
ამავე აზრს, რა თქმა უნდა, არ შეადგენდა.

უარყოფა **შ**-ნით უმთავრესათ მიმღეობაში და  
არსებით სახელთაგან ნაწარმოებ ზედსართავეებში გა-  
მოიხატება; მაგალითათ: დაწერილი — **დაუწერელი,**  
დამკენარი — **დაუძკენაა,** ხმიანი — **უხმო,** მამულია-  
ნი — **უძამული,** ბედნიერი — **უბედურა,** ძლიერი —  
**უძლურა,** გონიერი — **უგუნურა** და სხ. — **წმინდა** ზედ-  
სართავ სახელთაგან უარყოფა ან **პრპ**-თი გამოიხა-  
ტება და ან წინააღმდეგი აზრის გამომხატველით,  
მოპირდაპირე სახელით; მაგალითათ: მალალი — **დაბა-**  
**ლა,** მდიდარი — **დაბიბა,** კეთილი — **ბოტოტა,** თფი-  
ლი — **ცაგა,** კარგი — **ცუდა,** კარგათყოფი — **ვანთყოფ-**  
**ფა,** ახალი — **ძველი,** ახალგაზდა — **ხნაქა** და სხ. და  
სხ. **თუ** გვინდა ამ შემთხვევაში, რომ საგნის **საშვა-**  
**ლა** თვასება გამოვხატოთ, და არა უკიდურესი, მა-  
შინ ზედსართავი უნდა ვიხმაროთ **პრპ**-თი, როგორც  
ზევითაც ვსთქვით: **ანაკეთილა,** **ანაბოტოტა,** **ანა-**  
**ხნაქა** და სხ.

ბი კიდევ უარყოფის მაგალითები კითხვაზე **და-**  
**გად:**

**უქულოთ** წავედი, **უფულოთ** დავრჩი, **უეუბნა-**  
**ლებლათ** დასაჯეს, **უშენოთ** არ ვარგვარ და სხ.

ამ სახით, როგორც ზევით მოყვანილი მაგალი-  
თებიდან ჩანს, თითოეული სიტყვის უარყოფითათ  
გამოთქმა ძნელ საქმეს არ შეადგენს. მაგრამ ჩვენს  
ახალ მწერლობაში ხშირათ გვერდს უვლიან იმ შე-

მთხვევებს, როცა რამდენიმე სიტყვა უნდა გამოიხატოს უარყოფითათ. ავილოთ, მაგალითათ, შემდეგი წინადადება:

**მე დიდი შრომით შევასრულე ეს საქმე.**

როგორ უნდა გამოვხატოთ უარყოფითათ გახზული სიტყვები? ამ შემთხვევაში უარყოფა სხვადასხვაგვარათ გამოიხატება: 1. დიდი შრომის **კაჟე** (ე. ი. უარყოფითი სიტყვის ჩამატებით), 2. დიდი შრომის **უძისათ** (სადაც სიტყვა **უძისათ** წარმოადგენს ახლანდელს ხალხურ ფორმას ძველებური **თვანაჟ**-ის მაგიერ), და 3. **უდიდშრომით**.

ძველებური **თვანაჟ**-ის შემოღება, რომელიც ენას დიდი ხანია დაუფიწყებია, ახლა ძნელია, ვერ გავრცელდება; ისევ **უ** უნდა დარჩეს ამ შემთხვევაში უარყოფის გამოსახატავათ, — თუმცა ვფიქრობ, რომ ხალხურმა ფორმამ **უძისათ** მომავალში უნდა გაიკვლიოს გზა, რადგან მისი შემწეობით ადვილათ გამოიხატება ყოველგვარი უარყოფა, — მაგალითათ; **შენა ძაწყადების უძისათ, ქვეყნის ბედნაჟების უძისათ** და სხ. და სხ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ზოგჯერ ჩვენს მწერლობაში ვერ არჩევენ უარყოფითი ნაწილაკების **არ** და **ჰერ**-ის მნიშვნელობას (იხ. ჩემი წიგნი: „ჩემი აზრი და ფიქრები“, გვ. 59—60), თუმცა ძალიან ადვილი გასარჩევია მათ შორის განსხვავება. ავილოთ მაგალითები: **არ ძაგდავან** ნიშნავს, რომ სურვილი არა მაქვს წასვლის, თუმცა შემიძლია წავიდე, ხოლო **ჰერ ძაგდავან** იმას ნიშნავს, რომ წა-

სვლის სურვილი მაქვს, მაგრამ რაიმე გარემოება მაბრკოლებს და არ შემძლია წავიდე.

ბევრი მწერალი დღეს უარყოფით ნაწილაკებ არ, არა, აღარ-თან სვამს ხოლმე ნაცვალსახელს რა-ს, — მაგალითათ: ანაჲს ანა იცადა რა, ანა გაუკეთებია რა, აღანა უქნა რა, ანას ან ელადა, „ანა რა ანს რა“ (ილ. ჭავჭ., ტ. I, გვ. 23) და სხ. ამისთანა გამოთქმა მეტათ უსიამოვნო, უკეთილხმოვანოა; რა-ს მაგიერ უმჯობესია ვინმაროთ ანაფერი: ანაჲს ანაფერი იცადა, ანაფერი გაუკეთებია, აღანაფერი უქნა, ანაფერს ელადა, ანაფერის და სხ. უკეთილხმოვანოა აგრეთვე გამოთქმანი: ვერა კალაძა ვერ ასწერს, ვერა ფრანგული ვერ შეედრება და სხ. შერ-ის მაგიერ სჯობია ვინმაროთ ვერცერთი, ვერაფერი: ვერაფერი კალაძა ვერ ასწერს, ვერცერთი (ვერაფერი) ფრანგული ვერ შეედრება.

### იმიტომ და იმისთვის.

ხშირათ ურევენ ერთმანეთში კავშირებს იმიტომ, ამიტომ, მატომ-სა და იმისთვის, ამისთვის, მისთვის-ს. იმიტომ (ამიტომ, შიტომ) მიზეზის კავშირია, იმისთვის (ამისთვის, მისთვის) კი — მიზნის; მაშასადამე, არ ითქმის, მაგალითათ: „მე ამ კრებას ვერ დავესწრებ, იმისთვის რომ დრო არა მაქვს“; აქ უნდა იმიტომ რომ, რადგან უკანასკნელი წინადადება მიზეზს გვიხატავს.

### სანამ—ძანამ.

ძვეშირების სანამ—ძანამ-ის მაგიერ (აგრეთვე სანამდი—ძანამდი) ხშირათ ხმარობენ მეტათ უკეთილხმოვანოსა და უკანონო ფორმებს სანამ—ძანამ, სანამდა—ძანამდი. ეს კავშირები წარმომდგარია სიტყვებისაგან სად და ძანდ, ასე რომ ს-სა და მ-ს შემდეგ უსათუოთ ხმოვანი ა უნდა იჯდეს.—უკანონოთვე ხმარობენ აგრეთვე ძანამ-ის მაგიერ სანამ-ს, —მაგალითათ: მე უფრო წაგებული დავრჩი, სანამ შენო; სანამ-ის აღვილას აქ უნდა ძანამ (შეიძლება აგრეთვე ვიდრე). აი კანონიერი მაგალითები: სანამ მუშაობას არ გაათავებენ, ძანამ ქირას ვერ მიიღებენ; სანამ პეტრე მოვიდოდა, ძანამ პავლეს ტყავი გააძვრესო \*); ან ასე: ძანამ ვერ მიიღებენ ქირას, სანამ მუშაობას არ გაათავებენ; ძანამ არ მოვიდა პეტრე, სანამ პავლეს ტყავი არ გააძვრეს.

### წამ, და აწა თუ.

ძვეშირ წამ-ის ალაგას ხშირათ თუ-ს ხმარობენ: „თუ სანახევროდ სხვას მისცა, რაღაა გასაყოფელი?“ (რაფ. მრისთვ. „თინიას მაძითადი“); „თუ ბრმა დავხატო, მომკლავს“. მოყვანილ მაგალითებში კავშირი წამ სჯობია: „სანახევროთ წამ სხვას მისცეს, რაღაა გასაყოფელი?“ — „ბრმა წამ დავხატო, მომკლავს“.

\*) ამ შემთხვევაში ძანამ შეიძლება გამოვუშვათ.

## ნანო წერეთელი, თუ ნანო წერეთლის ასული?

ძალის სახელსა და გვარს იმ სახითვე ხმარობენ ახლანდელ მწერლობაში, როგორც ვაჟისას: **ნანო წერეთელი**, მარაჰმ ხერხეულიძე-ო და სხ. შვეცთომბა. **თუ** გაუთხოვარია ქალი, ასე ითქმის: **ნანო წერეთლის ასული**, მარაჰმ ხერხეულიძის ასული და სხ.; და თუ გათხოვილია, მაშინ, მაგალითათ, ასე: **ნანო წერეთლის ასული ანდრეასკაშვილისა**, სადაც აღნიშნულია ქალის მამისაც და ქმრის გვარიც, ან ასე: **ნანო ანდრეასკაშვილისა**, სადაც მარტო ქმრის გვარია აღნიშნული.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ქართულ ენაში ფეხი მოიკიდა სიტყვამ **კნენა**; ეს სიტყვა თავისებურათ მონათლა ჩვენმა ენამ—და სმენისათვის ის საჩოთირო აღარ არის. რაც შეეხება **კნაყნა**-ს, ეს ფორმა ქართულის სმენისთვის ძალიან საჩოთიროა, ჟუმცა ხშირათ ხმარობენ იმას, საუბარშიც და მწერლობაშიც. ამ სიტყვის მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ **თავადის ასული**.

მაგალითები—

ბათხოულისათვის:

1. კნენა მარიამ ამირეჯიბისა.

ძნენა მარიამ შახტანგის ასული ამირეჯიბისა.

ბაუთხოვარისათვის:

2. თავადის ასული მარიამი.

თავადის ამირეჯიბის ასული მარიამი.



თავადის მახტანგ ამირეჯიბის ასული მარიამი.  
მანდილოსანს როცა უწოდებენ, ასე უნდა მი-  
მართონ:

**ქაღბატონო** (კნეინა, თავადის ასულა) **ნინო!**  
მამის სახელის ხმარება ამ შემთხვევაში ქართულ ენას  
არ შეშვენის. მამის სახელი ამისთანა შემთხვევაში  
არც ვაჟზე იხმარება; არამედ უბრალოთ ითქმის,—  
მაგალითათ: **ბატონო ივანე!** და სხ. ძალზე **ბატონა**  
არ ითქმის.

### ქე ვსოვლემ, თუ ქე ძოვლემს?

ამერეთში ხშირათ იხმარება: **ბავშსა სოვლემს,**  
**ბავშს ჩასოვლაძა-ო** და სხ. აღბათ ეს ზმნა მიმოხ-  
რითაც და მართველობითაც მიამზგავსეს ზმნას **ძმა-**  
**ნავს,** რომელიც მიცემითს თხოულობს (**ბავშსა სძა-**  
**ნავს**); მაგრამ **თვლემ** უფრო ხშირათ მიმოიხრის ისე,  
როგორც პირველი მიმოხრის ზმნები: **ვოთოი, ვხვდა-**  
**ნავ** და სხ., ე. ი. **ვსოვლემ, სოვლემ, სოვლემს** და  
სხ., და, მაშასადამე, მართველობითაც ამ ზმნების  
ჯგუფს უნდა ეკუთნოდეს, ე. ი. უნდა ითქვას: **ქე**  
**ვსოვლემ, ბავშა სოვლემს, ბავშმა ჩასოვლაძა** და სხ.  
მეორე მიმოხრის ფორმები: **ქე ძოვლემს, შენ გოვლემს**  
და სხ., ამ სახით, უნდა უარვეყოთ, მაგრამ ფორმა:  
**ქე ქეთვლაძება, შენ გეთვლაძება, მას ეთვლაძება**  
და სხ., რა საკვირველია, შეიძლება ვიხმაროთ, რო-  
გორც ჩვეულებრივი ფორმა (მაგალ. როგორც ვსტი-  
რი, ვიცინი—**ქეტანება, ქეცინება**).

ამერეთში ამბობენ (და იქაური მწერალნიც ხშირათ ხმარობენ) ზმნებთან ძაცხელებს, ძაციებს, ძაყრუოლებს და მზგ. მოთხრ. კილ. ნამყო II-ში დამატებას მიცემითის მაგიერ სახელობით ბრუნვაში, — მაგალ იგანე გააცავა, იგანე გააცხელა-ო და სხ. დამატება სახელობითში საერთოთ იხმარება მხოლოდ პიროვან წინადადებაში, ე. ი. როცა ქვემდებარე ჩანს ან იგულისხმება, — მაგალითათ: ზამთარში გარეთ ყოფნამ იგანე გააცავა. უპიროვნო წინადადებაში კი დამატება მიცემით ბრუნვაში შეშვენის, როგორც ამბობენ იმერეთში: იგანეს შეაცხელა, იგანეს შეაცივა (გააცივა). მნიშვნელობაშიც არის განსხვავება: იგანე გააცავა ნიშნავს ივანე ცივათ გადააქციაო, იგანეს გააცავა კი — იგანეს ციება დაემატა, ე. ი. გამოაჩნდა ციების ნიშნები; სიცივის გრძნობა, კანკალი, მერე სიციხე, თავის ტკივილი და სხვ.

### იმეფა ოც წელს.

ხშირათ იხმარება ძველსა და ახალ მწერლობაში: იმეფა ოცა წელი, დაჩჩა აქ ერთი კვირასო და სხ.; აგრეთვე ხმარობენ: იმეფა ოც წელს, დაჩჩა ერთ კვირასო და სხ. ძითხვაზე „როდის?“ ქართულათ მიცემითი ბრუნვა დაისმის (როდის? — დიღას, სადამოს, შვადლის ხანს, მესამე წელს და სხ.; ამის მზგავსათვე მიცემითი ბრუნვა უფრო შეშვენის ზემორე აღნიშნულის მზგავს გამოთქმებში: იმეფა, დაჩჩა, იანა, იცხოვრანა, იცოცხლან, მეფობდა, ცხოვრობდა და სხ. — ოც წელს, ას წელს, ათ თვეს და სხ. და სხ.

თუთხმეტ შაისს, — ნახევარი სამეფო.

დეკემბრის ნახევარში, აპრილის ნახევარში, შაისას თუთხმეტს, აგვისტოს დამლეგს და სხ., როგორც ხშირათ ხმარობენ ახლანდელ მწერლობაში, მე. მგონათ რუსული ენის გავლენით არის გავრცელებული; წმინდა ხალხურ ენაში ასე ხმარობენ: შუა დეკემბერში, შუა აპრილში, თუთხმეტ შაისს, ოც ივლისს, დამლეგ აგვისტოს და სხ. \*) ამისვე მზგავსათ უმჯობესია ვინმაროთ: ნახევარი სამეფო, ქესამედი ჯამაგინი და სხ. (სამეფოს ნახევარი-სა, ჯამაგინის ქესამედი-სა და სხ. მაგიერ).

### მე ჩემს დღეში.

მე თავის დღეში არ გიღალატებ, შენ თავის დღეში არ მიღალატებ, ის თავის დღეში, ჩვენ თავის დღეში და სხ. არ შეეფერება ქართული ენის ხასიათს. ქართული ენა ამ შემთხვევაში გავს ლათინურს, ბერძნულსა და ფრანგულ ენებს, სადაც თი-

\*) ნახე „ქართლ.-ცხოვრ.“: „თვესა ივლისსა ოცსა“ (I, 86), იქვე I, 189; შახუშტის ისტორია, გამოც. 1885 წ., წინასიტყვ.: „ლამას სიკვდილი იქმნა ანგაჩისა 18“ (გვ. V), „სრულიქმნა შრომა ესე... ოკტომბესსა 20“ (გვ. VII.); იხ. აგრეთვე „Переписка груз. царей съ рос. госуд.“, ქართული ტექსტები, სადაც ნახმარია: „თვესა მაისსა რვასა“, „თვესა ივლისსა, კთ დღესა“ და მრავ. სხ. (გვ. 115, 117, 119, 129, 132, 134, 136 და სხ.).

თოეულ პირში იხმარება იმავე პირის ნაცვალსახელი; მაშასადამე უნდა ვსთქვათ: მე ჩემს დღეში, შენ შენს დღეში, ის თავის დღეში, ჩვენ ჩვენს დღეში და სხ. შეიძლება ყველა პირისათვის საზოგადოთ გამოითქვას აზრი — და მაშინ უნდა სიტყვა აწაოდეს (იხმარება აგრეთვე სიტყვა მიდღეში): მე აწაოდეს (მიდღეში) არ გილაღალღებ, ჩვენ აწაოდეს არ გილაღალღებთ და სხ.

### სავაჟო გიმნაზია და სხვ.

დედათა სასწავლებელი, დედათა მონასტერი და სხ. არ არის რიგიანი გამოთქმა, რადგან სასწავლებელი, მონასტერი და სხ. დედათა სამყოფი აღგილი კი არ არის, არამედ გაუთხოვარი ქალების. ძიდევ ხმარობენ მწერლობაში საქაღებო გიმნაზიაო და სხ., მაგრამ არც საქაღებო ვარგა, რადგან ქართულ ენაში საზოგადო აზრი მრავლობითით კი არა, მხოლოობითი რიცხვით გამოიხატება, — მაგალ. საყმაწვილო წიგნი, საშკოლო საქმე, სამასწავლებლო სემინარია, სასოფლო, საგლეხო, საწინაწყო, სათავაღო, საქვეყნო და სხ. ამ სახით, ზემორეაღნიშნული გამოთქმანი ასე უნდა ვიხმაროთ: საქაღო სასწავლებელი (მონასტერი, გიმნაზია და სხ.), სავაჟო გიმნაზია და სხ.

### ივანეს დაძმისხე.

ზოგჯერ მოწვევის მაგიერ იხმარება სიტყვა დაძმისხე: ხალხის დაძმისხეა მინდა, „ქულზედ კაცი დაუძახე“-ო (ილ. შავჭ., ტ. I გვ. 208) და სხ. დაძმისხეა იმას ქვია, როცა მაღალი ხმით უძახი ვისმე. „ქულზედ კაცი დაუძახე“-ს მაგიერ უნდა ითქვას: ქუდივე გაწი გამოიწვიე (ან გამოიყვანე). — უკანონოთვე იხმარება ამერეთში, მაგალითათ, ივანე დაძმისხე, პეტრე დაძმისხე-ო და სხ. იმ მნიშვნელობით, ვითომ ივანეს აცნობე ჩემთან მოვიდეს; ივანე დაძმისხე იმას ნიშნავს, რომ სახელი ივანე მიწოდეთ. რათქმა უნდა, უფრო კანონიერია იმერული გამოთქმა: ივანეს დაძმისხე, რადგან ზმნა გუძმისა მიცემით ბრუნვას თხოულობს: მე ვუძახი, ვუძახოდი, დავუძახე ივანეს.

### ვილტვი, — გელტვი.

ხშირათ უადგილოთ ხმარობენ ფორმებს ვილტვი და გელტვი. ამათი აზრი სხვადასხვაა: ვილტვი ნიშნავს გაგუბნი რასმე, ვშოტდები; გელტვი კი — ვესწრაფები, ვუახლოვდები, ვეტანები. ხალხი ამბობს: „ამ ადგილს თევზი ელტვის, ყურდგელი ელტვისო“, ე. ი. ამ ადგილს ეტანება, ჩვევიაო. უკანონოთ არის ნახმარი ნ. ბარათაშვილის ლექსში („სულიობოლი“): „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“-ო;

პოეტს უნდა ეთქვას, ვითრმ ობოლ სულის გაურბიან, ობოლ სულს არ ეკარებიან სიამენი სოფლისაო, და ამგვარი გამოთქმით კი ის აზრი გამოდის, თითქო ობოლ სულს ეტანებიან, ჩვევიან სიამენი სოფლისაო.

### ხალს ვაჭრობს.

ხილათ ვაჭრობს, ფართლით ვაჭრობდა, დათვსე ნადირობს, ყურდგელსე ნადირობა და სხ. რუსული ენის გავლენით შემოუღიათ; ქართულათ უნდა ითქვას (წმინდა ხალხურ ენაში ყოველთვის ასე ხმარობენ): ხალს ვაჭრობს, ფართლს ვაჭრობდა, ხილის ვაჭარა, ფართლის ვაჭარა, დათვს ნადირობს, ყურდგელის ნადირობა და სხ.

### ბედის კმაყოფილი, — გალახვას ეძუქება და სხ.

ბრიგოლ მრბელიანს ლექსში „საღამო გამო-სალმებისა“ ნახმარი აქვს გამოთქმა: ღრუბელნი „ქვეყანას წაღვანათა ემუქრებიან“-ო. ზმნა ვეძუქება ქართულათ ორ მიცემათს თხოულობს: ივანე პეტრეს გალახვას ეძუქება და სხ.; მოქმედებითი ბრუნვა ამ შემთხვევაში რუსული ენის გავლენით არის ნახმარი, ხალხის ენაში კი ვერსად გაიგონებთ. — რუსულის გავლენითვე შემოუტანიათ გამოთქმანი: ცხოვრებით კმაყოფილი, ბედით კმაყოფილი და სხ.; სიტყვა კმაყოფილი, სიტყვების ძაღვობელი-ს,

ძადლიერი-ს, უძადური-ს, ძოდდურაგი-ს და სხ. მზგავ-  
სათვე, თხოულობს ნათესაობით ბრუნვას: ცხოვრე-  
ბის კმაყოფილი, ბუდის კმაყოფილი და სხ. (მო-  
ქმედებითს თხოულობს ზმნა: კმაყოფილდება, დაკმა-  
ყოფილდა ამ ცხოვრებით და სხ.); ნაცვალსახელე-  
ბისგან კი თხოულობს ნათეს. ბრუნვის მაგიერ კუთ-  
ნილებით ნაცვალსახელს სახელობით ბრუნვაში: შე-  
ნი კმაყოფილი და სხ. — შიციემითს თხოულობს აგრეთ-  
ვე ზმნა ვაქადი: ეს კაცი ერთობ იქადის თავის ჭკუასა  
და გამოცოთილებას.

მე რამ შენ ვაყო.

მე რამ შენი ვაყო, ჩვენ რამ თქვენა ვაყოთ-  
და სხ. არ არის აზრის შესაფერი გამოთქმა; მე რამ  
შენი ვაყო ნიშნავს: მე რამ შენ გეკუთნოდეო.  
იმერული გამოთქმა, მე რამ შენ ვაყო, უფრო კა-  
ნონიერი, რადგან აქ კითხვა უნდა: ვან ვაყო? და  
ამ კითხვაზე სახელობითი ბრუნვა უნდა დაისვას. თუ  
არ შეიძლება ვსთქვათ, მაგალითათ, შენ რამ ამ  
ვაჭრისა იყო (ყოველგან ამბობენ: შენ რამ ეს ვა-  
ჭარი იყო), არც მე რამ შენა ვაყო ითქმის. შეიძ-  
ლება ზემოხსენებული გამოთქმანი ასეც გამოვხა-  
ტოთ: მე შენს ალაგას, ჩვენ თქვენს ალაგას და სხ.



ტანსუე ჩაიწვა, — ნავახშმეკს და სხ.

ამერეთში ამბობენ და მწერლობაშიც უფრო ხშირათ ასე ხმარობენ: ტანთ ჩაიწვა, ფეხთ ჩაიწვა, ტანთ გაიხადა, ფეხთ გაიხადა, ფეხთ დაიხანა-ო და სხ. ზევეთაც ვსთქვი, რომ ქართული ენის ხასიათს არ შეშვენის საზოგადო აზრის მრავლობით რიცხვით გამოხატვა (გვ. 154), ასე რომ, ჩემი აზრით, სჯობია ზემოხსენებული გამოთქმანი იმ სახით ვიხმაროთ, როგორც იმერეთში ამბობენ: ტანსუე ჩაიწვა, ფეხსუე ჩაიწვა, ტანსუე (ფეხსუე) გაიხადა, ფეხი დაიხანა. — ამავე საფუძვლებით, თვალთ დაუბნელდა, მუსლთ მოაკეცა, ვახშაშთ უკან, სადალთ უკან და სხ. გამოითქმების მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ: თვალი დაუბნელდა, მუსლი მოაკეცა, ვახშაშს უკან, სადალს უკან (ან ნავახშმეკს, ნასადილეკს, ვახშაშს შექდეგ და სხ.).

ბიარჯა შეევანებულა, — ბიარჯის უევანს.

რუსული ენის გავლენით შემოუღიათ გამოთქმანი: ბიარჯა შეევანებულა ნინოსუ-ო და სხ. ქართული ენის ხასიათი მოითხოვს, რომ ამისთანა გამოთქმა გამოიხატოს მოქმედებითი გვარის ზმნით: ბიარჯის უევანს ნინო, ნინოს ბიარჯი უევანს და სხ. (შეადარე ეტიმოლ., გვ. 82—83).

### ეს თუ ას.

რუსული ენის გავლენითვე ხშირათ იხმარებიან ახალ მწერლობაში გამოთქმანი: ეს თუ ას, აძა თუ იმ და სხვ., მაგალით.: ეს თუ ას კითხვა, აძა თუ იმ საქმის შესახებ და სხვ. ქართული სმენისათვის ამისთანა გამოთქმა უსიამოვნოა—და სჯობია სხვაგვარათ გამოვსტქვათ, მაგალ. ასე: **რამქელიძე** (ან **რამიძე**) კითხვა, **რამქელიძე** ან **რამიძე** კითხვის შესახებ და სხვ.

### სხვაზე გაყიდვა და სხ.

ახლანდელ მწერლობაში იხმარებიან ხშირათ გამოთქმანი: **სხვაზე გაყიდვა** (გაცემა, გადაცემა, მიცემა) და სხ., **განჯარი ქალზე ყიდის** სხვადასხვა საქონელსო და სხ. ამისთანა შემთხვევებში თანდებული **ზე** ქართული ენის ხასიათს არ შეეფერება; აქ ზოგან უნდა ვიხმაროთ თანდებული **თვის**, ზოგან ნათესაობითი ბრუნვა უთანდებულოთ: **სხვისთვის გადაცემა** (მიცემა, გაცემა), **სხვისთვის მიყიდვა**. ხალხი ამბობს: **ანტონის მიცემას**—ივანესთვის მიგეცა, უფრო მაღლს იზამდიო და სხ.—ძველ. მწერლობაში „სიბ.-სიც.“ წიგნში შევხვდით ერთ ალაგას თანდებულ **ზე**-ს: „**განჯა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა**“ (გვ. 2); მაგრამ გამოთქმა **გლახაკებზე განჯა** მე მგონია მეტათ საჩოთიროა ქართული სმენისათვის,

და ყოველთვის შესაძლებელია ამისთანა გამოთქმას გვერდი ავუაროთ და ვსთქვათ, მაგალითათ, ასე: მე-ფემ მრავალი განძი დაურჩია გლახაკებს, უბოძა გლახაკებს-ო და სხ. და სხ. — შემოხსენებული გამოთქმა: გაჭარი ქალზე ვიდის საქონელს, შეიძლება ასე გამოვსთქვათ: გაჭარი ქალს ფასათ აძლევს საქონელს, ან ქალი გაჭრისაგან ვიდულობს საქონელს და სხ.; გაჭარი ქალზე ვიდის საქონელს კი ქართული ენის ხასიათით იმას ნიშნავს, რომ ვაჭარი საქონელს აძლევს და სამაგიეროთ მას ქალს აძლევენო, როგორც, მაგალითათ, ვიტყვი: ივანე თევზზე ვიდის ბამბას, ე. ი. ბამბას აძლევს თევზის სამაგიეროთ.

### თფილისში, — თფილისს, — შინ.

ძველ ენაში კითხვაზე სად ქვეყნების, ქალაქებისა და სოფლების სახელები დაისმოდა თანდებულობით შიგან (შინა), ან პირდაპირ უთანდებულობით მიცემით ბრუნვაში; კითხვაზე საით კი — ყოველთვის წმინდა მიცემითი ბრუნვა, — მაგალ. მანავს ძივიდა, დაწეს მანავშიგან, ჭოისტანს გჯედ, („მისრ.“, გვ. 113, 190, 395 და სხ.), იყო ანაბეთს როსტევან („ვეფხ.“, გვ. 8).

ახალ მწერლობაში ორივე შემთხვევაში უმეტეს ნაწილათ იხმარება თანდებული ში: თფილისში წავიდა, თფილისში ცხოვრობს და სხ., თუმცა ზოგჯერ პირდაპირ მიცემითსაც ხმარობენ უთანდე-

ბულოთ; ხალხშიც იმ სახითვე იხმარება, როგორც ახალ მწერლობაში. ჩემი აზრით, ჩვენს ენას უფრო შეშვენის შემდეგი კანონით ხელმძღვანელობა: როცა მდებარეობა იხატება (კითხვაზე **სად**), თანდებული **ში** ვიხმაროთ, და თუ მიმართულება (კითხვაზე **საით**)—მაშინ უთანდებულო მიცემითი ბრუნვა;—მაგალითათ: **თფილისს** მიგდავან, **საფრანგეთს** გაემკვსავან, **თფილისში** ვცხოვრობ, **საფრანგეთში** ვიყავი. — უკანონოთ იხმარება ახალ მწერლობაში: **სახლში** ვიყავი, **სახლში** მივდივარო და სხ.; ზმნისართია **შან**, და არა **სახლში**, ასე რომ უნდა ითქვას: **შან** მივდივარ, **შინ** ვიყავი და სხ. ზმნისართათ **სახლში** ძველ მწერლობაში არსად არ იხმარება, არამედ ყოველგან **შინ**.—**სახლში** მაშინ ითქმის, როცა უნდათ აღნიშნონ, რომ ვინმე შიგნით სახლში შედის ან იმყოფება: **კაცი სახლში** შედის, **სახლში** ცხოვრობს და სხ.

### ჭიქები დაიმტვრას და სხ.

ზოგიერთი ზმნები რიცხვის მიხედვით ძირსაცვლის; მაგალითათ, ერთ ჭიქაზე ითქმის **გასტყფანო**, მრავალზე კი—**დაიმტვრანო**; აგრეთვე: **კაცი მოკვდა**—**ხალხი დაიხოცა**, **კაცი მოკვდეს**—**კაცები (ხალხი, ჯარი) დახოცეს**, **ბავში დაჯდა**—**ბავშვები დასხდენ**, **ქუდი გდია**, **ეგდო**—**ქუდები ერია**, **ეყარა**, **ქვა ქვეს**—**ქვები აწყვია**, **სხალს აბია** (ერთი

კაკალი) — სხალს ასხია (ბევრი), ბია ჩამოვანდა —  
ბიები ჩამოცვინდა და სხ. (იხ. „ღედა-ენა“, 1899 წ.,  
გვ. 124).

### წავა, ქეძანც, ქე.

მს ნაწილაკები იმერეთში იხმარება ხალხში, და  
მწერლობაში კი ჯერ არავის უხმარია (იხ. „ჩემი  
აზრი და ფიქრები“, წიგნი პირველი, 1901 წ., გვ. 8).  
ჩემი აზრით, საჭიროა შევიტანოთ მწერლობაში ყვე-  
ლა ეს ნაწილაკი, რადგან თითოეული მათგანი მოკ-  
ლეთ ხატავს განსაკუთრებულ აზრს, ხშირათ მთელ  
წინადადებას. მაგალითათ: წავა ჭკვიანურს ლაპარა-  
კობდე, ამდენს რათ ლაპარაკობ? მს ნიშნავს: „ჭკვი-  
ანურს რომ ლაპარაკობდე, კიდევ არა უშავს (ან:  
ყველამ ვიცით, რომ ჭკვიანურს არ ლაპარაკობ) — და  
ამდენს რა გალაპარაკებს?“

„ამდენი დავხარჯე შენი გულისათვის, და ქე-  
ძანც მადლობა მითხარია“, ამბობენ იმერეთში.  
ამერეთში ასე იტყვიან: „ამდენი დავხარჯე შენი  
გულისთვის, და მადლობა ძანც მითხარია.“ — ძანც  
კიდევ ნიშნავს ყოველ შემთხვევაში (მაგალ. შენ  
ძანც შენსას გაიძახი), და ქეძანც-ის მნიშვნელობა  
მაშინ ეძლევა მას, როცა განსაკუთრებული ადგილი  
უჭირავს წინადადებაში (უმეტეს ნაწილათ ამ შე-  
მთხვევაში პირდაპირ შემასმენელის წინ დაისმის);  
ქეძანც კი შეიძლება წინადადების თავშიც და-

ვსვათ, შუაშიც და ბოლოშიც; ამასთან ქეძანც-ს ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთი მნიშვნელობით იხმარება.—

„მრთათერთი იმედი მქონდა ცხოვრებაში—და ისიც ქე მოძისპეტ?“—ქე მოძისპეტ ნიშნავს: ისე მომისპეტ, რომ აღარაფერი ეშველება, საბოლოოთ, გადაწყვეტილათ მომისპეტო. — ძიდევ მაგალითი: „სთხოვე კი ვისმე ეს საქმე?—ქე ვსთხოვე, მაგრამ არავინ შეისმინა“,—ე. ი. წა თქმა უნდა, წასაკვირველია, ბეჯითათ ვსთხოვე და სხ. ქე-ს მაგიერ შეიძლება კი ვიხმაროთ ამ შემთხვევაში, მაგრამ კი ვსთხოვე ისე მტკიცეთ ვერ ხატავს მოქმედებას, როგორც ქე ვსთხოვე\*).

### სსვადსსვა უკანონო გამოთქმა.

ხმარობენ;

უნდა ვიხმაროთ:

- |  |   |
|--|---|
| 1. რა ღირს? რა დაჯდა?<br>—ერთი აბაზი, ერთი<br>მანეთი . . . . . | როგორ ღირს? როგორ<br>დაჯდა?—ერთ აბაზათ,<br>ერთ მანეთათ ღირს,<br>დაჯდა და სხვ. |
| 2. ბასტანს, გასტანა .  | ბაგძელდება, გაგძელდა<br>და სხ.  |

\*) ნახ. აგრეთვე ჩემი „ლექსები“ (გვ. 42): „თუ გამოჩნდა ერთი-ორი, ქე დაუსმეთ მათაც პირი?“ ეს ლექსი პირველათ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1885 წელში და რედაქციამ ძე ვადამისწორა ხრამ-ათ—და ლექსში ამით სრულიად სხვა აზრი იხატებოდა, და არა ის, რომელიც მე მქონდა განზრახული.

3. ზააგძელე, მან გააგძელა . . . . . ზანაგრძე, მან განაგრძო.
4. ღამოკიდებულია ჩემგან . . . . . ღამოკიდებულია ჩემზე, ჩვენზე, კაცზე და სხ.
5. დანაშაული ვარ , . . . . დამნაშავე ვარ, დანაშაული მაქვს (მიმიძღვის).
6. შეინს დაუმარცხდა, მეფეს გაუმარჯვდა, ყველას გაუოცდა . . . . . შეინი დამარცხდა (ან ყეინი დაამარცხეს), მეფემ გაიმარჯვა, ყველა გაოცდა.
7. ზაჩერდენ სასტუმროში . . . . . ჩამოხტენ სასტუმროში.
8. ღაიჭირეს ბინა (ეტლი და სხ.) . . . . . ღაიჭირავეს ბინა (ეტლი, მუშა).
9. უფროს ერთი . . . . . უმეტესი ნაწილი
10. ღმერთი აღარა გაქვს? . . . . . ღმერთი აღარა გყავს?
11. რომდენი საათია . . . . . რომელი საათია?  
საათის ორია . . . . . ორი საათია.
12. ცეცხლის შეკეთება, ცეცხლი შეუკეთე! . . . . . ცეცხლის შერთვა,  
ცეცხლს შეურთე!
13. ცეცხლა პირას . . . . . ცეცხლის პირას.
14. ზზა გვიყავით . . . . . ზზა გვიტიეთ, გზა მოგვეცით.
15. იმისთანად, ამისთანად . . . . . ისე, ასე, იმნაირათ, ამნაირათ.
16. საჩქაროზედ . . . . . საჩქაროთ.



17. ავსებით სავსე\*) . ბაჭელილი, გატენილი, მთლიან სავსე და სხ.
18. შული მიჭირს\*\*\*) . შული მიჭირდება, მიჭირია.
19. შურთამდე, ფეხთამდე . შურებამდე, ფეხებამდე (უმჯობესია მხოლოდ-ბითათ: ყურამდე, ფეხამდე).
20. შიწვნიე, იწვნია ლ სხ. შიგემე, იგემა და სხ.
21. რუსების ჯარი, სომხების ახალგაზღობა . რუსის ჯარი, სომხის ახალგაზღობა.
- ირმების ჯოგი, ცხვრების ფარა . . . . . ირმის ჯოგი, ცხვრის ფარა.
22. ნავნები ქნა . . . . . ვნება მოიტანა.
23. ბევრით ნაკლები . . . . . ბევრათ ნაკლები.
24. შეხით მივდივარ . . . . . შევეითათ მივდივარ.
25. შევადარეთ ერთმანეთთან . . . . . შევადარეთ ერთმანეთს.
26. თავი არ მომიკვდება . . . . . თავი ნუ მომიკვდება, თავი არ მომიკვდეს.
27. ძვალს არ ამჩნევს . . . . . ძვალს არ აჩენს.
28. ამკვირია, იმკვირია . . . . . ამ კვირაში, იმ კვირაში (გადაღმა კვირაში).

\*) რუსული გამოთქმა.

\*\*) მიჭირს ნიშნავს შექნა, მაგალ. ამ საქმის გაკეთება მიჭირს, გამიჭირდა და სხ.

29. ბალოსანი, ბალოსნობა . . . . . მებაღე, მებაღობა.  
ნაოსანი, ნაოსნობა . . . . . მენავე, მენავობა.
30. ამ მოსწავლეს სულ ოთხი ეჯგს, კარგი ნიშნები ეჯგს . . . . . ამ მოსწავლეს სულ ოთხი ეჯგს, კარგი ნიშნები ეჯგს.

### უცხო სიტყვების შემოტანა.

ქართველ ხალხს ბევრ უცხო ხალხთან ქონია ხანგრძლივი დამოკიდებულება, ბევრ უცხო ტომს უცხოვრია საქართველოს საზღვრებში—ზოგს როგორც დამპყრობელს, ზოგს როგორც შემოხიზნულს.—და ამიტომაც ქართულ ენაში ძველი დროიდანვე ბევრი უცხო სიტყვა შემოსულა. წერაკითხვის უცოდინარი და გონებით განუვითარებელი ხალხი ადვილათ ითვისებს უცხო ტომის სიტყვებს, განსაკუთრებით ტენნიკურ სახელებს, რომელიც კი რაიმე მიზეზით ხშირათ ესმის ცხოვრებაში. ღლესაც თვალწინ გვიდგას ხალხის ამგვარი ჩვეულება,—ის ამბობს: *ააძა, სტოღბა, სჯაია, კანაჯა, დანაზადება, უგლანჯაში, ზნაძათა* და მრავ. სხ., თუმცა ყველა ამ სიტყვის მაგიერი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ყოფილა და არის ჩვენს ენაში.

ამ შემთხვევაში ენის სიწმინდის დაცვა მწერლობის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს. ძვე-

ლათ, როგორცა ჩანს, მაინცადამაინც დიდათ გამსჭვალული არ ყოფილა ჩვენი მწერლობა უცხო ენების გავლენისაგან ქართულის დაცვის სურვილით— და ამიტომაც ძალიან ბევრი უცხო სიტყვა შემოსულა ქართულ ენაში ისე, რომ მათ მაგიერი წმინდა ქართული ძირის სიტყვები დაკარგულა, ჯაფიწყებულა. ღღევანდელი ჩვენი მწერლობა უფრო ფრთხილათ იქცევა, მაგრამ ეს სიფრთხილემ მას ატყვია მხოლოდ თითოეული სიტყვების, სახელების ხმარებაში; რაც შეეხება სხვადასხვა გამოთქმასა და კონსტრუქციას, ამ მხრით ახალ ქართულს ხშირათ ეტყობა რუსული ენის გავლენა (ზოგიერთი მათგანი ნაჩვენები მაქვს ზევით, სხვადასხვა ადგილას, ამ ჩემს შრომაში).

ამ სახით, რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანით ჩვენი ენა არ დავამახინჯოთ. მაგრამ აქაც უკიდურესობა არ ვარგა. შეუძლებელია, რომელმე ენაში უცხო სიტყვა არ შევიდეს, მაგრამ ეს სიტყვა უთუოთ იმისთანა ტექნიკური, განსაკუთრებული მნიშვნელობის მექანი უნდა იყოს, რომლის მზგავსიც ამ ენაში არაოდეს არ ყოფილა. ამისთანა სიტყვების კატეგორიას ეკუთნის, მაგალითათ, რუსული სიტყვა „სამოვარი“. ზოგიერთებმა სცადეს ამ სიტყვის გადათარგმნა— და „თვითმადულებელი“ უწოდეს მას ქართულათ, მაგრამ თარგმანმა ფეხი ვერ მოიღვა, და ჩემი აზრით, არც არაფერი ცოდვაა, ამისთანა უცხო სახელები რომ შემოვიდეს ენაში. ურანგულ

ენაშიც კი იხმარება ეს სიტყვა რუსული გამოთქმით, ფრანგები ხმარობენ რუსულ სიტყვებს „ცარ“, „ცარევიჩ“ და სხვ., რუსულ მწერლობაში ხშირათ იხმარება ქართული სიტყვები: „ბატონიშვილი“, „მევე“ (მეფე), „ახნაურ“ (ახნაური), „თავად“ (თავადი), „ღზელკვა“, (ძელქვა), „ტხემალი“ (ტყემალი), „მცირი“ (მწირი) და სხვ.

ცოდვა ის კი არ არის, რომ „სამოვარი“ და ამის მზგავსი სიტყვები შემოვიდეს ჩვენს ენაში, — ჩემი აზრით, დიდი ცოდვა და დიდი შეცთომა ის არის, რომ ქართული სამწერლო ენა ავაქრელოთ პროვინციალური ფორმებით, როცა ეს საჭირო არ არის, როცა ჩვენს ენას აქვს შემუშავებული, საერთო სახმარი განვითარებული ფორმები. მაგალითათ, ხშირათ შეხვდებით ჩვენი დროის ზოგიერთი მგოსნების ნაწერებში: **სანჯაბა** (ხანჯალი), **მიწოვანა** (მიწოვია), **აუნთაგ** (აუნთია), **დაუკლანა** (დაუკლანა), **დგან** (სდგას), **ქალაუ** (ქალი), **წაიდეგათ**, **ძაიდეგათ** (წაიღეთ, მოიტანეთ) და სხ. და სხ.; და ამ შემთხვევაში მგოსნებსა და მწერალთ იმდენი დანაშაული არ მიუძღვისთ, რამდენიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და ესტეტიკური გრძნობის უქონელ ჩვენს კრიტიკოსებს, რომელნიც უბეჭდვენ და უწონებენ ამგვარ ენას. წინასიტყვაობაში ნათქვამი მაქვს, რომ სამწერლო ენა ყოველ კუთხეში უნდა პოულობდეს თავის საზღოს, ყოველი კუთხიდან უნდა ივსებოდეს, როგორც დედა-მდინარე ივსება და იზღება სხვადასხვა კუთხის ნაკადულებით; სამწერლო ენა დედა-მდინარეს მხო-

ლოდ იმით არა გავს, რომ მდინარეში ყოველგვარი ნაკადული ერთვის — ავი და კარგი, ღვრია და ანკარა, — ენაში კი უსათუოთ უსაჭიროესი სიტყვები და ხალასი, დაწმენდილი ფორმები უნდა შეიტანონ. —

ხალხური ენის ფორმები მხოლოდ მაშინ იხმარება მწერლობაში, როცა მწერალი პირდაპირ ხალხის ტიპს ალაპარაკებს; წმინდა ლიტერატურულ ენაში კი, როცა მწერალი თავისი საკუთარი ენით გამოგვეცემს აშბავს, ლიტერატურული ენის საწინააღმდეგო ფორმების ხმარება, როგორც განსაკუთრებით შესამჩნევათ ფშაველი მგოხსენები ხმარობენ, — დიდი შეცდომაა.

### საუბრისა და კითხვის კილო.

როგორც ვიცით, საქართველოს ყოველ კუთხეში განსაკუთრებული კილო არსებობს გამოთქმაში: გურული სისწრაფითა და ენის მოქცევით ლაპარაკობს, იმერელი — მიხვეულ-მოხვეულათ, ენის გრეხით, ქართლელი და კახელი — სიტყვის გამოძნელებით, შიძიმეთ, გაპტყელებით. სალიტერატურო ენას საუბარში, გინდ კითხვაში, არცერთი ეს კილო არ შეეშენის: მოსაუბრე, გინდ მკითხველი, სიტყვებს არ უნდა გამოსთქვამდეს არც გაზვიადებულათ, არც ენის მოქცევითა და გრეხით, — მისი გამოთქმის კილო უნდა იყოს სწორი, გადაჭრილი, მოშორებული ყოველგვარს განსხვავებულ ხასიათს; ეს გამოთქმა ყვე-

ლასთვის ერთნაირი უნდა იყოს, — როგორც ქართ-  
ლელის, ისე იმერლის, გურულისა და სხვებისათვის.  
ჭითხვასა და საუბარში აუცილებლათ საჭიროა გა-  
მოთქმაში სხვადასხვაობა, მრავალფეროვნება, — მაგ-  
რამ ეს სხვადასხვაობა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ  
გრძნობიერი ადგილების განსხვავებულათ გამოხატ-  
ვას, აზრის მიხედვით ხმის აწევ-დაწევას — ხან ამალ-  
ლებას, ხან დაშვებას. —

ქართული ენის ზოგიერთი მასწავლებელი ხელ-  
შეშლვანელობს მით, რომ ძველათ განსხვავებული კი-  
ლოთი კითხულობდენ, სიმღერის ხმით (განსაკუთ-  
რებით ლექსებს) — და აკითხებენ მოსწავლეებს რაღაც  
არაჩვეულებრივი კილოთი, რომელიც არც სიმღე-  
რას გაგს, არც ლაპარაკს, არც ძველებურს და არც  
ახლანდელს. ცხოვრება იცვლება, იცვლება ხალხის ზნე  
და ხასიათი — და ბევრი ძველი ჩვეულება დღევანდელი  
ადამიანის გრძნობისა და სმენისათვის მეტათ საჩო-  
თიროა. თუმცა ეკლესიას შეშვენის ძველებური ენა  
და გალობის ხმაზე სახარების კითხვა, მაგრამ ახლა  
ცხოვრებაში იმ ენით ლაპარაკი და სახარების კი-  
ლოზე წიგნების კითხვა არავისთვის სასიამოვნო არ  
იქნება.

### „ლიცენცია ჰოეტიკა.“

მოშიარეებს ძველი დროიდანვე ერთი ზნე შე-  
ჩვევით და დღესაც მტკიცეთ იცვენ მას: ისინი  
ხშირად თავისუფლათ ხმარობენ ლექსთწყობისა თუ

რითმებისათვის იმისთანა ფორმებს, რომელიც პროზაში არ შეიძლება ვიხმაროთ. პოეტების ამგვარ ჩვეულებას ეწოდება „ლიცენცია პოეტიკა“, ე. ი. ჰოეტურა უფლება.

შოთა რუსთაველი ხშირათ სარგებლობს ამგვარი უფლებით; მაგალითათ:

„ზაჭზაენა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,  
შბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე“.

„სთქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს  
აღრე...

ჭხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიძს  
წესადრე“.

პი კიდევ მაგალითები:

„მასთფესტ გეტყვი ძმას“...

„ან შენ მაშინ რა იცოდი,

ან შენმ გაჟმა რა იცოდა“ და სხ. (ილ. ჭავჭ.).

თუმცა პოეტებს ეს უფლება ათასწლოებით აქვთ აღბეჭდილი და დამტკიცებული, მაგრამ მე მგონია უმჯობესი იქნება ენისთვისაც და ლექსის სილამაზისთვისაც, რომ რაც შეიძლება იშვიათათ ისარგებლონ ამ უფლებით: უკანონო ფორმები როგორც პროზაში, ისე არც ლექსებში არაოდეს არ იქნება სასიამოვნო განვითარებული სმენისათვის.

ლექსთაწყობის გაადვილებისათვის, ჩემი აზრით, შეიძლება, ენის დაუმახინჯებლათ, გვერდი აუარონ პროზის ენის კანონებს შემდეგ შემთხვევებში:

1. ლექსის საჭიროებისადაგვარათ იხმარონ სრული, გინდ მოკლე დაბოლოება ბრუნვებში (ბავშისა—



ბავშის, ბავშითა— ბავშით და სხ.), აგრეთვე თანხმობანზე დაბოლოებულ ზმნისართებში (შინ— შინა, წინ— წინა, გარეთ— გარეთა, ქვეით— ქვეითა, ძირს— ძირსა და სხვ.); **ი**-ზე დაბოლოებული ზედსართავებიც შეიძლება შემოკლდეს ბრუნვებში: კეთილ გულის, კეთილ გულით;

2. მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრის გინდ წინ დასვან, გინდ უკან, როგორც ლექსისთვის ემჟობინება (ლეკვი ლომისა— ლომის ლეკვი);

3. „მოყვანილ სიტყვებში“, თუ ლექსთაწყობა მოითხოვს, ნაწილაკები მუთქა, თქო, ო გამოუშვან, პირდაპირი საუბრით გამოსთქვან აზრი;

4. წოდებით ბრუნვაში იხმარონ დაბოლოებათ **მ**-ც, როცა ამას ლექსის ზომა მოითხოვს (**ა**-სა, **მ**-სა, **მ**-სა და **შ**-ზე დაბოლოებულ სახელებში);

5. მნებით ბრუნვაში იხმარონ დაბოლოება **დ**-ც, თუ წინა რითმა თხოულობს ამას;

6. პრ გამოაკლონ ბრუნვებში ხმოვანები **ა**, **ე**, **ო** შესამოკლებელ სახელებში (იხ. გვ. 12—15), მაგალ. იხმარონ წყაღასა გინდ წყლისა, წყაღათა — წყლითა.

რაკი ლექსებზე გვაქვს ლაპარაკი, საჭიროა ორი-ოდე სიტყვა ლექსთაწყობის შესახებაც ვსთქვათ. ჩვენნი მოშიარეები ზოგჯერ უკანონოთ აწყობენ ლექსებს, განსაკუთრებით ესრეთწოდებულ „შიარში“. „შიარი“ ორგვარია: ძაღაღა და ღაბაღა. ორივე გვარი შიარის თითოეული ტაეპი ცეზურებით გაიყოფება ოთხ ნაწევრათ; მაღალ შიარში ოთხივე ნა-

წევარი ერთი ზომისაა, ოთხ-ოთხი მარცვლისგან შე-  
მდგარი, — მაგალითათ:

„ნახეს უცხო || მოყმე ვინმე || ჯდა მტირალი || წყლისა  
პირსა“.

ამის მუსიკალური ნიშნებია:

ა — აა || ა — აა || ა — აა || ა — აა.

დაბალ შაინში პირველი და მესამე ნაწევარი  
ხუთ-ხუთი მარცვლისაგან შესდგება, მეორე და მე-  
ოთხე კი — სამ-სამისაგან, — მაგალ.:

„იყო არაბეთს || როსტევან ||, მეფე ლვთისაგან || სვიანი.

ამის მუსიკალური ნიშნები:

აა — აა || — აა || აა — აა || — აა \*).

შოთა რუსთაველს ორივე შაირი აქვს ნახმარი  
თავის პოემაში, მაგრამ ისე, რომ თითოეულ ხანაში  
ორივე გვარი შაირის წყობა არ შეგხედებათ, — ან  
მთელათ ძაღაღია, ან მთელათ დაბაღი. ჩვენი დრო-  
ის მოშაირეებს კი ხშირათ აქვთ არეული ზომა და  
ერთ ხანაშივე ზოგი ტაეპი. (ლექსის სტრიქონი) მა-  
ღალია, ზოგი დაბალი.

მოვიყვანოთ მაგალითი:

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა, —

ხალხი გაირღვა შუაზედ:

ორს მარჯვე ბიჭს ბერიკაცი

მოჰყავთ მის წინ მოედანზედ“.

აქ მეორე ტაეპი დაბალი შაირია, დანარჩენი კი  
მაღალი, — რაიცა სმენისათვის არ არის სასიამოვნო.

\*) იხ. ამ საგნის შესახებ ჩემი წერილი „ძვალში“ (1894 წ.,  
№ 19).

მრივე გვარი შაირი (მაღალიც და დაბალიც) მხოლოდ პოემებს შეშვენის, — იქ შეიძლება ზოგი ხანა დაბალი შაირი იყოს და ზოგი მაღალი, როგორც მაგალ. დაწყობილია „მეფისტყაოსანი“; პატარა ლექსებს კი არ შეშვენის სხვადასხვა ზომა: ისინი ან მთელათ მაღალი შაირით უნდა იყონ დაწყობილი და ან მთელათ დაბალი შაირით.

ლექსებში უნდა ერიდონ აგრეთვე ბოლოში უთავბოლოთ ა-ნის მიმატებას, როცა იმას ბრუნვა სრულიადაც არ მოითხოვს, — მაგალითათ:

„მეფისა იყო ის ცხენი,  
თამამი, თითქო ვეფხვავა;  
იმის უზანგში მეფის მეტს  
ვერვის შეედგა ფეხსა“.

ბახაზულ სიტყვებში ბოლოში ა-სრულიად შეუფერებელია, მხოლოდ მარცვლის მისამატებლათ მიკერებული. — ასე უადგილოთ ხშირათ არის ა მიმატებული ხალხურ ლექსებშიც, ხშირათ ხმარობს ამისთანა ლექსს რუსთაველიც; მაგრამ ამგვარი ლექსები მეტათ უსიამოვნო მოსასმენია — და ეს ჩვეულება უნდა მოისპოს ჩვენს ლექსთაწყობაში. ა შეიძლება მიემატოს სახელებს, ლექსის დაუმახინჯებლათ, ყველა ბრუნვაში, სახელობითს გარდა.

ზმნებშიც ხშირათ უმატებენ ბოლოში ა-ს ჩვენი მგოსნები, რაიცა აგრეთვე შაირსიტყვაობას მეტათ აუკეთილხმოვანებს, — მაგალ.

„შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის არის ძველი გმირისა. — ხომ ხედავ, ქუდმოხდილია, თითქო რაღაცას სტყდისა.“

(აკაკის „ბებოას ნაამბობი“).

# ორთოგრაფიული ლექსიკონი.

ძვემოთ იბეჭდება სადავო სიტყვების ლექსიკონი იმ მართლწერით, რომელიც, ჩემი აზრით, საერთო სახმარებლათ უნდა შემოიღონ ჩვენს მწერლობაში. ლექსიკონის ორთოგრაფია დამყარებულია იმ საფუძვლებზე, რომელიც მე გამოთქმული მაქვს ამ წიგნში — ეტიმოლოგიასა და სინტაქსიში; მაგრამ იმისთანა სიტყვებიც არის იქ მოთავსებული, რომლის შესახებაც მე არაფერი მაქვს ნათქვამი ზემოხსენებულ განმარტებაში: იმათი მართლწერა დაფუძნებულია ჩვენს ძველსა და ახალ საუკეთესო თხზულებებზე. შველა სიტყვის მართლწერის ახსნა და განმარტება მეტათ დიდ ადგილს მოითხოვს, და ამიტომ აქ მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთის, სხვებზე უფრო საყურადღებო სიტყვების მართლწერის საფუძვლებს. — მაგრამ, სანამ ამ საფუძვლებს მოვიყვანდე, მინდა წარმოვსთქვა ჩემი მოსაზრება ქართული სინონიმების შესახებ, რომლის უმეტესი ნაწილი სრულიად არ იქნება ლექსიკონში შეტანილი (ლექსიკონში მართლ ის სიტყვებია მოთავსებული, რომელიც მხოლოდ მართლწერის — ფორმის მხრით წარმოადგენს სადავო საგანს).

### სინონიმება.

სინონიმები იმისთანა სახელებს ქვია, რომელსაც გამოთქმა სხვადასხვაგვარი აქვს, ხოლო მნიშვნელობით ან სულ ერთი და იგივეა, ან თითქმის ერთი და იგივე. სინონიმები სიტყვიერების ერთი იმისთანა ნაწევართაგანია, რომელიც სტილს ალამაზებს, აკეთილხმოვანებს. სმენისათვის ერთი სიტყვის ხშირათ გამეორება უსიამოვნოა—და სინონიმებიც ამ შემთხვევაში უწევს ენას სამსახურს. — ცხადია, სინონიმებს არაფერი საერთო არ აქვს ენის ფორმების მრავალგვარობასთან — და, მაშასადამე, ისინი ენაში აუცილებლათ უნდა დარჩენ. აქ მხოლოდ საყურადღებო არიან შემდეგი გარემოებანი:

1) ზოგიერთ სინონიმებს ერთმანეთში მნიშვნელობით სრულიად არავითარი განსხვავება არ აქვს: მაგალ. ღოჭი და ღღაჯი, თხქელა და მურყანა, კომში და ბია, თავთავი და თავკელი და სხ.;

2) ზოგიერთებს კი, როცა კარგათ ჩავუყვირდებით, შევამჩნევთ მცირეოდენ განსხვავებას მნიშვნელობაში, — მაგალ. შიშველი იმისთანაზე ითქმის, რომელსაც ტანზე მცირე რამე მანც აცვია, ხორცი დაფარული აქვს, ხოლო ტიტველი — იმისთანაზე, რომელსაც სრულიად არაფერი არ აცვია (იხ. ს.-ს. მრბელ. ლექსიკ.).

აქიდან ცხადია, შეორეგვარი სინონიმებრ ყველა უნდა დარჩეს მწერლობაში ხელუხლებლათ, ხოლო იმ სინონიმებს შორის, რომელსაც სრულიად

ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ერთერთი უნდა ავირჩიოთ და ის დავსტოვოთ მწერლობაში საერთოთ სახმარებლათ, რომელსაც მეტი საფუძველი ექნება ხმარებითა და კეთილხმოვანებით.

\* \*

თვეების სახელები არეულათ იხმარება ჩვენს ახალ მწერლობაში: ხან ევროპიულ სახელწოდებას ხმარობენ და ხან ხალხურს. რომისა და საბერძნეთის საშვალეებით კალენდრული ცნობები და მასთან თვეების სახელები, საზოგადოთ ყოველგან და აგრეთვე ჩვენშიც, ისე გავრცელებულა, რომ ხალხშიც და მწერლობაშიც რომაული სახელები უფრო ცნობილია, ვიდრე ქართული-ხალხური. მართალია, ხალხში და მწერლობაშიც ხშირათ იხმარებიან სახელწოდებანი თიბათვე ან ავანობისთვე, კათათვე ან კვიტკაბისთვე, ძანაძობისთვე, ეკენისთვე, ღვინობისთვე ან მწიფობისთვე, გილტგობისთვე, ქრისტეშობისთვე, — მაგრამ კიდევ უფრო ხშირათ იხმარება ხსენებული თვეების ევროპიული სახელწოდება: აგნისი, აგლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, და რადგან პირველი ხუთი თვის სახელწოდება (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი) მაინც ევროპიული რჩება, სჯობია — მწერლობაში საერთოთ ევროპიული სახელწოდებანი დავსტოვოთ.

\* \*

პრის რამდენიმე ცნება, რომლის გამოსახატავათაც აღმოს. საქართველოში ერთობ რთული ფორ-

მებია შემოღებული, — მაგალ. კაღმის დანა, ცხვირის დატყობინება, დიდ-დედა, თავთავი. ამათ მაგიერ უმჯობესი იქნება შემოვიღოთ მოკლეთ მოჭრილი ფორმები, რომელიც იმერეთის ხალხში და ზოგჯერ მწერლობაშიც იხმარება: ჯაყვა, დაცხიკეკება (ხმაბაძვითი სიტყვაა, ამ მოქმედების კარგათ დამახასიათებელი; ნახმარია „ქილ.“-ში, გვ. 97), ბებია (ამასთან ჰაჰა-ს მაგიერათაც ბახუა უნდა ვიხმაროთ, როგორც ბებია-სთან გამოთქმითა და წარმოებით შეთანხმებული სახელწოდება), თავკედი.

\* \*

რუსული ენის გავლენით ჩვენს მწერლობაში და მის მეოხებით ხალხის ენაშიც გავრცელდა სახელები: სტოლი, სტაქანი, ფანდოსა. — იმერეთში ხალხი ხმარობს სიტყვას სუფანა, რომელიც ნიშნავს გმელს ოთხფეხიან დაბალ „სტოლს“. თუმცა აღმ. საქართველოში სუფანა „სტოლის“ გადასაფარებელს ეწოდება, მაგრამ ჩემი აზრით, „სტოლის“ მნიშვნელობით სიტყვა სუფანა უფრო ადვილათ გავრცელდება, ვიდრე სახელები ძაგადა და ტახლა, რადგან მას ხალხის ენაში აქვს საფუძველი. თუმცა დასავ. საქართველოში სუფანა მხოლოდ ერთგვარ „სტოლს“ ეწოდება, მაგრამ აქიდან ადვილია მისი მნიშვნელობის გადატანა, სხვა ენების მზგავსათ, სხვადასხვაგვარ „სტოლებზე“: მაღალზე, რგვალზე, საწერზე და სხვ.; აღმოსავლ. საქართველოშიც სუფანის მნიშვნელობა უახლოვდება „სტოლის“ მნიშვნე-



ლობას: სუფრას ძაუსსდენო, ამბობენ იქ იმავე აზრით, როგორც სტოლს ძაუსსდენო.

შოთა რუსთაველი ხმარობს სიტყვას ჭაქა — „სტაქნას“ მნიშვნელობით — და მწერლობაში საერთოთ ასე უნდა ვიხმაროთ, რადგან ხალხის ენაშიც არის ეს სიტყვა და მწერლობაშიც ხშირათ იხმარება.

რაც შეეხება სიტყვას ფანდოსი, ამის აღმნიშვნელი სახელწოდება არის ქართულ ენაში — ხანჩა.

\* \*

რასაც ამერეთში თეფუს უწოდებენ, იმერეთში სანა ქვია. ეს სიტყვები ქართული ძირის არცერთი არ არის — და კეთილხმოვანების მიხედვით სჯობია სანა დარჩეს სამწერლო ენაში. — აქვე უნდა ვსთქვა, რომ რუსული „ბლიუდო“-ს აღსანიშნავათ კარგი იქნება შემოვიღოთ სიტყვა ლანგანა, რომელიც თავისი მოყვანილობითა და დანიშნულებითაც „ბლიუდო“-ს უდრის.

\* \*

ქვიჯა, ლოდინა და ავანდასტი: — ამ სამ სიტყვაში ყველაზე უფრო გავრცელებული და ადვილი სახმარია სიტყვა ქვიჯა — და მასთან, როგორც ვმინდა ქართული ძირისა და უფრო ხშირათაც სახმარებელი, უმჯობესია დავსტოვოთ სიტყვა ქვასანაყი, ვიდრე ფილთაქვა.

\* \*

იმერეთში იხმარება სიტყვა ჭუდი, ამერეთში კი ქვეგრა. ჭუდი ძველ მწერლობაში არის ნახმარი

(საღვთო წერილში), მაგრამ ახალ მწერლობაში უფრო გავრცელებულია სიტყვა **ქვევრი**, და რადგან კეთილხმოვანებითაც კარგია, მწერლობაში სიტყვა **ქვევრი** უნდა დავსტოვოთ.

\* \*

**გასაღება**, თუ **კლიტე**? პირველი სიტყვის ფორმა არის მიმღეობა; ქართულ ენაში ბევრია მიმღეობა, რომელსაც სრულიად არსებითის სახელის მნიშვნელობა და სახე მიუღია, — მაგალ. **საწეკელი**, **სახუტაჭი**, **სათაბი** და სხ.; სიტყვას **გასაღება** კი, როგორც არსებით სახელს, დღემდე ვერ მოუპოვებია მოქალაქობა, ასე რომ სმენას ეჩოთირება. ამასთანავე მეორე სიტყვა — **კლიტე**, თუმცა ბერძნულია, მაგრამ დიდი ხნის გაქართულებულია, ხალხისა და მწერლობისაგან შეთვისებული, — და ის უნდა დარჩეს სამწერლო ენაში. — **ს. ს. მრბელიანი კლიტეს ხმარობს** (ნახე მისი ლექსისონი და აგრეთვე „სიბ.-სიც.“ გვ. 14); „ვეფხ.“-შიც **კლიტეს** ნახმარი **გასაღებას** მნიშვნელობით (გვ. 98) და **ბოქლომის** მნიშვნელობითაც (გვ. 315); აგრეთვე საღვთო წერილში (სახარ. მათესი, 16—19).

\* \*

**ხმალი**, თუ **ლეკური**? **ხანჯალი**, თუ **სატეგანდი**? ძველ მწერლობაში ყოველგან **ხმალი**-ა ნახმარი — და კეთილხმოვანებითაც ეს სიტყვა სჯობია მეორეს; ახალ მწერლობაშიც **ხმალი** და **ხანჯალი** უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე **ლეკური** და **სატეგანდი**, და სხვადა-

სხვა ფორმებში ტრიალიც უფრო ამ სიტყვებს აქვს შეთვისებული: ხმლიანა, ხმალში გაწვევა, ხმალ-ხანჯალი, ქაძარ-ხანჯალი, დახანჯვლა და სხ.

\* \*

ძრახს, თუ ფუტა? ძრახს წინათ საზოგადო სახელწოდება იყო—და ამბობდენ: ძაძალი ძრახს, დედალი ძრახს-ო. ახლა კი ძრახს იმას ეწოდება, რასაც ამერეთში უფრო ხშირათ ფუტს უწოდებენ. რადგან სახელწოდება ძრახს უფრო ცნობილია როგორც იმერეთში, ისე ამერეთში, მწერლობაში ის უნდა დარჩეს.—რა თქმა უნდა, ხალხის ენაში, ხალხურ ნაწარმოებში ყოველთვის ხალხური გამოთქმა უნდა დარჩეს—და შეუძლებელია, მაგალითათ, გადასხვაფერდეს ხალხური ანდაზა: „მისთანა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს მოიწველიდეს“-ო. სახელწოდება ფუტა დარჩება აგრეთვე სიტყვებში: ფუტ-აბეძე, ფუტა კაძბეჩა (ხან-აბეძე-სა და ხან-კაძბეჩას წინააღმდეგათ).

\* \*

საღვთო წერილში იხმარება კანაუღა და კიცივა, ხალხსა და მწერლობაში კი სასუღანა და ვინა. საღვთო წერილის ენას ვერ შევხებით, და სალიტერატურო ენაში კი სახელწოდება ვინა უნდა დარჩეს, როგორც ყველასგან ცნობილი სიტყვა (სასუღან-ს, მარტო ამერეთში უწოდებენ, თუმცა იქვე სახელწოდება ვინაჲ იხმარება).

\* \*

სახელწოდება კანაუღა უფრო კეთილხმოვანიც არის და უფრო გავრცელებულიც მწერლობასა და

ხალხში, ვიდრე ბატკანა; კნაჭი თანასწორათ იხმარება როგორც ძველ მწერლობაში (საღვთო წერილში და სხ.), ისე ახალშიც—და უმჯობესია სალიტერატურო ენაში ეს სიტყვა ვიხმაროთ.

\* \*

სამწერლო ენაში უნდა დარჩეს თევზების სახელები წვეწა, ხნაძული და ღღავი, წინააღმდეგ სიტყვებისა მუწწა, ფაჩსული და ღაქა, რადგან ხმარებითაც და კეთილხმოვანებითაც უპირატესობა იმათ ეკუთნის.

\* \*

ძუღა (მუღუ), თხუნელა და ფუღუ:—მე გგონია, ამ სამ სახელწოდებაში სჯობია დარჩეს ძუღა, როგორც ადვილათ სახმარებელი ფორმა.

\* \*

ამერეთში რომ ხალხი აღუბაღს უწოდებს, იმერეთში უწოდებენ ქაშნას (თათრული სახელწოდება); მწერლობაში უფრო ხშირათ შემოღებულია აღუბაღი—და ესვე დარჩება.

\* \*

სახელწოდება ბია უფრო გავრცელებულია ხალხში, ვიდრე კაშში, როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც (იმერეთში ხალხმა არ იცის, რა არის კაშში, ამერეთში კი სახელწოდება ბია ბევრგან არის ცნობილი); მწერლობაში თანასწორათ იხმარება ორივე სიტყვა, და რადგან კეთილხმოვანებითაც ორივე თანასწორია, მწერლობაში ის უნდა დარჩეს, რომელიც უფრო გავრცელებულია, ე. ი. ბია.

\* \*

იმერეთში იციან სახელწოდებანი ბჟაღა, თხმელა, კაწიტი, — ამერეთში კი. ამათ ეწოდებთ თუთა, მუტყანა, იფნი; მაგრამ რადგან ამ მცენარეთა სამშობლო უფრო იმერეთია, ვიდრე ამერეთი, და კეთილხმოვანებითაც იქაური სახელწოდებანი სჯობია, ამიტომ მწერლობაში უმჯობესია საერთოთ ვიხმაროთ ბჟაღა, თხმელა, კაწიტი.

\* \*

კაჭაღი, თუ ნიგაზი? ამერეთში იციან კაჭაღი, იმერეთში კი — ნიგაზი. „ბაკალი“ კიდევ ეწოდება ხეხილის მომსხო ნაყოფებს: ერთი კაჭაღი ატამი, ხუთი კაჭაღი ქლიაფი, ათი კაჭაღი თხილი და სხ. და სხ.; ამასთან, სახელწოდება ნიგაზი ხალხში უფრო გავრცელებულია — და მწერლობაშიც ის დავსტოვოთ.

\* \*

საწაძთა, თუ საბურჯა? სახელწოდება საწაძთა სრულიად არ შეეფერება ზაფხულში მოსავალ ნაყოფს, და რადგან ეს ხილი აზიიდან არის შემოსული, სჯობია იქაურივე სახელწოდება — საბურჯა \*) დავსტოვოთ მწერლობაში.

\* :

ტიკინა მეტათ უკეთილხმოვანო სიტყვაა (წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისგან ტიკი); ამას სჯობია სახელწოდება დედოფალა (წარმომდგარი სიტყვის-

---

\*) პირველი ფორმა საბურჯა ყოფილა, მაგრამ გამოთქმაში ხალხს მეტათესი მოუხთენია — და ახლა უფრო ხშირათ საბურჯა მოისმის.

გან. დედოფალა, რადგან დედოფალსავეით რთავენ და აწყობენ). ეს სიტყვა დღეს ხშირათ იხმარება ჩვენს მწერლობაში, მხოლოდ ხშირათ უკანონოთ აბრუნებენ მას (იხ. გვ. 14).

\* \*

მამლის ბაღა, ქათმის ბაღავა, ხმარობენ ხშირათ ჩვენს მწერლობაში; უმჯობესია სახელწოდება კუდა ვიხმაროთ როგორც ოთხფეხის, ისე ფრინველების შესახებაც, რადგან ხალხიც უფრო ხშირათ ასე ხმარობს ყოველგან და მწერლობაშიც უმეტეს ნაწილათ კუდა იხმარება. ბაღა (და დასასრული) საქმის, აზრის ან ადგილის შესახებ ითქმის: ბაღას, როგორც იქნა, დავითანხმიე, სოფლის ბაღასა და სხ. ხალხი ფრინველების კუდს ბაღას ყოველგან მხოლოდ ზოგიერთ ფრინველთა სახელებში უწოდებს: ბაღაშავი, ბაღაწითელი.

\* \*

იმერეთში რომ ჭაჭას უწოდებენ (ჭაჭას ავათმყოფობა, ჭაჭის ანთებაო და სხ.), ამერეთში უწოდებენ თიბკმელს. მართალია, ახალ მწერლობაში პირველი სახელწოდება თითქმის უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე მეორე, მაგრამ თიბკმელს ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთ საგანს აღნიშნავს, სხვა მნიშვნელობა არ აქვს (ჭაჭა კი ყურძნის ნაწურსაც ეწოდება), — ამიტომ მწერლობაში თიბკმელი უნდა დარჩეს.

\* \*

ამერეთში იხმარება **ელენთა**, ხან **ტყაძე**, იმერეთში კა—**ტყელი**; ეს უკანასკნელი უფრო კეთილხმოვანია და უფროც გავრცელებული—და ის უნდა დარჩეს სამწერლო ენაში.—**ს.ს. მრბელიანის** ლექსიკონით, **ელენთა** ეწოდება ღორთა და თევზთა ტყლივს.

\* \*

**ზღანა** და **გაგმა** ორივე უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვებია; **გაგმა** თუმცა უფრო წინათ არის ჩვენს ენაში შემოსული, მაგრამ დღემდე თითქმის არავინ ხმარობს მას (განსაკუთრებით ხალხში); სახელწოდება **ზღანა** კი ლამაზი სიტყვაა და ძალიან გავრცელებულიც, მასთან ხმარებაშიც (სხვადასხვა ფორმებში) მოქნილი: **მოზღანგა**, **გაზღანგა**, **მოზღანული**, **მოსაზღანავი** და სხ.; ამიტომ სჯობია ყოველთვის **ზღანა** ვიხმაროთ.

\* \*

ტყუილათ აუხირდენ ამას წინათ სიტყვას **ჩანჩქედი**—და ახალი სახელები მიაწოდეს მწერლობას, მაგალითათ **ჩანჩქედალა** და სხ. სიტყვა **ჩანჩქედი** ხალხურიცაა და გამოთქმითაც თავისი შინაარსის კარგათ დამახასიათებელი; მასთან იმდენათაც გავრცელებულია, რომ ახლა მისი გამოცვლა, საჭიროც რომ იყოს, ძალიან გასჭირდება.—

\* \*

სიტყვის **ბუღბუღის** მაგიერ ძველ მწერლობაში იადღანი იხმარებოდა. ხალხში ამ ფრინველს დღე-



საც აქა-იქ (მაგალ. ზურიაში) გააღიანს უწოდებენ (ბერძნული სიტყვიდან ჰაქდას). მაგრამ სახელწოდება ბუღბუღა იმდენათ გავრცელებულია ხალხსა და მწერლობაში, რომ მისი განდევნა შეუძლებელია, და არც საჭიროა, რადგან ბუღბუღა ძალიან კეთილხმოვანი სიტყვაა. — ს.-ს. ორბელიანი ააღიანს უწოდებს იმ მაგალობელ ფრინველს, რომელსაც რუსები „კანარეიკას“ უწოდებენ (იხ. მისი ლექსიკონი და აგრეთვე „სიბ.-სიკ.“ — გვ. 42); მაგრამ, ჩემი აზრით, ამნაირათ სიტყვის აზრის შეცვლა მეტისმეტი თვითნებობა იქნება; „კანარეიკას“, როგორც უცხო ქვეყნის ფრინველს, ჩვენში ვერ იცნობენ — და, მაშასადამე, არც სახელი ექნებოდა ხალხში. ღღეს შეიძლება რაიმე ახალი, განსხვავებული სახელი ეწოდოთ მას, ძველი სახელის გადასხვაფერება კი — ისტორიის შებღალავათ ჩაითვლება.

\* \*

ხელსახოცს ამერეთში ეძახიან იმას, რასაც იმერეთში ცხვიანსახოცი ეწოდება; იმერეთში ხელსახოცად ქვია ჭამაში ხელის შესახოცს. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, უფრო შესაფერია ამ სიტყვისათვის. ცხვირის მოსახოცისათვის კი არის ხალხური სიტყვა ცხვიანსახოცი — და ის უნდა დარჩეს მწერლობაშიც (ძველებური სიტყვა ხელმანდალა ძნელი გასაფრცელებელია). თავებურვანზე გადმოსაფარებელ ცხვირსახოცს ეწოდება თაჯსაფანა.

\* \*

ზედსართავის ძიუღას სინონიმი სადი არ არის სახმარებელი შემდეგ ფორმებში: ჯანსაღი, ტანსაღი და სხ. (ამათ მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ კეთილხმოვანი ფორმები ჯანძიუღა, ტანძიუღა)— და ზმნაში გასაღება (გამძიუღების მაგიერ), რადგან გასაღება კიდევ ნიშნავს თავიდან მოცილებას, გაყიდვას.

\* \*

მასწავლებლის მაგიერ ზოგჯერ იხმარება სიტყვა **ასტატი**; მაგრამ **ასტატი** უფრო ხშირათ ნიშნავს ძიუღეს, ხელისაწას, აგრეთვე ძიუღეხეხუღ კაცს (**ასტატურათ** მოიქცა, **აასტატა**, **დაუაასტატა** და სხ.)— და უმჯობესია ამ მნიშვნელობით ვიხმაროთ ის ყოველთვის. სწავლის მოძღვრისთვის კი უნდა დარჩეს სახელწოდება **მასწავლებელი**— და აქიდან წარმოსდგება სიტყვა **სამასწავლებლო**, ასე რომ უნდა ითქვას: **სამასწავლებლო** (და არა **საასტატო**) ინსტიტუტი, **სამასწავლებლო** სემინარია და სხ.

\* \*

სიტყვა **უნადა** არ არის მოსაწონი თავისი კეთილხმოვანებით, თუმცა ახალ მწერლობაში, განსაკუთრებით ამერეთში, ხშირათ ხმარობენ მას. ძველმწერლობაში საუკეთესო თხზულებებში არ არის ეს სიტყვა ნახმარი, და უკეთესი იქნება— მის მაგიერ ყოველთვის ვიხმაროთ სიტყვები **ხუნა**; **ძიუღეხეხა**, **ნიჭა**.

\* \*

**ცეკას** მაგიერ ამერეთში იხმარება სიტყვა **თა-**

ძმსა. შველა ცნობილ ენაში ცეკვას აღსანიშნავათ არსებობს განსაკუთრებული სიტყვა; ხოლო თამაში ითქმის ყველა დანარჩენ სათამაშოზე: ბუტის, ბანქოს, ნანდის, ჭადრაკის და სხ. — მაშასადამე უნდა ვიხმაროთ: გცეკვავ, გეცეკვავს, გეცეკვენ (და არა გეცეკვალს, გეცეკვალბენ), იცეკვავ, საცეკვავადი სალამო და სხ.

\* \*

ჩვენს ახალ მწერლობაში ხშირათ ხმარობენ: კურსი დასმთავრდა, კურსდამთავრებული, საქმე დასმთავრდა და სხ. უფრო კეთილხმოვანია სიტყვა დასრულება, გათავება — და ზემოხსენებული გამოთქმანი ასე სჯობია ვიხმაროთ: კურსი დასრულდა (გინდ შეასრულა, გაათავა), კურსშესრულებული, საქმე შესრულდა, გათავდა და სხ.

\* \*

იმერეთში იტყვიან: ივანე კარგათ ეცინას ლაპარაკში პეტრესო, აბა ერთი გასცინე პეტრესო, ივანემ პეტრეს გასცინა და სხ.; ამავე აზრით ამერეთში იხმარება ზმნა გაჯავრება: ივანე აჯავრებს, ივანემ გააჯავრდა, გააჯავრე და სხ. ამ სიტყვის დედააზრი ის არის, რომ ვისსამე ჩვეულებრივს რამე მოქმედებას დიდი მიმზავსებით გამოხატავს ვინმე — და გამოხატავს სახუმროთ, გასართობათ, სასაცილოთ, და არა შესაწუხებლათ, წყენისა და ჯავრის გამოსაწვევათ. ეს დედააზრი იხატება ამ ცნების იმერულ სახელწოდებაში — და ის უნდა ვიხმაროთ მწერლობაში.

\* \*

არ არის შესაწყნარებელი მწერლობაში არც ზმნები: მე ვშველა, ის ძშველის, მე ვუშველე, ძაშველე და სხ. (ჩვეულებრივი მოხმარების ახრით) და წავასხათ, წავასხაძთ და სხ. (მაგალ. ჟოგა წავასხათ, ცალ-შვილა უნდა წავასხა და სხ.). ამათ მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ ზმნები: ძასძარება (მე ვეხმარები, ის მეხმარება, მე მოვეხმარე, მომეხმარე და სხ.) და წარეკვა (ზოგ შემთხვევაში წაეკანა, სახელდობ როცა აღამიანებზეა ლაპარაკი), — მაგალითათ: ჟოგი წავრეკეთ, ცოლ-შვილი უნდა წაეკანა და სხ. — შველა მაშინ ითქმის, როცა ნიშნავს დიდ გასაჭირში, განსაცთელში მყოფისათვის დახმარების ამოჩენას, — მაგალითათ, როცა ვისმე კლავენ, სცემენ, ვინმე იხრება და სხ., მხოლოდ ამისთანა გარემოებაში ითქმის: უშველეთ, ძაშველეთ და სხ.

\* \*

ზოგჯერ ჟამაა ხმარობენ დროის მაგიერ; სჯობია-საერთოთ დრო ვიხმაროთ, რადგან ჟამი კიდევ შავჭირსაც ნიშნავს; ჟამი დარჩება მხოლოდ საღვთო წერილის ენაში (რაჟამს და სხ.) და სამწერლო ენაში შემდეგ ფორმებში: აძჟამათ, იძჟამათ, ძრავად-ჟამაქრ. — არ არის შესაწყნარებელი ორკეცი ფორმა ც დრო-ჟამი, რომელიც შემოიღეს ახალ მწერლობაში.

\* \*

იმერეთში იხმარება სიტყვა აწი, რომელიც ნიშნავს: აძას შეძდეგ, დღეის შეძდეგძ, ძამავადძი.

ძველ ენაში აწ (და არა აწი) ახლას-ს ნიშნავს და აწინდელი — ახლანდელ-ს, მაგრამ ზმნისართი აწი ისე მოკლეთ და ლამაზათ ხატავს განსხვავებულ აზრს, რომ საჭიროა მისი შემოღება მწერლობაში იმერული მნიშვნელობით, მით უმეტეს რომ სიტყვების აწ და აწინდელა-ს მაგიერ გვაქვს სიტყვები ახლას და ახლანდელა (ან დღეს, დღევანდელი და სხ.).



ახლას განგმარტავ მოკლეთ ლექსიკონის ზოგა-  
ერთ სატყეებს.



ანგელაჟია იწერება აგრეთვე ანგელასა; ბერძ-  
ნული სიტყვაა და ს-ნით ბოლოვდება, მაგრამ ჩვენი  
ენის თვისებით უფრო ზ შეშვენის, როგორც სახე-  
ლებში: ნაკელაჟია, შანანაჟია და სხ.



ხმარობენ აქედ, აქედ, აქეთ, აქეთ, აქათ, აქით.  
ძველ მწერლობაში თ-ზე ბოლოვდება ეს ზმნისარ-  
თები ყოველთვის. დღევანდელ მწერლობაში უფრო  
ხშირათ იხმარება მართლწერა აქეთ — აქით. ჩემი აზ-  
რით ორივე ეს ზმნისართი ერთნაირათ უნდა ბო-  
ლოვდებოდეს, ან თთ-ზე და ან ით-ზე; რადგან  
ზმნისართს აქით ახლა თითქმის ყველა ით-ზე აბო-  
ლოვებს, მეორე ზმნისართიც სჯობია ით-ზე დავა-

ბოლოოთ, როგორც იხმარება კიდევაც იმერეთში,  
— და საერთოთ ვიხმაროთ ფორმები: აქათ, აქით,  
აქითა, აქითა, აქითური, იქითური, აქიდან, იქიდან,  
აქითკენ, აქითკენ და სხ.

\* \*

ძალიან გავრცელდა ახალ მწერლობასა და ხალხ-  
ში გამოთქმა ექამა, ექიმობა, ექიმობს, საექამა  
და სხ. ძველ მწერლობაში („მისრ.“, „ვეფხ.“, „სიბ.-  
სიც.“ და სხ.) ყოველგან ა-ნით იხმარება ეს სიტყვე-  
ბი, და რადგან ა-ნიანი ფორმა უფრო კეთილხმო-  
ვანია, ვიდრე მ-ნიანი, მწერლობაში უმჯობესია ვი-  
ხმაროთ ფორმები: აქამა, აქამობა და სხ.— ძართულ  
ენაში ეს სიტყვა ორნაირი გამოთქმით უთუოთ  
იმიტომ შემოუღიათ, რომ სპარსულში, საიდანაც  
ვადმოტანილია ის ჩვენში, დასაწყისის ხმო-  
ვანი ისე გამოითქმის, რომ მოისმის რაღაც საშვალო  
ხმა ა-სა და მ-ს შუა.

\* \*

სადაც იმერეთში მ-ს ხმარობენ (წვეიდა, წეი-  
ლო და სხ.), ამერეთში ა-ნი იხმარება (წავიდა, წაი-  
ლო); ზოგჯერ კი უკულმა იხმარება, ე. ი. ამერეთ-  
ში მ (ეხდა, ემ საათში, ეგ), იმერეთში ა (ახლა,  
ამ საათში, აგი).— ახლა წარმოსდგება სიტყვისგან  
ახალი, რომელიც ყოველთვის ა-ნით იწერება; ძველ  
მწერლობაშიც ყოველგან ა-ნით არის ნახმარი ეს  
სიტყვა („მისრ.“, „ვეფხ.“, „სიბ.-სიც.“, „ძილ.“  
და სხ.)— და კეთილხმოვანებითაც ა სჯობია,

ასე რომ მწერლობაში საერთოთ უნდა ვიხმაროთ ფორმები: *ახლა*, *ახლავე*, *ახლანდელა*.

\* \*

თუმცა იშვიათათ იხმარება, მაგრამ უფრო კეთილხმოვანი ფორმა და წარმოებითაც (ფრანგულიდან) უფრო კანონიერია სიტყვა *დუჟენა* (*დუჟანის* მაგიერ, რომელიც რუსული ენის საშვალეებით შემოსულა ჩვენს ენაში დამახინჯებულათ).

\* \*

მართლწერა *ეჭვა* უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე *აჭვა*, და უფრო ხშირათაც იხმარება; „*მისრ.*“ სა და „*მეფხ.*“ -ში ყოველგან ნახმარია მართლწერა *ეჭვა* („*მისრ.*“ გვ. 52, „*მეფხ.*“ გ. 182 და სხ.).

\* \*

კავშირის *თჯანქმ*-ის ამ მართლწერას კეთილხმოვანებით სჯობია მართლწერა *თჯანა*, როგორც იხმარება ყოველგან იმერეთში და როგორც იხმარებოდა უმეტეს ნაწილათ ძველ მწერლობაში („*მეფხ.*“ -ში ნახმარია *თჯანქმ* და უფრო ხშირათ *თჯანა*“), „*მისრ.*“ -ში *თუანა* და *თჯანა*). ეს კავშირი შედგენილია ორი სიტყვისგან: თუ+არა=თუარა, რომელიც შემდეგ გამოთქმაში შემოკლდა *თჯანა*-თ (თუა=ვა, როგორც საშვალეა=საშვალეა).

\* \*

**პათალიკაზი:** — იწერება აგრეთვე *კათალიკაზა*. ამ სიტყვას ერთი ძირი აქვს სიტყვასთან *კათა-*

\*) „*მეფხ.*“ -ში ერთ ადგილას შემოკლებულათაც არის ნახმარი ეს კავშირი, ე. ი. ფორმა *თჰპარ*, როგორც ხშირათ იხმარება იმერეთში (ნახ. გვ. 54).



ლაკე (ბერძნული ენიდან) — და, მაშასადამე, მ.წით-  
წერა უფრო კანონიერია, მაგრამ უფრო ხშირათ-  
იხმარება მწერლობაში მართლწერა კათალიკოსა,  
რადგან კეთილხმოვანებით ასე სჯობია (იხ. შახუშ-  
ტის გეოგრაფია, 1842 წ., შენიშვნა მე — პ, გვ. 26;  
კიდევ გვ. 82, შენ. 1).

\* \*

კაძბეკა, თუ კაძბეკა? უფრო ხშირათ კაძბეკი.  
იხმარება ხალხშიც და მწერლობაშიც (ამერეთში  
ორივე გამოთქმა მოისმის, იმერეთში კი — კამბეჩი);  
ქახეთის ერთ ნაწილს, იორსა და ალაზანს შუა,  
კაძბეკეჯასია ეწოდება. ჩემი აზრით, კეთილხმოვანე-  
ბითაც კაძბეკი სჯობია. „ჭილილა და დამანაში“  
კაძბეკა-ა ნახმარი (გვ. 243 და სხ.); იხილეთ აგრეთვე  
შახუშტის ისტორია, გამოც. 1885 წ., გვ. 24;  
„სიბ.-სიკ.“ 87.

\* \*

კაპრუჭაღ, ხმარობს ხალხი ამერეთში — და  
აგრევე იხმარება მწერლობაშიც. იმერეთში იხმა-  
რება ამ სიტყვის გამოთქმა კრაპუჭა, რომელიც  
ბევრათ უფრო კეთილხმოვანია, და არც ქართული  
მართლწერის წინააღმდეგია, რადგან აქ ხალხს გამო-  
თქმაში კეთილხმოვანებისათვის მეტათეზისი მოუხ-  
თენია.

\* \*

რუსული ენის გავლენით ბევრი ხმარობს სა-  
თგაღუებია, როცა ერთ თანაზება \*) ლაპარაკი, მარ-

\*) თანა — штыка.

თულათ ითქმის სათვალე, როცა ერთი თანა იგულისხმება, ხოლო სათვალეები—როცა მრავალი.

\* \*

ბამოთქმას შეღავათი და შაღავათი სჯობია საღავათი, როგორც ამბობენ ამ სიტყვას იმერეთში, რადგან ადვილი გამოსათქმელიც არის და ადვილათ სახმარი სხვადასხვა ნაწარმოებ ფორმებში: შესალავათება, შემისალავათა, შესალავათებული და სხ.; წარმოებითაც ეს ფორმა არავითარ უკანონობას არ წარმოადგენს, რადგან **შ** და **ს** ხშირათ იცვლება ერთმანეთში: შინჯვა—სინჯვა, შკოლა—სკოლა და სხ.

\* \*

შეღავათის მზგავსათ იმერეთში ამბობენ შეჭაძადი; აქ **შშ**-ს ადვილი არ უნდა ქონდეს, რადგან ამ სიტყვას აქვს მყოფადი დროის მიმღეობას ფორმა და ხასიათი, როგორც, მაგალ., სიტყვებს საჭმელი, სასმელი და სხვ., სადაც ყოველთვის ახლავს თავსართი **სა**. ბამოთქმა საჭაძადი, რომელიც იმერეთში იხმარება, კანონიერიც არის და მასთან უფრო კეთილხმოვანიც.—**შს** მართლწერაა ნახმარი „**ვისრ.**“-შიც (11, 128, 150, 181, 198 და სხ.). ძველათ იხმარებოდა ფორმა „სასმადი“, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც „საჭამადი“ (იხ. „**ვისრამ.**“ გვ. 11, 181, 198); „**ვეფხ.**“-ში კი ნახმარია „შეჭამადი“ (გვ. 47).

\* \*

სრულიად გაუგებარია, საიდან გამოჩნდა თავ-

ში მ სიტყვაში მსწავლული; ეს არსებ. სახელი წარმოადგენს ნამყო დროის ვნებით მიმღეობას, სადაც მ არაოდეს არ ემატება თავში (ნახვა—ნახული, ხილვა—ხილული და სხ.); მაშასადამე, სახელზმნისგან სწავლა ნამყო დროის ვნებითი მიმღეობა იქნება სწავლული, რომელიც ამავე ფორმით გადაქცეულა არსებ. სახელათ, როგორც მაგალ. წყლული, წერძლი და სხ.

\* \*

აღმოს. საქართველოში ხმარობენ სიტყვას უჩუძრატ, რომელსაც აძლევენ ზმნისართის ჩუძრატ-ის მნიშვნელობას. თუ ფორმა უჩუძრატ შეიძლება ვიხმაროთ, იმას ჩუძრატ-ის მნიშვნელობა კი არ ექნება, არამედ სრულიად წინააღმდეგი, რადგან წინ უზის უარყოფითი ნაწილაკი უ, —როგორც მაგალითათ: უჩინრათ, უტყუვრათ, უტირლათ და სხ. და სხ.

\* \*

სიტყვა ყველაფერი მრავალი ფორმით იხმარება ჩვენს მწერლობაში: ყაველიფერი, ყაველისფერი, ყაველაფერი, ყალიფერი და სხ. \*). მს სიტყვა რთულია, შესდგება ორი სიტყვისგან; ყაველა და ფერი. როცა ვამბობთ ყაველიფერად (გინდ ყოლისფერი, ყოვლიფერი, ყოლიფერი), უნდა ვიგულისხმოთ თითოეული სასაუბრო საგანი ცალცალკე და ბოლოს ერთათ შეგროვებული; სიტყვით ყველაფერი კი (=ყველა ფერი) პირდაპირ ვგულისხმობთ ყველა

\*) ყველაფერი ამერეთში უფრო იხმარება, დანარჩენი ფორმები კი—უფრო იმერეთში.

სასაუბრო საგანს ერთათ აღებულს; და რადგან ამ სიტყვაში სწორეთ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა იხატება, ამიტომ სჯობია გამოთქმა **ეკელაჟედი**.

\* \*

**ეკრდელა, ეკრდელა; ეკრდგელა**. მესამე ფორმა სჯობია კეთილხმოვანებით და მასთან უფრო კანონიერიც არის: შ-ით უნდა იწყებოდეს, რადგან ეს სიტყვა შესდგება სიტყვებისგან **ეკრა** და **გელა**, ზ **ღ**-ზე უფრო შ-ს უნდა ქონდეს აქ აღილი (**ბძელი**).

\* \*

ამერეთში და მწერლობაშიც ხშირათ ხმარობენ ფორმებს: **შეხვრეტა, შეხვრეტი, შეხვრეტესო** და სხ., როცა რაიმე წინიანის შექმას ან შესმას აღნიშნვენ. ეს სიტყვა ხმაბაძვითათ არის ნაწარმოები და აქ უფრო ხმა **პ** მოისმის, ვიდრე **ტ**; ამასთან სიტყვას **შეხვრეტა** კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს (რისამე გახვრეტა, გაბურღვა), და ამიტომ სჯობია მწერლობაში დარჩეს ფორმა **შეხვრეშა, შეხვრეშა** და სხ., როგორც იხმარება იმერეთში და ხშირათ მწერლობაშიც.

\* \*

თუმცა ძველსა და ახალ მწერლობაში სახელწოდება **ცული** იხმარება, მაგრამ რადგან იმერეთში-ამ გამოთქმაში ცული მნიშვნელობა იხატება, სჯობია მწერლობაში ეს სიტყვა იმერული გამოთქმით შემოვიღოთ, ე. ი. ვიხმაროთ ფორმა **ცულდი**, მით უმეტეს რომ მეორე ამისთანა ვვარი სახელწოდებაც, სახელდობ **წაღდა**, ამ სიტყვისვე მზავსათ არის ნაწარმოები.

\* \*

**წავაწყადი, წააწყდა, წაწყდამაღ,** იხმარება მწერლობაში და ზოგან ხალხშიც (აღმ. საქართვე.). არის ამ ზმნის მეორე ფორმაც: **წავატყდა, წატყდამაღ** და სხ., რომელიც მწერლობაში იშვიათათ იხმარება, მაგრამ ხალხში კი ხშირათ (განსაკუთრებით ლასავლ. საქართველოში). **წაწყდამაღ** კიდევ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება (საშვალო გვარის სახელზმნაა **წაწყდამაღ**, მოქმედებითის — **წაწყექდა**), და მეორეც — მოქმედებას **ცყდამაღს** უფრო აქვს აქ მნიშვნელობა (თავს **წავატყდა**, ე. ი. თითქო თავს გადავემტვრიე, გადავეჩეხეო), ვიდრე მოქმედებას **წყდამაღს**.

\* \*

**ჭანჭკეღი** თუმცა კანონიერი წარმოებით **ჭ**-რით უნდა იწერებოდეს (სიტყვისაგან **ჭია**), მაგრამ იმავე ფონეტიკური კანონის ძალით, რომელიც ზევით არის განმარტებული (გვ. 107—108), ორი **ჭ** ერთ სიტყვაში კეთილხმოვანებას ეწინააღმდეგება, და ამიტომ მწერლობაში უმჯობესია ვიხმაროთ ფორმა **ჭანჭკეღი**, — მით უმეტეს, რომ მთელ იმერეთში ასე იხმარება და მწერლობაშიც სანახევროთ **ჯ**-ნით სწერენ ამ სიტყვას. — მსვე უნდა ვსთქვათ სიტყვაზე **ჭანჭანდი**, რომელიც ამ მართლწერით სჯობია ფორმას **ჭინჭანდი**. — „სიბ.-სიც.“-ში **ჭანჭკეღა** — ა ნახმარი (გვ. 7), „ძილ.“-ში — **ჭანჭკეღი** (გვ. 118; 125).

\* \*

არ არის შესაწყნარებელი ფორმები **ზოგიერთა**, **ძთხოვანა**, რადგან უკეთილხმოვანო ფორმებია; მნიშვნელობითაც ეს ფორმები არაფრით არ განსხვავ-

დება ფორმებისგან **ზოგაერთა** და **ძათხოვანი**, რომელიც ბევრათ უფრო კეთილხმოვანია.

**მრგვარი** დაბოლოებით (**ა-ნითა** და **ი-ნით**) ხმარობენ აგრეთვე სახელებს: **ჯანჭველა**, **წიფელი**, **ტატკელა**, **შიშველი**, **წიწალა**. ამ სახელებს **ი** უფრო შეშვენის—და კანონითაც **ი** უნდა, რადგან ისინი ბრუნვებში ხმოვანებს კარგვენ (**ჯანჭველას**, **წიფელას**, **წიფელა** და სხ.) და, მაშასადამე, ეკუთნიან იმ სახელებს, რომელსაც აქვს დაბოლოებანი **აღა**, **აზა**, **ელა** და სხვ. (იხ. გვ. 12—15). **აქიდან** გამოირიცხება სახელები **პეპელა** და **ტომპაზა**, რომელნიც **ა-ნით** იხმარებიან. **ტატკელა** და **შიშველა** ზმნისართებათ ითქმის, მაგალითათ: ბავში **ტატკელა** დარბოდა (როგორ დარბოდა?).

### რთულა სიტყვების მართლწერა.

**ჩვენს** მწერლობაში თითქმის ყოველგვარ რთულ სახელს უუახაზით სწერენ: ხელ-წერილი, ქვა-ნახშირი, ყოფა-ქცევა, ავლა-დიდება, სახლ-კარი, პირ-და-პირ, სხვა-და-სხვა, **ცხენის-წყალი**, მთა-წმინდა, ტან-დაბალი და სხ. და სხ.

რთული სიტყვების მართლწერის შესახებ შემდეგი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ. **თუ** რომ რთული სახელი თავისი შინაგანი აზრით ერთ საგანს, ერთ ცნებას აღნიშნავს, უხაზოთ უნდა ვსწეროთ, როგორც ყოველი ერთი აზრის მექონი სახელი;— და თუ რთული სახელის თითოეულ ნაწილს თავისი

მნიშვნელობა არ ეკარგება, მაშინ შუახაზია საჭირო. მაგალითათ, სიტყვაში **ყოფაქცევა** ერთი აზრი იხატება, სიტყვის ორივე ნაწილი (**ყოფა** და **ქცევა**) ერთათ აღნიშნავს ერთ გარემოებას, ერთ საგანს—და ამიტომაც უხაზოთ უნდა დაიწეროს; სიტყვაში, მაგალითათ, **დედ-მამა**—თითოეულ ნაწილს (**დედა** და **მამა**) თავისი მნიშვნელობა და აზრი არ ეკარგება, აქ **დედაც** იგულისხმება და **მამაც**,—ამიტომაც ეს სიტყვა შუახაზით უნდა დაიწეროს.—რთული სახელების მართლწერის ყველა შემთხვევის აღნიშვნა შეუძლებელია—და ამიტომ ლექსიკონშიც არა მაქვს აღნიშნული ეს მართლწერა; მე აქ განვმარტე ამ მართლწერის კანონი—და ამ კანონის ძალით ყველას ადვილათ შეუძლია გამოარჩიოს, სად უნდა **შუახაზია** და სად არა. აქ მხოლოდ მოვიყვან რამდენმე მაგალითს.

შუახოთ უნდა ვსწეროთ: **ავლაღადება**, **ბორც-მექმედება**, **ბორცგანზრახვა**, **ბერიკაცა**, **დედაცა**, **გაუბატონა**, **ქაღბატონა**, **მართლმადიდებელი**, **ძიანგანმართებელი**, **თანდათან**, **ზედაზედა**, **პირდაპირ**, **სხვადასხვა**, **სახეგარა**, **ცხენისწყალი**, **წყალწითელი**, **შთაწმინდა**, **ჟურჟურით**, **თავდაწარგული**, **ღვთისმეტყველება**, **ყოფაქცევა**, **ტანწერწეტი**, **შავთვალა** და სხ. და სხ. შუახოთ უნდა ვსწეროთ აგრეთვე რთული რიცხვითი სახელები: **ოცდახუთა**, **ოცდაათი**, **ორმოცდაათუთხმეტი**, **სამოცდაექვსა** \*) და სხ. ხაზით

\*) „ვისრამ.“-ში ხშირათ შეხვედებით ამგვარსავე მართლწერას: **ორმოცდაათსა**, **ოცდაათი**, **მრავალფერი**, **თავგაწირული**, **თვალცრემლიანი**, **გულდადალული** და სხ. (გვ. 12, 44, 57, 63, 64, 70).



უნდა ვსწეროთ: დედ-მამა, და-ძმა, ქალ-გაყა, ცოდ-ქმარა, დედალ-მამალა, და სხ.

### მთავრულება.

ჩვენს მწერლობაში მთავრული ასოები იშვი-  
თათ იხმარება. ძველათ მთავრულები ხშირათ იხმა-  
რებოდა როგორც ხუცურში, ისე მხედრულშიც; ზოგ-  
ჯერ მხედრულში მთავრულებათ ხუცური მთავრუ-  
ლები იხმარებოდა, რადგან მხედრულ ანბანში მთავ-  
რულს განსხვავებული მოყვანილობა არ აქვს, მხო-  
ლოდ სიდიდით გაირჩევა ჩვეულებრივი ნუსხური  
ანბანებისაგან \*). ძველათ ხშირათ წითლური იხმა-  
რებოდა, ე. ი. წითელი მელნით ან კინოვანით  
სწერდნენ ხოლმე საყურადღებო სიტყვებს, განსაკუთ-  
რებით სათაურებსა და რომელიმე ტექსტის ინიცია-  
ლებს. — მთავრულები დიდათ უადვილებს მკითხველს  
წაკითხულის გამეორებას, საკუთარი სახელებისა და  
ცალკე აზრების გამოძებნას; თვით კითხვის დროსაც  
უფრო ახერხებს მკითხველი თავთავის ადგილას  
დროზე შეჩერებასა და შესვენებას, რადგან წერტილ-  
